

26-30 სექტემბერი 2022 თბილისი, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის
მეთოდები
საერთაშორისო
სიმპოზიუმი

THE ELEVENTH
INTERNATIONAL
SYMPOSIUM
ON TRADITIONAL POLYPHONY

26-30 SEPTEMBER 2022 TBILISI, GEORGIA

26-30 სექტემბერი 2022 თბილისი, საქართველო

ცხადიციულო ძრავალხმიახოზის
ძეთერთმეტე
საერთაშორისო
სიმპოზიუმი

THE ELEVENTH
INTERNATIONAL
SYMPOSIUM
ON TRADITIONAL POLYPHONY

26-30 SEPTEMBER 2022 TBILISI, GEORGIA

სიმპოზიუმი ტარდება საქართველოს პრეზიდენტის

სალაშე ზურაბიშვილის პატრონაჟით

სიმპოზიუმის ფინანსური მხარდაჭერი:

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სიმპოზიუმის ორგანიზატორები:

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

თსკ-ის ტრადიციული მრავალმხანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ა. ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი



**საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო**



**ანბორ მერქობაიშვილის სახელობის
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი**

THE SYMPOSIUM IS HELD UNDER THE PATRONAGE OF

SALOME ZURABISHVILI, PRESIDENT OF GEORGIA

BY THE FINANCIAL SUPPORT OF

THE MINISTRY OF CULTURE, SPORTS AND YOUTH OF GEORGIA

ORGANIZERS OF THE SYMPOSIUM:

VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY

OF TBILISI STATE CONSERVATOIRE

LEPL A. ERKOMAISHVILI FOLKLORE STATE CENTRE

2002–2022

**ოცი წელი ტრადიციული მრავალხმიანობის
საერთაშორისო სიმპოზიუმის დაარსებიდან**

დამფუძნებლები: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
ა. ერკომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2002–2022

**TWENTY YEARS SINCE THE ESTABLISHMENT OF THE INTERNATIONAL
SYMPOSIUM ON TRADITIONAL POLYPHONY**

FOUNDERS:

TBILISI VANO SARAJISHVILI STATE CONSERVATOIRE

LEPL A. ERKOMAISHVILI FOLKLORE STATE CENTRE

THE SYMPOSIUM IS HELD UNDER THE PATRONAGE OF

**სალომე
ზურაბიშვილი**
საქართველოს
პრეზიდენტი



SALOME ZURABISHVILI
PRESIDENT OF GEORGIA

Greetings,

It is great to see that the International Symposium of the Traditional Polyphony has become a growing cultural tradition of our country. Despite the various obstacles that our country and the world have faced in the recent period, the symposium's initiators, organizers, and creative team still managed to organize this scientific forum at a high professional level, and we value that.

The word "traditional" in the title of the international symposium is noteworthy as the Georgian singing, and Georgian polyphony best describe our character and reflect our history, traditions, and customs. Therefore, each piece is not only a unique work of art but also a deeply coded piece of information, that best presents our nation to the world.

This very year, a historic concert was held in the Vatican and unique examples of Georgian folklore were heard in the Sistine Chapel. I'm glad that the decision to hold this concert was made during my meeting with His Holiness the Pope during my official visit to the Holy See. I think that such events will generate even more interest in the study of Georgian folklore, which will positively contribute to the world's leading scientific circles' interest in Georgian polyphony.

I would like to congratulate you on your 20th anniversary. I also want to thank you for the professionalism, dedication, and great love for work that you all, the initiators, organizers, and friends of the symposium, have shown over the years.

I am convinced that this year's symposium will be even more impressive and unforgettable for every participant and listener.

მოგესალმებით,

სასიხარულოა, რომ ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ჩვენი ქვეყნის კულტურულ ტრადიციად იქცა, უფრო და უფრო მასშტაბურ ხდება. დასაფასებელია, რომ მისი ინიციატორები, ორგანიზატორები და შემოქმედებითი ჯგუფი, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რომელთა წინაშეც ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო ბოლო ხანს აღმოჩნდა, კვლავაც ახერხებენ სამეცნიერო ფორუმის პროფესიულ დონეზე ორგანიზებას.

სიტყვა „ტრადიციული“ საერთაშორისო სიმპოზიუმის დასახელებაში მეტად ნიშანდობლივია, რადგან ქართული სიმღერა, ქართული პოლიფონია ყველაზე კარგად გამოხატავს ჩვენს ხასიათს, ასახავს ჩვენს ისტორიას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ამიტომაც ყოველი ნაწარმოები არა მარტო ხელოვნების უნიკალური ნიმუში, არამედ ღრმა, კოდირებული ინფორმაციაა, რომელიც ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს საუკეთესოდ აცნობს. სწორედ წელს, ვატიკანში გაიმართა ისტორიული კონცერტი და სიქსტეს კაპელაში აულერდა ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები. მოხარული ვარ, რომ ამ კონცერტის მოწყობის იდეას ჩემი წმინდა საყდარში ოფიციალური ვიზიტის დროს, რომის პაპთან შეხვედრისას ჩაეყარა საფუძველი. ვფიქრობ რომ ასეთი ღონისძიებები კიდევ უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევს ქართული ფოლკლორის შესწავლისათვის, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო წრეების დაინტერესებას ქართული მრავალხმიანობით. მინდა მოგილოცოთ წლევანდელი საიუბილეო თარიღი – 20 წელი. მინდა ასევე დიდი მადლობა გითხრათ იმ პროფესიონალიზმისათვის, იმ ერთგულებისა და დიდი სიყვარული-სათვის საქმის მიმართ, რომელიც თქვენ, სიმპოზიუმის მეგობრებმა ამ წლების განმავლობაში გამოიჩინეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი სიმპოზიუმი კიდევ უფრო შთაბეჭდავი და დაუვინყარი იქნება თითოეული მონაწილისა და მსმენელისათვის.

თეა წულუკიანი
საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის მინისტრი,
საქართველოს მთავრობის
ვიცე-პრემიერი



სიხარულით გილოცავთ ტრადიციული მრავალხმიანობის მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნას!

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სიმპოზიუმის დაარსებას ბიძგი მისცა 2001 წელს იუნესკოს მიერ ქართული პოლიფონიის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებამ.

მას შემდეგ, 20 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, თბილისურმა სამეცნიერო ფორუმმა დიდი როლი შეასრულა ქართული მრავალხმიანობის საერთაშორისო აღიარების საქმეში და გაადვილა ინტერესი ჩვენი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტი საგანძურისადმი. ამას ადასტურებს მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგების მიერ სიმპოზიუმებზე წარმოდგენილი მოხსენებები და ის ერთობლივი კვლევები, რომელსაც ქართველი და უცხოელი მეცნიერები აწარმოებენ ჩვენი სიმღერა-გალობის უნიკალური მუსიკალური სტრუქტურისა და ფესვების შესასწავლად. ამასვე მოწმობს ქართული მრავალხმიანობის უცხოური ანსამბლების არსებობა სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც ხშირად, მათ შორის, სიმპოზიუმის ფარგლებშიც, სტუმრობენ ჩვენს ქვეყანას და ადგილობრივი შემსრულებლებისგან იღებენ გამოცდილებას.

სამწუხაროდ, წლებანდელი სიმპოზიუმის გახსნა პირველად გვიწევს დიდი ქართველი მოღვაწის, ანზორ ერქომაიშვილის გარეშე, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში დარჩება მარადიულ სიმბოლოდ ეროვნული სულის უკვდავებისა, სამშობლოს სიყვარულისა და თავდადებული მსახურებისა. ის ასევე დარჩება ქვეყნის ისტორიაში იმ ქართველ კაცად, რომელმაც დიდი კეთილშობილებით აღზარდა არაერთი თაობა, რომლებიც დღეს მის საქმეს წარმატებით აგრძელებენ.

ვფიქრობ, წლებანდელი სიმპოზიუმის გახსნა განსაკუთრებულ კონტექსტში ხდება, რაც ანზორ ერქომაიშვილს უთუოდ დიდ სიხარულს მოჰგვრიდა. მას წინ უძღოდა ისტორიული მოვლენა – 2022 წლის 26 ივნისს, სამების საკათედრო ტაძრის გუნდმა კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით კონცერტი გამართა ვატიკანში, სიქსტის კაპელაში, და ქართული პოლიფონია და მასზე დაფუძნებული თანამედროვე საგუნდო მუსიკა მთელი თავისი სულიერი სიღრმითა და დიდებულებით წარადგინა ევროპული საზოგადოები წინაშე.

ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს გილოცავთ სამეცნიერო ფორუმის მეთერთმეტედ გახსნას და გისურვებთ წარმატებებს!

THEA TSULUKIANI
MINISTER OF CULTURE,
SPORTS AND YOUTH OF GEORGIA,
VICE PRIME MINISTER OF THE
GEORGIAN GOVERNMENT

Congratulations on the opening of the 11th International Symposium on Traditional Polyphony! UNESCO proclamation of Georgian polyphony as a Masterpiece of Intangible Cultural Heritage of Humanity in 2001 gave impetus to the establishment of the symposium at Tbilisi State Conservatoire. 20 years have passed. During this time, the Tbilisi Scientific Forum significantly contributed to the international recognition of Georgian polyphony and aroused interest in the true treasure of our national culture. This is confirmed by the papers presented at the symposia by the world-renowned ethnomusicologists and joint researches conducted by Georgian and foreign scientists to study the unique musical structure and roots of our folk songs and church hymns. This is evidenced by the existence of foreign ensembles of Georgian polyphony in different countries, which often, including within the framework of the symposium, visit our country and gain experience from local performers.

Sadly, for the first time, this year the symposium will open without great Georgian figure Anzor Erkomaishvili, who will remain in the history of Georgian culture as an eternal symbol of the immortality of national spirit, love for the motherland and devoted service. He will also remain in the history of the country as the Georgian man who, with great generosity, raised many generations, which successfully continue his work. I think this year opening of the symposium takes place in a special context, which would have undoubtedly brought great joy to Anzor Erkomaishvili. It was preceded by a historic event – on 26 June, 2022 with the support of the Ministry of Culture, the choir of the Holy Trinity Cathedral held a concert in the Sistine Chapel, in Vatican, and presented to the European audiences Georgian polyphony and contemporary choral music based on it, with all its spiritual depth and grandeur. Let me congratulate the organizers and participants of the 11th International Symposium on Traditional Polyphony and wish success!

ნანა შარიკაძე
თბილისის
ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის რექტორი



NANA SHARIKADZE
RECTOR OF VANO SARAJISHVILI TBILISI
STATE CONSERVATOIRE

I am very pleased to welcome the participants, guests and organizers of the 11th Symposium on Traditional Polyphony on behalf of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. This year marks the 20th anniversary of the first symposium at the Conservatoire, which laid foundation to the tradition that has become important not only for Georgian musicology, but also for Georgian science as a whole. The symposium presents modern trends in the study of polyphony and contributes to the integration of Georgian ethnomusicology with Western science, arousing the interest of foreign researchers in Georgian polyphony. The symposium is the best means for research at the highest scientific level, international scientific cooperation, sharing novelties and popularization of Georgian polyphony, recognized by UNESCO in 2001 as a Masterpiece of the Oral and Intangible Heritage of Humanity. Tbilisi State Conservatoire is proud of such interest and active participation in the symposium of the leading scientific circles of the world (Germany, Italy, USA, Japan, Canada, France and many others). This year, the symposium will boast participation of 36 scholars from 15 countries. Especially important for us is that a Ukrainian singer and researcher is participating in the symposium; as well as the presence of Ukrainian refugees at the opening concert. Finally, I would like to express special gratitude to the organizing committee and participants of the symposium; and also to all its supporters for their diligence, professionalism and enthusiasm.

მოგესალმებით,

ჩემთვის მეტად სასიხარულოა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით მივესალმო ტრადიციული მრავალხმიანობის მე-11 სიმპოზიუმის მონაწილეებს, სტუმრებსა და ორგანიზატორებს. წელს უკვე 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კონსერვატორიაში პირველი სიმპოზიუმი ჩატარდა და სათავე დაედო იმ ტრადიციას, რაც უმნიშვნელოვანესი გახდა არა მხოლოდ ქართული მუსიკოლოგიისათვის, არამედ, ზოგადად, ქართული სამეცნიერო სფეროსათვის. სიმპოზიუმი წარმოაჩენს მრავალხმიანობის კვლევის თანამედროვე ტენდენციებს და ხელს უწყობს ქართული ეთნომუსიკოლოგიის ინტეგრაციას დასავლურ მეცნიერებასთან, ქართული პოლიფონიისადმი უცხოელი მკვლევრების ინტერესის გაღვივებას. სიმპოზიუმი იუნესკოს მიერ 2001 წელს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული ქართული პოლიფონიის მაღალ მეცნიერულ დონეზე კვლევის, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის, სიახლეთა გაზიარებისა და პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებაა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის საამაყოა მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო წრეების (გერმანია, იტალია, აშშ, იაპონია, კანადა, საფრანგეთი და მრავალი სხვა) ასეთი დაინტერესება და აქტიური ჩართულობა სიმპოზიუმის მუშაობაში. წლებანდედ წელს, მეთერთმეტე სიმპოზიუმში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 15 ქვეყნის 36 მეცნიერი. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სიმპოზიუმში მონაწილეობს უკრაინელი მომღერალი და მკვლევარი და, ასევე, გახსნის საზეიმო კონცერტს ესწრებიან უკრაინელი ლტოლვილები.

ბოლოს, სიმპოზიუმის ჩატარებისათვის განეული შრომისათვის მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სიმპოზიუმის საორგანიზაციო ჯგუფსა და მონაწილეებს, ასევე, მის ყველა მხარდამჭერს მონდომების, პროფესიონალიზმისა და გულშემატკივრობისათვის.

რუსუდან წურნუშია

თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის საერთაშორისო
ცენტრის დირექტორი



RUSUDAN TSURTSUMIA

DIRECTOR OF THE INTERNATIONAL
RESEARCH CENTER FOR
TRADITIONAL POLYPHONY
OF TBILISI STATE CONSERVATOIRE

წელს სრულდება 20 წელი მას შემდეგ, რაც პირველი სიმპოზიუმი ჩატარდა – 2002 წლიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 1980-იანი წლებიდან დაფუძნებულმა მრავალხმიანობის საერთაშორისო კონფერენციებმა არსებობა განგრძეს სიმპოზიუმის სახელწოდებით. ამის მიზეზი იყო დიდი სურვილი, 2001 წელს იუნესკოს მიერ ქართული პოლიფონიის აღიარების შემდეგ, ტრადიციულ სამეცნიერო ფორუმებს ახალი სიცოცხლე დაეწყო. რა თქმა უნდა, ამას თან ახლდა მისწრაფება – გაგვეზადა იგი უფრო წარმომადგენლობითი და მასშტაბური. საბედნიეროდ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ ეს მოახერხა – 2003 წელს კონსერვატორიაში დაარსებული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და მისი ავსტრალიური ბიუროს ხელმძღვანელის, უკვე საერთაშორისოდ აღიარებული ეთნომუსიკოლოგის, იოსებ ჟორდანიათა ძალისხმევით თბილისურმა სიმპოზიუმებმა მიიპყრო მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგიური წრეების ყურადღება და მასთან მუდმივად თანამშრომლობენ აღიარებული მეცნიერები, რომელთა ნაწილი წლებგანდელ სიმპოზიუმზეც არის წარმოდგენილი.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბატონი სიმპა არომი, რომელიც უკვე ჩატარებული 10 სიმპოზიუმიდან 9-ს დაესწრო, დღესაც განაგრძობს ქართული პოლიფონიის კვლევას და ახალ მკვლევრებს იკრებს თავის გარშემო... ასევე, აღვნიშნავდი, რომ ბატონი სოსო ჟორდანია პირველად არ ესწრება თბილისში მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმს, რომლის სათავეებთან დგას იგი 1980-იანი წლებიდან და მინდა ქართველი ეთნომუსიკოლების სახელით მივულოცო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევა.

გასული სიმპოზიუმი საიუბლეო, მე-10 იყო და წელს კი მისი პირველად ჩატარებიდან 20 წლისთავს აღვნიშნავთ. იმედი მაქვს, წინა სიმპოზიუმების მსგავსად, შევძლებთ ღირსეულად ვუმასპინძლოთ მის მონაწილეებს.

რუსუდან წურნუშია

This year marks 20 years since the first symposium was held – the Tbilisi International conferences, founded at the Conservatoire in the 1980s have continued to exist under the name of Symposia since 2002. The reason for this was a great desire to breathe new life into traditional scientific forums after the recognition of Georgian polyphony by UNESCO in 2001. Of course, this was accompanied by the aspiration to make them more representative and large-scale. Fortunately, Tbilisi State Conservatoire has succeeded. Thanks to the efforts of the Conservatoire's Research Center for Traditional Polyphony and the head of its Australian Bureau – Joseph Jordania, an internationally recognized ethnomusicologist, the international symposia have attracted the attention of the world's ethnomusicological circles and renowned scientists constantly collaborate with it; some of them are also presented at today's symposium. I would especially like to single out Mr. Simha Arom, who has attended 9 out of the already held 10 symposia, he still continues to study Georgian polyphony and gathers new researchers around him..... I would also like to note that it is the first time that Soso Jordania is not attending the Forum on polyphony, at the beginning of which he has stood since the 1980s; and on behalf of Georgian ethnomusicologists I would like to congratulate him on his election as an academician of the Georgian Academy of Sciences.

Past symposium was the 10th, anniversary, and this year we are celebrating the 20 years from its first holding. I hope, like the previous symposia, we will be able to provide worthy hospitality to its participants.

გიორგი დონაძე
ა. ერქომაიშვილის სახელობის
საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრის
აღმასრულებელი დირექტორი



სასიხარულოა, რომ თბილისი მეთერთმეტედ მასპინძლობს თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმს. დარწმუნებული ვარ, ამ ჯერზეც ფორუმი ჩვეულებისამებრ მაღალი რანგის იქნება, როგორც სამეცნიერო, ასევე სამემსრულებლო თვალსაზრისით.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს, როგორც საერთაშორისო სიმპოზიუმის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და ოფიციალურ პარტნიორს, წელსაც ერგო პატივი, შეარჩიოს და გაუძღვეს საკონცერტო პროგრამას. კონცერტზე გაჟღერდება პოლიფონიური მუსიკა, დამსწრეთა წინაშე წარდგებიან, როგორც ინდივიდუალური მემსრულებლები, ისე საოჯახო ანსამბლები.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას და ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრს ვულოცავ ღირსეულად ჩატარებულ განვლილ სიმპოზიუმებს, დღეს კი მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ მე-11 სიმპოზიუმის ქართველ და უცხოელ მონაწილეებს – მეცნიერებს, მემსრულებლებს, ორგანიზატორებს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, როგორც ყოველთვის, 2022 წლის სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამა მოამზადა. მის მონაწილეებს საინტერესო საღამოები ელოდებათ – სიმპოზიუმს გახსნის ქალ-მემსრულებელთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ქართველ მემსრულებლებთან ერთად მიიღებს უკრაინელი მკვლევარი და მომღერალი კანადიდან ანდრეა კუზმიჩი, რომელიც ანსამბლ „იალონთან“ ერთად რამდენიმე უკრაინულ სიმღერას მიუძღვნის რუსი აგრესორის წინააღმდეგ მეტყველებს უკრაინელ ხალხს. სიმპოზიუმში კი დაიხურება ქართული მრავალხმიანობის საზეიმო კონცერტით.

ვიმედოვნებ, საღამოები აუდიტორიის დიდ ინტერესს გამოიწვევს.

GIORGI DONADZE

EXECUTIVE DIRECTOR OF THE
FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

It is gratifying, that for the eleventh time Tbilisi is hosting the Tbilisi International Symposium. I am sure that this time, too, the Forum will, as usually, be of high rank, in terms of both science and performance.

The Anzor Erkomaishvili Folklore State Center, as one of the organizers and official partner of the International Symposium, is honored to select and conduct the concert program this year as well. The concert will feature polyphonic music, both individual performers and family ensembles will perform for the audience.

I congratulate the Tbilisi State Conservatoire and the International Center for Traditional Polyphony for the worthily held past symposia, today I welcome and wish success to the Georgian and foreign participants of the 11 th Symposium – scholars, performers, organizers.

As always, the Folklore State Center has prepared the concert program for the 2022 symposium. Its participants will be able to attend interesting evenings – the symposium will open with a concert of female performers, with the participation of Ukrainian researcher and singer from Canada Andrea Kuzmich along with Georgian performers; together with ensemble Ialoni she will perform several Ukrainian songs dedicated to the heroic Ukrainian people fighting the Russian aggressor. The Symposium will close with a festive concert of Georgian polyphony.

I hope the evenings to be of great interest to the audience.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი

თეა წულუკიანი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი

ნანა შარიკაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

რუსუდან წურწუშია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი

იოსებ ჟორდანი, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელი (ავსტრალია)

გიორგი დონაძე, ა. ერძომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი

საორგანიზაციო ბიურო: მაია კაჭკაჭიშვილი, მაკა ხარძიანი, ნინო რაზმაძე, ბაია ჟუჟუნაძე, ანა ლოლაშვილი, თეონა ლომსაძე

პრეს-სამსახური: სოფიო ხაჭაპურიძე, თეონა ლომსაძე

სამუშაო ჯგუფი: ნანა ვალიშვილი, ნანა გოდერიძე, გიორგი დორაკაშვილი

SYMPOSIUM ORGANIZING COMMITTEE

TEA TSULUKIANI, MINISTER OF CULTURE, SPORTS AND YOUTH OF GEORGIA

NANA SHARIKADZE, RECTOR OF TBILISI STATE CONSERVATOIREN

RUSUDAN TSURTSUMIA, DIRECTOR OF THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY OF THE TBILISI STATE CONSERVATOIRE

JOSEPH JORDANIA, HEAD OF THE FOREIGN BUREAU OF THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY (AUSTRALIA)

GIORGI DONADZE, DIRECTOR OF THE LEPL A. ERKOMAISHVILI FOLKLORE STATE CENTRE

ORGANIZING BUREAU: MAIA KACHKACHISHVILI, MAKI KARDZIANI, NINO RAZMADZE, BAIA ZHUZHUNADZE, ANA LASHVILI, TEONA LOMSADZE

PRESS SERVICE: SOPIO KHACHAPURIDZE, TEONA LOMSADZE

WORK GROUP: NANA VALISHVILI, NANA GODERIDZE, GIORGI DOROKASHVILI

მონაწილეები

ავსტრალია/საქართველო	იოსებ შორღანია ნინო ტიციშვილი
აშშ	მარინა დეპერინსტოფორო
ბერმანია	ფრანკ შიერბაუმი
დირდი ბრიტანეთი	ქეროლინ გიტელი
ესპანეთი	მანუელ ლაფარგა მარკესი
	აინელეოპი სანს ბონსალესი
	პოლო ვალეჰო
ესტონეთი	იანისა ორასი
	ჟანა პარტლასი
ფინლანდია	მერე-სოფია ლაკოსი
ფრანცია	აბდულა აქათი
	ქაე ჰისაკა
გერმანია	მომხამად აშკან ნაზარი
ინგლისი	ლუკა ზარელი
იტალია	ანდრეა კრუმიჩი
	მარიო მორელი
ლიეტუვა	დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინენე
საფრანგეთი	სიგვან აროში
	ფლორენს კ. დარასი
	ფრანკ კანე
	ფრანკ შერბაუმი
	ფრანკ კეინი
საქართველო	პაატა ალავერდიაშვილი
	ბია ბაღაშვილი
	თამაზ ბაგისონია
	ნატალია ზუმბადე
	გიორგი კრავეიშვილი
	ანა ლოლაშვილი
	სანდრო ნათადე
	ნინო ნანეიშვილი
	ზინა ჟუჟუნაძე
	თეონა რუხადე
	ეკატერინე იაზარაშვილი
	ბაია ზუჟუნაძე
	ნატალია ზუმბადე
	ფრანკ შერბაუმი
	ლუკა ზარელი
	მოჰამად აშკან ნაზარი
	კაე ჰისაკა
	დაივა რაჩიუნაიტე – ვიჩინენე
	გორდანა ბლაგოევიჩი
	მანუელ ლაფარგა მარკესი
	სანზ პენელოპე გონზალესი
	პოლო ვალეჰო
	აბდულაჰ აკათი
სერბეთი	მარინა დეპერინსტოფორო
ფინლანდია	მერი-სოფია ლაკოსი

SCHOLARS

AUSTRALIA/GEORGIA	JOSEPH JORDANIA NINO TSITSISHVILI
CANADA	ANDREA KUZMICH MARIO MORELLO
ESTONIA	JANIKA ORAS ŽANNA PÄRTLAS
FINLAND	MERI-SOFIA LAKOS
FRANCE	SIMHA AROM MICHÈLE CASTELLENGO FLORENT C. DARRAS FRANK KANE
GEORGIA	PAATA ALAVERDASHVILI GIA BAGHASHVILI MADONA CHAMGELIANI TAMAR CHKHEIDZE TAMAZ GABISONIA MAKA KHARDZIANI GIORGI KRAVEISHVILI ANA LOLASHVILI NINO NANEISHVILI SANDRO NATADZE TEONA RUKHADZE EKATERINE YAZARASHVILI BAIA ZHUZHUNADZE NATALIA ZUMBADZE FRANK SCHERBAUM
GERMANY	LUCA ZARRILLI
ITALY	MOHAMMAD ASHKAN NAZARI
IRAN	KAE HISAOKA
JAPAN	DAIVA RAČIŪNAITĖ – VYČINIENĖ
LITHUANIAN	GORDANA BLAGOJEVIC
SERBIA	MANUEL LAFARGA MARQUES
SPAIN	SANZ PENELOPE GONZALEZ POLO VALLEJO ABDULLAH AKAT CAROLINE BITHELL MARINA DECRISTOFORO
TURKEY	
UK	
USA	

პაატა ალავერდაშვილი

საქართველო



PAATA ALAVERDASHVILI

GEORGIA

Paata Alaverdashvili has a bachelor's in psychology and a master's degree in psychotraumatology. He has been working in various psychotherapeutic programmes with children as well as adolescents. Paata is qualified in the Internal Family Systems psychotherapy approach. He works with groups of youth on developing their competencies of emotional regulation. His interests are related to unconventional healing practices from folklore.

INTERNAL FAMILY SYSTEMS THERAPY AND INTERVAL MAGIC OF BATONEBIS IAVNANA

(Co-authored with NINO NANEISHVILI)

In recent years, it has become topical to discuss and research on the therapeutic function and features of music, specifically – folk music. Primary function of the ancient Georgian ritual and the song included in it – Batonebis Iavnana, implied healing of the sick and soothing the spirits of Batonebi. This tradition and the associated beliefs, like many other traditions, is diminishing, however it still persists in some modern performers. My research deals with such a unique case and the distinctive example of Megrelian batonebis iavnana, *Ia Patnepi*, its peculiarities and connection with other songs of the same genre and.

პაატა ალავერდაშვილს აქვს ფსიქოლოგიის ბაკალავრის და ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის ხარისხი. პაატა კვალიფიცირებულია შინაგანი ოჯახის სისტემის ფსიქოთერაპიულ მიდგომაში. ის მუშაობს ახალგაზრდების ჯგუფებთან მათი ემოციური რეგულაციის კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით. მისი ინტერესის სფერო არის ფოლკლორში არსებული არაკონვენციური კურნების/ლხინების მიდგომები.

შინაგანი ოჯახის სისტემის თერაპია და ბატონების იავნანების ინტერვალების ზემოქმედება

(ნინო ნანიშვილთან თანავტორობით)

ბოლო წლებში აქტიუალური გახდა მუსიკის და უფრო კონკრეტულად — ხალხური მუსიკის თერაპიულ დანიშნულებასა თუ მახასიათებლებზე საუბარი და კვლევა. უძველესი ქართული სამკურნალო რიტუალი და მასში შემავალი სიმღერა — „ბატონების იავნანა“, თავის პირვანდელ ფუნქციად თერაპიას, ავადმყოფის განკურნებას და „ბატონების სულების“ დაამებას გულისხმობდა. ეს ტრადიცია და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენა, როგორც ბევრი სხვა ტრადიცია, მიღევადია, მაგრამ რამდენიმე თანამედროვე შემსრულებელში, ჯერ კიდევ აგრძელებს არსებობას. წარმოდგენილი კვლევა ასეთ უნიკალურ შემთხვევას და მეგრული ბატონების იავნანის გამორჩეულ ნიმუშს „ია პატნეფს“, მის კავშირს იმავე ჟანრის სხვა სიმღერებთან და მის თავისებურებებს ეხება.

სიმჰა არომი
საფრანგეთი



სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) საპატიო სამეცნიერო დირექტორი, ამავე ცენტრის ლაბორატორიის ზეპირი ტრადიცია – ენები და ცივილიზაციები (LACITO) ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების გამგე. ცენტრალურ აფრიკაში ხანგრძლივი მუშაობისას შეიმუშავა ინტერაქტიული ჩანწერის მეთოდები, რომლებიც ზეპირი ტრადიციის ნებისმიერი მრავალხმიანი მუსიკის ტრანსკრიფციისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ამ ნაშრომისათვის იგი დაჯილდოვდა სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ვერცხლის მედლით. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი, მრავალი სამეცნიერო სტატია, ოცდაათამდე ჩანაწერი და ფილმი. ამათგან, სამმა ფირფიტამ მიიღო ჩარლზ კროს აკადემიის დისკების საერთაშორისო გრან პრი.

მისი წიგნი აფრიკული მრავალხმიანობა და პოლირიტმია, რომელიც გამოსცა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ, 1992 წელს აღინიშნა პრესტიჟული ჯილდოთი ASCAP Deems Taylor A ნარდ. 2011 წელს მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა ფუმო კოიტსუმი პრემია. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორი (2006).

აკორდებისა და აკორდული თანმიმდევრობების კატეგორიზაცია ქართულ მრავალხმიანობაში (მუშაობის პროცესი გრძელდება)

(ფ. კ. დარა, მ. კასტელენგოს, ფ. კეინის, ა. ლოლაშვილისა და ფ. შერბაუმის თანაავტორობით)

ქართული მრავალხმიანი მართლმადიდებლური ვალდობისა და ხალხური სიმღერის ხუთი სხვადასხვა წყაროდან ანა ლოლაშვილის მიერ MusicXML-ში მომზადებულ ასამდე ციფრულ პარტიტურაზე დაყრდნობით, ამ ნაწარმოებებს აკორდებსა და აკორდულ თანმიმდევრობებში სტრუქტურული ნიმუშების იდენტიფიკაციისა და კატეგორიზაციისათვის ჩვენ გამოვიყენეთ კომპიუტერული ალგორითმები. საუკეთესო ალგორითმებით მოხერხდა სწორი კატეგორიების იდენტიფიკაცია 90%-ზე მეტი სიზუსტით. ეს შედეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს მცდელობაში ვიპოვოთ ქართული მრავალხმიანობის პარამონიული ორგანიზების წესები. მოხსენებაში მოკლედ არის წარმოდგენილი ამ საინტერესო თავგადასავლის ევრისტიკული განვითარება.

SIMHA AROM
FRANCE

Docteur d'Etat from the Sorbonne University (Paris) is currently Emeritus Director of Research at the French National Center for Scientific Research (C.N.R.S.) and Head of the Department of Ethnomusicology of the Laboratory Oral Tradition – Languages and Civilizations (LACITO) of the C.N.R.S.; During his long work in Central Africa, developed interactive recording methods allowing the transcription and analysis of any oral polyphonic music. For this achievement, was awarded the Silver Medal of the C.N.R.S., has published several books, numerous scientific papers, and some thirty records and films. Three of his records have won the Grand Prix International du Disque of the Academie Charles Cros, and his book African Polyphony and Polyrhythm, published by the Cambridge University Press, was awarded the prestigious ASCAP Deems Taylor Award in 1992. Was awarded Fumio Koitsumi prize for the contribution to the world ethnomusicology in 2011. Honorary Professor at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (2006).

CATEGORIZATION OF CHORD INVENTORIES AND CHORD PROGRESSIONS OF GEORGIAN POLYPHONY (WORK IN PROGRESS)

(Co-authored with F. C. DARRAS, M. CASTELLENGO, F. KANE, A. LOLASHVILI, F. SCHERBAUM)

Based on digital score models in MusicXML prepared by Ana Lolashvili from about one hundred Georgian polyphonic Orthodox chants and folk songs from five different sources, we used machine learning algorithms to identify and categorize structural patterns in chord inventories and chord progressions of these pieces. The best algorithms were able to identify the right categories with an accuracy of better than 90%. This result constitutes a major step in our attempts to find the rules for the harmonic organization of Georgian polyphony. The paper will briefly present the heuristic development of this exciting adventure.

აბდულა აკატი

(თურქეთი)



პროფესორი, დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი და სტამბულის ინოვერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ფაკულტეტის წევრი, ეთნომუსიკოლოგიის პროგრამა (2019 წლიდან), ICTM-ის კვლევითი ჯგუფის თავჯდომარე თურქულენოვანი სამყაროს მუსიკის შესახებ (2021 წლიდან). 2017 წლიდან არის ჟურნალის Musicologist რედაქტორი, მისი საექსპედიციო სამუშაოები, პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები და პრეზენტაციები უკავშირდება მუსიკის არქივირებას, თურქეთ-შავი ზღვის, ბალკანეთის, ყირიმისა და კავკასიის მუსიკალურ კულტურებს.

მრავალხმიანობისა და მაყამის ურთიერთკავშირის კვლევა თურქულ ხალხურ მუსიკაში

მუზაფერ სარისოზენი (1899–1963), ანკარის კონსერვატორიის ფოლკლორული არქივის უფროსი, მრავალხმიანობის საკითხს შეეხო 1940-იან წლებში შემკრებლობითი მიზნით მისი მოგზაურობის შემდეგ გამოქვეყნებულ ჩანაწერებსა და განმარტებებში. ისეთი საკრავების მრავალხმიანობის გარდა, როგორცაა ქქემენჩე, თულუმი, ჩიფთე, კავალი, ბაღლამა, ის ხაზგასმით საუბრობდა დუფონური ხალხური სიმღერების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც ჩაინერა თუნჯელი პერტეკის რაიონის სოფელ ულუპინარის ორი მცხოვრებლისგან და ჰოზათის რაიონის სოფელ იალიკიზაღაში, მკაცრად იზოლირებული მაცხოვრებლებისგან 1944 წელს.

1953 წელს ნაშრომში სახელწოდებით „ისტრუმენტული მრავალხმიანი ხალხური მუსიკა მცირე აზიაში“ ლორენს პიკენმა (1909–2007) აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონის მუსიკის მრავალხმიანი სტრუქტურა მაყამის კონცეპციას დაუკავშირა, სარისოზენის განმარტებების დამოწმებით განსაკუთრებით ინსტრუმენტული მრავალხმიანობის შესახებ.

მიმდინარე კვლევები თურქული ხალხური მუსიკის შესახებ, ძირითადად ეფუძნება მელოდიურ სტრუქტურას და განისაზღვრება მაყამის ან ბგერათრიგის კონცეპციით, თუმცა აშკარაა მასში ვლინდება მრავალხმიანობის მახასიათებლები, განსაკუთრებით ინსტრუმენტული მუსიკის თვალსაზრისით.

მოხსენებაში კვლავ დავუბრუნდები ამ საკითხს და შევეცდები გამოვავლინო თურქულ ხალხურ მუსიკაში მრავალხმიანობისა და მაყამის ურთიერთკავშირი თანამედროვე თვალსაზრისებთან. ასევე, დავიმოწმებ მელოდის ჰომოფონიური/პოლიფონიური მახასიათებლების შემცველ რამდენიმე აუდიო მაგალითს, რომლებიც ყალიბდებოდა მაყამის რამდენიმე სხვადასხვა ადგილობრივ დიალექტში.

ABDULLAH AKAT TURKEY

Prof. Dr., an ethnomusicologist, and faculty member at Istanbul University State Conservatory, Department of Musicology, Ethnomusicology Program (2019 to date), Chair of the ICTM SG on Music of the Turkic-speaking World (2021 to date), and the Editor-in-Chief of the Musicologist journal since 2017. His fieldworks, publications, research projects and presentations are related to music archiving, the Turkey-Black Sea, Balkan, Crimean, and Caucasian music cultures.

INVESTIGATION OF THE RELATIONSHIP BETWEEN POLYPHONY AND MAKAM IN TURKISH FOLK MUSIC

Muzaffer Sarısözen (1899-1963), the Chief of the Folklore Archive of the Ankara Conservatory, addressed the issue of traditional polyphony in his published notes and explanations as a result of his compilation tours in the 1940s. In addition to the polyphony of instruments such as the *kemençe*, *tulum*, *çifte kaval*, *bağlama*, he emphasized the importance of the duophonic folk songs recorded from two villagers from Ulupınar in Tunceli Pertek district and Yalkızağaç villages of Hozat district, where people lived a very isolated life in 1944.

Laurence Picken (1909-2007) correlated the polyphonic structure of the music of the Eastern Black Sea Region with the concept of makam in his paper titled “Instrumental Polyphonic Folk Music in Asia Minor” in 1953, by referring to Sarısözen’s determinations especially on instrumental polyphony.

The ongoing studies about the Turkish folk music have mostly been based on the melodic structure and defined with the concept of makam or scale, although it is obvious that it shows polyphonic characteristics, especially in terms of instrumental music.

In this paper, I will reawake the topic and attempt to reveal the correlations of polyphony and makam in Turkish folk music with contemporary perspectives. I will also give some audio examples on the homophonic/polyphonic features of the melody which formed in the makam in different local music dialects.



გია ბაღაშვილი

საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისის“ გენერალური დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი ფოლკლორისტის სპეციალობით. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის სათავეებთან“. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო შრომა. შექმნილი აქვს მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის საავტორო კურსი. ქართულ მრავალხმიანობაზე განხორციელებული აქვს საავტორო შემეცნებითი ტელერადიო პროექტები: „ქართული სიმღერა“, „შემოძახილი“, „ჩვენ მშვიდობა“. ჩატარებული აქვს საჯარო ლექციების სერია ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე ჰარვარდის, სტენფორდისა და ბერკლის უნივერსიტეტებში (აშშ), სიბელიუსის აკადემიაში (ფინეთი) ოსლოს კონსერვატორიაში (ნორვეგია), ბალტიის საერთაშორისო აკადემიაში (ლატვია), ლსს საერთაშორისო უნივერსიტეტში(ლიტვა), მადრიდის სამეფო კონსერვატორიაში (ესპანეთი) და ა.შ.

მრავალხმიანობა და ქართული იდენტობა თანამედროვე სოციალურ-კულტურული კონტექსტში

მრავალხმიანობა ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანესი კულტურული მახასიათებელია. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში, ქართველებისთვის იგი ქმედით იარაღს წარმოადგენს. თუმცა, მრავალხმიანობისთვის დამახასიათებელი შინაგანი სიმწყობრე და ჰარმონია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სოციალურ მიმართულებებში არ აირეკლება. ანუ სახეზეა ერთგვარი ანტიონომია, რომლის დაძლევა თანამედროვე სოციალურ-კულტურულ კონტექსტში, მრავალხმიანობის ესთეტიკური ბუნების რეფლექსიით არის შესაძლებელი. ამ რეფლექსიის მექანიზმი, თავის მხრივ, მუსიკალურ პრაქტიკაში, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ სისტემურობის, წესრიგისა და იმავდროულად, ქართული მრავალხმიანი აზროვნებისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის შინაგან ერთიანობას ეფუძნება.

GIA BAGHASHVILI

GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Arts, Professor at the Caucasus University, Director General of the Creative Union “Lomisi”, Georgian State Prize-winner. In 1994 graduated from the Musicology Department (in the specialty of folklorist) of Tbilisi State Conservatoire. In 2005 defended dissertation work “At the Aesthetic Sources of Georgian Folk Music”; author of about 20 scholarly publications; created the author’s course in the aesthetics of folklore; has realized author’s cognitive television-radio folk programs on Georgian polyphony: *Georgian Song, Shem-odzakhili, Chven Mshvidoba*; has delivered series of lectures on Georgian folk music at the Universities of Harvard, Stanford and Berkeley (USA), at the Sibelius Academy (Finland), Oslo Conservatoire (Norway), Baltic International Academy (Latvia), LCC International University (Lithuania), Madrid Royal Conservatoire (Spain) etc.

POLYPHONY AND GEORGIAN IDENTITY IN THE MODERN SOCIO-CULTURAL CONTEXT

Polyphony is one of the most important cultural features of the Georgian identity. During the struggle to preserve national identity, it proved to be an efficacious weapon for Georgians. However, the inner concord and harmony typically characteristic of Georgian polyphony are not reflected in other social aspects of public life. As a result, we are faced with a kind of antinomy, which can be overcome in the modern socio-cultural context by mirroring the aesthetic nature of polyphony. The mechanism of this reflection, in turn, is based on the internal unity of the systematics, order, and individualism characteristic of Georgian polyphonic thinking, developed in music practice over the centuries.



ქეროლაინ ბითელი
დიდი ბრიტანეთი

ქეროლაინ ბითელი (ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, ოქსფორდი, ფილოსოფიის დოქტორი, უელსი) არის მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი. ავტორია ორი მონოგრაფიისა „სიმღერით გადატანილი: კორსიკული ხმები ზეპირი ტრადიციიდან მსოფლიო სცენაზე“ (Scarecrow Press, 2007) და „სხვა ხმა, სხვა სიმღერა: საზოგადოების გაცოცხლება ბუნებრივი ხმისა და მსოფლიო სიმღერის მეშვეობით“ (ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 2014); არის ოქსფორდის მუსიკის აღორძინების ცნობარის (The Oxford Handbook of Music Revival, 2014) თანარედაქტორი. ბრიტანეთის აკადემიისა და Leverhulme Trust-ის მხარდაჭერით, ამჟამად მუშაობს ნიგნზე ქართული მრავალხმიანობის, კულტურული მემკვიდრეობისა და ინტერკულტურული მუზიციების შესახებ. მისი პროფესიული საქმიანობის ნუსხა მოიცავს ბრიტანეთის ეთნომუსიკოლოგიის ფორუმისა და ბუნებრივი ხმის ქსელის თავჯდომარის თანამდებობას.

**ინტერკულტურული უმისრულელობა ვირტუალურ სამყაროში:
ქართული სიმღერის ონლაინ მასტერკლასები კოვიდის დროს**

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა ხანგრძლივმა ჩაკეტვამ შეუძლებელი გახადა მოგზაურობა და პირადი შეხვედრები. თუმცა მან გააჩინა ახალი შესაძლებლობები ადამიანებისთვის, რომ შეხვედნენ ვირტუალურ სამყაროში და ინტერნეტის საშუალებით იმღერონ „ერთად შორ მანძილზე“. ქართველმა მომღერლებმა, რომლებმაც ვეღარ შეძლეს მასტერკლასების ჩატარება საზღვარგარეთ და მომღერალთა ჯგუფების მასპინძლობა საქართველოში, შეიმუშავეს კრეატიული გზები ახალი ტიპის მასტერკლასების მოწყობისთვის ზუმისა და სხვა პლატფორმებზე. მოხსენებაში განხილულია (1) გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდები და რესურსები (2), მოულოდნელი სარგებელი როგორც პედაგოგების, ისე სტუდენტებისთვის, და თუ (3) როგორ დაეხმარა ეს შეხვედრები ქართული სიმღერის საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შეენარჩუნებინათ თავისი სოციალური და მუსიკალური კავშირები საქართველოსთან და ერთმანეთთან. ასევე, საუბარია იმაზე, თუ როგორ პარადოქსულად გამოიწვია იზოლაციამ უფრო მრავალფეროვანი „აუდიტორიის“ აქტიური მონაწილეობა და გააჩინა ახალი მრავალფეროვანი ანსამბლები. მაგალითად მოხმობილია ნინო ნანეიშვილის, თამარ ბუაძის, მალხაზ ერქვანიძისა და ანსამბლ „ზედაშეს“ მასტერკლასები.

CAROLINE BITHELL
UK

Caroline Bithell (MA Oxon, PhD Wales) is Professor of Ethnomusicology at the University of Manchester, UK. She is the author of two monographs, *Transported by Song: Corsican Voices from Oral Tradition to World Stage* (Scarecrow Press, 2007) and *A Different Voice, A Different Song: Reclaiming Community through the Natural Voice and World Song* (Oxford University Press, 2014). She is also co-editor of *The Oxford Handbook of Music Revival* (2014). With support from the British Academy and Leverhulme Trust, she is now researching a new book about Georgian polyphony, cultural heritage and intercultural music-making. Her professional profile includes terms as Chair of the British Forum for Ethnomusicology and the Natural Voice Network.

INTERCULTURAL MUSICKING IN THE VIRTUAL WORLD: ONLINE GEORGIAN SINGING WORKSHOPS IN TIMES OF COVID

The extended lockdown caused by the COVID-19 pandemic made travel and in-person meetings impossible. Yet it also opened up new possibilities for people to meet in the virtual world and even sing ‘together apart’ via the Internet. Georgian singers who were no longer able to give workshops overseas or welcome groups of visiting singers to Georgia instead developed creative ways to deliver a new kind of workshop on Zoom and other platforms. In this paper I examine (i) the different teaching methods and resources used, (ii) the unexpected benefits for both teachers and students, and (iii) how these meetings enabled members of the international Georgian singing community to keep alive their social as well as musical connections with Georgia and with one another. I also reflect on how isolation paradoxically led to greater participation by a more diverse ‘audience’ and gave rise to new multi-national ensembles. Examples will include workshops led by Nino Naneishvili, Tamar Buadze, Malkhaz Erkanidze and the ensemble Zedash.

გორდანა ბლაგოჯევიჩი

სერბეთი



1999 წელს დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის განყოფილება ბელგრადში, სადაც დაიცვა სამაგისტრო (2000) და სადოქტორო (2007) ხარისხები, მეორე სადოქტორო დისერტაცია (2017) დაიცვა ათენის კაპოდისტრიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მუსიკის განყოფილებაში, მუშაობს სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. არის ხუთი მონოგრაფიის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია სერბეთში და მის ფარგლებს გარეთ. მისი კვლევის ძირითადი სფეროებია ეთნიკური იდენტობის, რელიგიური პრაქტიკის, კულტურული კონტაქტების, ეთნიკური უმცირესობების, ცეკვისა და მუსიკის ანთროპოლოგიის საკითხები.

პოლიფონური გუნდები, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი: სასკოლო გუნდები სერბეთში

ნაშრომი განხილულია საგუნდო მუსიკის როლი სერბეთში ახალგაზრდების განათლებაში და აღზრდაში. სერბეთის განათლების სისტემის თანახმად, სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო, რომ დაწყებით და საშუალო სკოლებს ჰყავდეთ გუნდები. ნაშრომში განხილულია ბოლო ათწლეულებში მომხდარი სოციალური ცვლილებების გავლენა საგუნდო რეპერტუარზე. ამრიგად, 2000-იანი წლებიდან გაჩნდა უფრო მეტი სიმღერა რელიგიურ თემებზე, ასევე, ტრადიციული ხალხური სიმღერების არანჟირებები. ამას გარდა, ნაშრომში განხილულია სასკოლო გუნდისთვის მოსწავლეების შერჩევის მეთოდი, აგრეთვე, საჯარო ღონისძიებების (სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები, კონკურსები და ა.შ.) შესაძლებლობები. ამ გუნდებში მოსწავლეთა მონაწილეობა არის თავისუფალი; კლასგარეშე აქტივობა დადებითად აისახება პიროვნულ განვითარებაზე, სოციალიზაციასა და გუნდურ მუშაობაზე.

GORDANA BLAGOJEVIC

SERBIA

Graduated (1999) from the Department of Ethnology and Anthropology of the Faculty of Philosophy in Belgrade, where she also defended MA (2002) and Ph. D. theses (2007). She obtained her second PhD theses (2017) from the Music Studies Department of the Faculty of Philosophy of National and Kapodistrian University of Athens. She has been employed in the Institute of Ethnography of the Serbian Academy of Sciences and Arts. She published five monographic books and many scientific papers in the publications in Serbia and abroad. Her main interests are issues of ethnic identity, religious practices, cultural contacts, ethnic minorities, anthropology of dance and anthropology of music.

POLYPHONIC CHOIRS AS PART OF THE EDUCATIONAL PROCESS: SCHOOL CHOIRS IN SERBIA

The focus of this research is the role of choral singing in the education and upbringing of young people in Serbia. In accordance with the Serbian education system, it is desirable, but not obligatory, for primary and secondary schools to have choirs. This paper analyzes the impact that social changes of the last decades had on choral repertoires. Thus, since the 2000s, more songs with religious themes have appeared, as well as arrangements of traditional folk songs. In addition, the paper discusses the method of selecting students for the school choir, as well as opportunities for public performances (school and extracurricular activities, competitions, etc.). The participation of students in these choirs is a free, extracurricular activity that has a positive effect on personal development, socialization and team work.



თამაზ გაბისონია

საპარტიველო

მუსიკოლოგიის დოქტორი (2009), ეთნომუსიკოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის სტუდენტური ხალხური გუნდის ხელმძღვანელი (2011-დან). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი (1986) მუშაობა დაიწყო იქვე, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტში ლაბორანტად (1986–1992), ხოლო შემდეგ – მეცნიერ-თანამშრომლად (1992–2004) და პედაგოგად (1998–2013). მუშაობდა კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში, როგორც სპეციალისტი და კოორდინატორი (2002–2012). სხვადასხვა დროს, ასევე, ასწავლიდა თბილისის კულტურის ინსტიტუტში, ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიაში, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში (იყო დეკანიც). აქვს 55 სამეცნიერო ნაშრომი. აქტიურად მონაწილეობს საველე-შემკვრებლობით ექსპედიციებში, სამეცნიერო ფორუმებში, სხვადასხვა პროექტში.

ქართული ტრადიციული მუსიკალური პროცესის ფაზები

ქართული მუსიკალური ტრადიციის, განსაკუთრებით – ზეპირის, დრამატურგიულ ფორმებს ბოლო ათწლეულებში არასათანადო სამეცნიერო ყურადღება ეთმობოდა. ამჯერად კი ვცდილობთ ქართული ხალხური სიმღერის ფორმადქმნადი პრინციპების ახლებულად წარმოჩენას და მუსიკალური კონსტრუქციის პროცესში აღქმას, რის შედეგადაც აქცენტს ვაკეთებთ ცნება „ფაზაზე“.

ფაზა გვესმის, როგორც მუსიკალური მასალის სივრცობრივ – დროითი ორგანიზაციის ორიგინალური ფორმა, მუსიკალური აზრის ელემენტი. იგი უფრო დინამიური კონცეპტია, ვიდრე ფრაზა. ახალი ფაზის მთავარი მიმანიშნებელია კილოური (მათ შორის — მოდულაციური) ან ფაქტურული ცვალებადობა. ვარიაციული და ოსტინატური განმეორებები, უმრავლეს შემთხვევაში, ფაზებად არ აღიქმება.

ფაზების მონაცვლეობა ქართული სიმღერების, განსაკუთრებით კი, საგალობლების უმეტესობაში გვხვდება. მათგან ზოგი კონტამინაციის შედეგია (მაგალითად – „ფრაზათა აკინძვა“, იგივე ცენტონიზაცია), ზოგიც – წინა ფაზის სხვადასხვა მეთოდით გადააზრებით ყალიბდება.

ფაზების თვითმყოფობაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჟანრული დეტერმინანტები და სხვა ფორმადქმნადი პრინციპები.

TAMAZ GABISONIA

GEORGIA

Doctor of Music, ethnomusicologist, Associate Professor at Ilia State University, director of the Ilia State University students' folk choir, Dean at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant. Graduated from the Department of Musicology of Tbilisi State Conservatoire (1986), defended a doctoral thesis on the forms of Georgian traditional polyphony (2009). His research interests have been focused on the issues of traditional polyphony, interrelation between Georgian folk song and church hymns, and their performance, music and semantics, religion and music. He has participated in a number of national and international conferences and field expeditions.

PHASES OF THE GEORGIAN TRADITIONAL MUSICAL PROCESS

The dramatic forms of the Georgian musical tradition, especially the oral one, have received insufficient scientific attention in recent decades. However, early experiments in this direction are still relevant. This time we are trying to present the principles of the formation of Georgian folk songs in a new way and perceive it in the process of musical construction, as a result of which we focus on the concept of “phase”.

The phase is understood as the original form of the spatio-temporal organization of musical material, an element of musical thinking. It is a more dynamic concept than a phrase. Main indicator of the new phase is the modal (including modulation) or texture's mobility. Variation and ostinato repetitions are not perceived as phases in most cases.

Phase alternation is encountered in most Georgian songs, especially in hymns. Some of them result from contamination (for example, “phrase binding”, i.e. centonization), some are formed by different rethinking from the previous phase.

პენელოპე სანს გონსალესი

ესპანეთი



SANZ PENELOPE GONZALEZ SPAIN

Penelope Sanz Gonzalez is teacher of Music Education, Master in Educational Technology and knowledge management, Independent Researcher and PhD student at the Lleida University. She has participated in numerous publications related to acquisition of musical skills, historical, biological and evolutionary aspects of music.

THE DAMNATION OF POLYPHONY: THE CLASSICAL WORLD AND TRADITIONAL EUROPEAN POLYPHONY

(Co-author **MANUEL LAFARGA MARQUES**)

It is assumed that the ancient peoples – including the great civilizations that have preceded ours – did not manage to consider the aesthetic subtlety of the simultaneous combination of sounds organized in forms and structures in a polymelodic and/or modal or tonal senses. The assertion that Greek and Roman music, present in all social spheres at any time and place of the thousands of typical cities that populated their world, was exclusively monophonic or at most heterophonic, verges on the absurd. The problems faced by the Christian authorities in persecuting and banning a certain type of music while extolling the virtues of another were considerable. The virtuous music that they promulgated consisted of the monody of the “new song” (source of spiritual elevation) as opposed to that of the pagans, considered as a demonic instrument and as a source of corruption. In the present work we try to point out some of the inconsistencies and/or discrepancies that arise when proposing a linear development of musical thought that emerges in plainsong and culminates in polyphony, while other sources, prior to the Christian ones, show the incongruity of this idea.

მოხსენებაში საუბარია ომის საწინააღმდეგო კოლექტიური სივრცის კონცეფციის კვლევაზე, რომელიც შეიძლება გადმოიცეს მრავალხმიანი სიმღერის საშუალებით. ძირითადი ყურადღება ეთმობა ბრინჯის პლანტაციებში მომუშავე იტალიელი ქალების (ლე მონდინე) რეპერტუარს, ჩრდილოეთ იტალიის დაბლობი რეგიონებიდან (ამ რეპერტუარის ყველაზე ცნობილი სიმღერაა „ბელა ჩაო“). ეს სიმღერები, რომლებიც არის მე-20 საუკუნის ომისდროინდელი იტალიის გამოძახილი, ხშირად ხდება სოციალური და ომის დროინდელი წინააღმდეგობის მიზეზი. ნაშრომი იკვლევს თუ როგორ შეიძლება წინააღმდეგობის პერიოდის სიმღერების ტონალობამ შექმნას სივრცე, რომელიც იწვევს ომის საწინააღმდეგო გრძნობებს ამ სიმღერებში აღწერილი ისტორიების, ემოციებისა და მოგონებების მეშვეობით. ომის საწინააღმდეგო განწყობების სივრცე შეიძლება შეიქმნას კოლექტიურად, მრავალხმიანი სიმღერით დაკავშირებული მომღერლების შეკრების გზით, რაც სიმღერას როგორც ტექსტით, ისე კოლექტიური შესრულებით აქცევს ომის საწინააღმდეგო აქტად. კვლევაში ეს გაანალიზებული იქნება როგორც ომის საწინააღმდეგო მრავალხმიანი სიმღერების საერთო ფენომენი იტალიის სხვადასხვა, მათ შორის, სალენტოს რეგიონის რეპერტუარში.



მოჰამად აშკან ნაზარი

ირანი

მუსიკის პედაგოგი და მკვლევარი, ქურთისტანის უნივერსიტეტი, სანანდაი, ირანი. ხელოვნებათმცოდნეობის ასპირანტი, ხელოვნების უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი. მაგისტრის ხარისხი ეთნომუსიკოლოგიაში, ხელოვნების უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.

მრავალხმიანობა ჰავრამანის მუსიკაში: *შემშალის* და სიმშალის ურთიერთქმედებისა ნარმოქმნილი ჰავრამანის მრავალხმიანობა ჰავრამანის ტრადიციულ მუსიკაში

(მერი-სოფია ლაკოსთან თანაავტორობით)

ჰავრამანს აქვს საკუთარი მუსიკა, რომელიც განსხვავდება ქურთისტანის სხვა რეგიონების მუსიკისგან. მისი ერთ-ერთი უნიკალური თვისებაა მხოლოდ ერთი საკრავის არსებობა სახელად *შემშალი*. შემშალის ევოლუციისა და რეგიონის მუსიკის გზები არასდროს გადაკვეთილა ან დაშორება ერთმანეთს, ნარმატებას პარალელურად აღწევდნენ. ამ საკრავის რეპერტუარი განსხვავდება რეგიონის ვოკალური რეპერტუარისგან. ჩასაბერი საკრავი *შემშალი* გამოიყენება კულტურულ ცერემონიებში. მისი შემსრულებლები ცდილობენ უფრო რიტმულ სიმღერების ადაპტირებას ვოკალური მელოდიების გამეორებით ან მათზე პასუხით და, აგრეთვე, მომღერლების აკომპანიებით. საკრავსა და მომღერლის ხმის დიაპაზონს შორის განსხვავების, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის სმენითი გემოვნების ესთეტიკური მახასიათებლებისა და კულტურული ასპექტების გამო აკომპანემენტს ხშირად მივყავართ ჰეტეროფონიამდე, ხოლო შესრულებაში ორი მომღერლის არსებობისას — მრავალხმიანობამდე. ეს მრავალხმიანობა არავითარ შემთხვევაში არ არის გაცნობიერებული და მიზანმიმართული და მან შეიძლება ყოველ ჯერზე დროის სხვადასხვა ინტერვალით იჩინოს თავი. ფაქტობრივად, *შემშალის* თანხლებით შესრულებული ნიმუშების უმეტესობაში გვხვდება მრავალხმიანობა. კვლევის მთავარი კითხვებია: რა პირობებში ჩნდება, როგორ ყალიბდება ეს მრავალხმიანობა და რა მახასიათებლები აქვს? როგორია მასთან დაკავშირებული ინტერვალები და კულტურული ასპექტები? შედეგები გვიჩვენებს, რომ ჰავრამანის მუსიკოსები ვერ ამჩნევენ ამ მრავალხმიანობას. ნარმოქმნილი „დისონანსური“ ინტერვალები არც მსმენელები და არც მუსიკოსები მიიჩნევენ უსიამოვნოდ.

MOHAMMAD ASHKAN NAZARI IRAN

Music Lecturer and Researcher; Kurdistan University, Sanandaj, Iran. Post-graduate Student of Art Studies; University of Art, Tehran, Iran. Master's Degree in Ethnomusicology; University of Art, Tehran, Iran.

POLYPHONY IN THE MUSIC OF HAWRAMAN: A STUDY OF THE UNCONSCIOUS POLYPHONY YIELDED IN THE INTERACTION OF SHEMSHAL AND SINGING IN HAWRAMAN'S TRADITIONAL MUSIC

(Co-authored with MERI-SOFIA IAKOS)

Hawraman has its own folk music that differs from the music of other regions in Kurdistan. One of the unique features of it is the existence of only one musical instrument called *Shemshal*. The evolutionary paths of *shemshal* and the music of the region have never met nor have diverged one another. They have rather thrived in parallels. In fact, this instrument has its own special repertoire, which is different from the existing vocal repertoire of the region. *Shemshal*, as a wind instrument, is used in cultural ceremonies. The performers of *Shemshal* have been trying to adapt into more rhythmic songs by repeating or answering to the vocal melodies as well as accompanying the singers. For reasons such as differences in tuning of the instrument and the sound range of the singers, the aesthetic features of the local people's auditory taste as well as cultural aspects, the accompaniment leads often to heterophony and in performances with two singers, it leads to polyphony. This polyphony is by no means conscious nor intentional and it may occur each time at different intervals. In fact, in most of the vocal performances accompanied by *Shemshal* polyphony is occurred. The main research question is how this polyphony is formed and what are the characteristics related to it? Under what conditions does this polyphony occur? What are the intervals and the cultural aspects related to those? The results indicate that the musicians of Hawraman do not notice this polyphony. The “dissonant” intervals that occurred were not considered as unpleasant by the listeners or the.



სანდრო ნათაძე

საქართველო

სანდრო ნათაძე ფილოსოფიის ბაკალავრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფოლკლორული ანსამბლ „ადილეის“ წევრი. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივარიუსი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსამსახურის კოორდინატორი. პროექტის ხელმძღვანელი DV – CD ალბომში – „სიმღერით დაძრული მთები“. ექსპედიციები: გურიაში, სვანეთში, იმერეთსა და აჭარაში. ჩატარებული სალექციო კურსები: ამერიკაში, ბრანდეისის (რანდეის) უნივერსიტეტში, თემაზე „ქართული ხალხური შრომის სიმღერები“. ონლაინ სალექციო კურსები იტალიური აუდიტორიისთვის ქართული ხალხური სიმღერის შესახებ.

ტრადიცია თანამედროვეობაში – სვანეთის 2021 წლის საველე კვლევის შედეგები

(თონა რუხაძესთან თანაავტორობით)

2021 წელს, ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ექსპედიციები ჩატარდა ზემო და ქვემო სვანეთში. საექსპედიციო ჯგუფის მხრიდან დასახულ საკვლევ თემათა შორის, პრიორიტეტული იყო სვანურ თანამედროვე სოციალურ ტრადიციული მუსიკის მნიშვნელობისა და ფუნქციონირების საკითხი. სვანეთში სავლელ კვლევებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ კუთხის სასიმღერო და საკრავიერი ნიმუშების ჩანერის პირველი მცდელობებიდან, საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ დროის განმავლობაში სვანური ტრადიციული მუსიკა არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის ინტერესს სწერდა იქცა. ძველი საექსპედიციო გამოცდილების გაცნობა და ახალ მასალებთან შეჯერება საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ სვანურ მუსიკაში მიმდინარე პროცესებზე: თვალი მივადევნოთ შემსრულებელთა სხვადასხვა თაობაში ამ მუსიკისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას, ავხსნათ თანამედროვე ყოფის კონკრეტულ მომენტებში მუზიკირების ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციის მიზეზები, დავაფიქსიროთ მრავალზნაირი სვანური სიმღერის სტრუქტურასა და შემსრულებლობაში მომხდარი ცვლილებები, ვიმსჯელოთ ამ ტრადიციის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

SANDRO NATADZE

GEORGIA

Bachelor of Philosophy, Iliia state University. A member of Folk ensemble “Adilei”. Archivist and coordinator of International relations at Anzor. Erkomaishvili Folklore State Centre of Georgia. Project Manager for a live record CD / DVD album “Songs for Mountain”. Expeditions to: Guria, Svaneti, Imereti, Achara. Has held lecture courses at: Brandeis University about “Georgian folk labor songs”. Online courses about Georgian folk songs for Italian audience.

TRADITION IN MODERNITY – THE RESULTS OF THE 2021 FIELD RESEARCH IN SVANETI

(Co-authored with **Teona Rukhadze**)

In 2021 Anzor Erkomaishvili Folklore State Centre of Georgia conducted expeditions in Upper and Lower Svaneti. Among the research topics set by the expedition group, the priority was the issue of the meaning and function of traditional music in contemporary Svan society. Field research in Svaneti has a long history. More than a century has passed since the first attempts to record songs and instruments in this region. During this time, Svan traditional music became the field of interest for many Georgian and foreign scholars. Familiarization with old expedition experiences and revision with new materials allows talking about current processes in Svan music: to observe different attitudes of different generations of performers to this music, to explain the reasons for the surviving tradition of musicking in specific moments contemporary life mode, to document the changes in the structure and performance of Svan polyphonic song, to discuss the challenges and future prospects of this tradition.

ნინო ნანეიშვილი

საქართველო



NINO NANEISHVILI

GEORGIA

Doctor of Arts (Ilia State University). Master of Church Music (Tbilisi State Conservatoire). Graduate of the course “Modern Management Methods” of the Academy of Management, 2019. Has directed female ensemble of traditional music Ialoni since 2009. A lecturer at Ilia State University since 2020. A lecturer at Giorgi Mtatsmideli University of Chanting since 2010. Director of ensemble Alilo of Bolnisi Center of Culture. Since 2018 she has collaborated with Rose Brufford College of Drama, Theater and Performance in London. Organizer and trainer of lectures-concerts and workshops in different countries (Georgia, Poland, Ukraine, Austria, Holland, Lithuania, England, Belgium). Participant of several dozens of international conferences and author of scientific articles (Georgia, Turkey, England). Author of a series of radio programs on the history of Georgian church and folk music.

INTERNAL FAMILY SYSTEMS THERAPY AND INTERVAL MAGIC OF BATONEBIS IAVNANA

(Co-authored with PAATA ALAVERDASHVILI)

In recent years, it has become topical to discuss and research on the therapeutic function and features of music, specifically – folk music. Primary function of the ancient Georgian ritual and the song included in it – Batonebis Iavnana, implied healing of the sick and soothing the spirits of Batonebi. This tradition and the associated beliefs, like many other traditions, is diminishing, however it still persists in some modern performers. My research deals with such a unique case and the distinctive example of Megrelian batonebis iavnana, *Ia Patnepi*, its peculiarities and connection with other songs of the same genre and.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (ილიას სახ. უნივერსიტეტი). საეკლესიო მუსიკის მაგისტრი (თბილისის სახ. კონსერვატორია) 2019 წლის მართვის აკადემიის „მართვის თანამედროვე მეთოდების“ კურსდამთავრებული. 2009 წლიდან ტრადიციული მუსიკის ქალთა ანსამბლ „იალონის“ ხელმძღვანელი. 2020 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. 2010 წლიდან დღემდე გიორგი მთაწმიდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის ლექტორი. ბოლნისის კულტურის ცენტრის ანსამბლ „ალილოს“ ხელმძღვანელი. 2018 წლიდან თანამშრომლობს ლონდონის დრამის, თეატრისა და პერფორმანსის Rose Brufford-ის კოლეჯთან. ლექცია — კონცერტებისა და ვორკუპების ორგანიზატორი და ტრენერი სხვადასხვა ქვეყნაში (საქართველო, პოლონეთი, უკრაინა, ავსტრია, ჰოლანდია, ლიტვა, ინგლისი, ბელგია). რამდენიმე ათეული საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და სამეცნიერო სტატიების ავტორი (საქართველო, თურქეთი, ინგლისი). ქართული საეკლესიო და ხალხური მუსიკის ისტორიის რადიოგადაცემების ციკლის ავტორი.

შინაგანი ოჯახის სისტემის თერაპია და ბატონების იავნანების ინტერვალების ზემოქმედება

(პაატა ალავერდაშვილთან თანაავტორობით)

ბოლო წლებში აქტუალური გახდა მუსიკის და უფრო კონკრეტულად — ხალხური მუსიკის თერაპიულ დანიშნულებასა თუ მახასიათებლებზე საუბარი და კვლევა. უძველესი ქართული სამკურნალო რიტუალი და მასში შემავალი სიმღერა — „ბატონების იავნანა“, თავის პირვანდელ ფუნქციად თერაპიას, ავადმყოფის განკურნებას და „ბატონების სულების“ დაამებას გულისხმობდა. ეს ტრადიცია და მასთან დაკავშირებული რწმენა- ნარმოდგენა, როგორც ბევრი სხვა ტრადიცია, მიღევადია, მაგრამ რამდენიმე თანამედროვე შემსრულებელში, ჯერ კიდევ აგრძელებს არსებობას. ნარმოდგენილი კვლევა ასეთ უნიკალურ შემთხვევას და მეგრული ბატონების იავნანის გამორჩეულ ნიმუშს „ია პატნეფს“, მის კავშირს იმავე უანრის სხვა სიმღერებთან და მის თავისებურებებს ეხება.

იანიკა ორასი
ესტონეთი



JANIKA ORAS
ESTONIA

Janika Oras is a senior researcher in the Estonian Folklore Archives of the Estonian Literary Museum. Her research focuses on Estonian traditional song cultures, various traditional and contemporary practices of singing as well as poetic-musical features of traditional song. She also teaches traditional music and singing in Estonian universities.

SETO MULTIPART SINGING AND OTHER MUSICS. CHANGING MEANINGS AND FUNCTIONS OF MULTIPART TRADITION OVER TIME THROUGH THE EYES OF ELDERLY SINGERS

Seto multipart singing tradition (leelo) has always coexisted with other styles of music. Next to the multipart leelo, solo vocal genres, traditional instrumental music, more modern end-rhymed singing, church singing, classical music – especially a cappella choral singing – and different popular music styles have been listened to and practiced in the Seto community. Today there are more collectives performing pop music and classical choral singing (14) than leelo groups (11) in Setomaa Rural Municipality, which covers the historical territory of the Seto in Estonia. The aim of my paper is to map the changes in the meanings and functions of the Seto traditional multi-part leelo-singing among different musical styles throughout the 20th and 21st century, using the biographical approach and considering also historical and comparative cultural perspectives. The analysis is based on the musical life stories of 10 elderly women who have been active practitioners of different singing styles. In qualitative in-depth semi-structured interviews, I tried to understand the relationship between Seto leelo and the other musical styles in their life, considering their perceptions and attitudes, as well as their active and passive musical practices. As the interviewees represent the elderly, this also provides an opportunity to use a gerontological perspective in the analysis: what has motivated my interviewees to sing, and how they experience and interpret the impact of singing on their self-fulfillment, - empowerment and physical wellbeing throughout their lives and in old age.

იანიკა ორასი არის ესტონეთის ლიტერატურის მუზეუმის ესტონეთის ფოლკლორის არქივის უფროსი მკვლევარი. მისი კვლევის ძირითადი საკითხებია ესტონური ტრადიციული სიმღერის კულტურები, სიმღერის სხვადასხვა ტრადიციულ და თანამედროვე პრაქტიკის, ასევე, ტრადიციული სიმღერის პოეტურ-მუსიკალური თავისებურებები.

სეტუს მრავალხმიანი სიმღერა და სხვა მუსიკა. დროთა განმავლობაში მრავალხმიანი ტრადიციის მნიშვნელობისა და ფუნქციების შეცვლა ხანდაზმული მომღერლების თვალით

სეტუს მრავალხმიანი სიმღერის ტრადიცია (ლეელო) ყოველთვის თანაარსებობდა სხვა სტილის მუსიკასთან. მრავალხმიან ლეელოსთან ერთად სეტუს თემში უსმენდნენ და ასრულებდნენ სოლო ვოკალურ ჟანრებს, უფრო თანამედროვე რიტმულ სიმღერებს, საეკლესიო საგალობლებს, კლასიკურ მუსიკას – განსაკუთრებით აკაპელა საგუნდო სიმღერებს – და პოპულარული მუსიკის სხვადასხვა ჟანრს. დღეს სეტუმასას სასოფლო მუნიციპალიტეტში, რომელიც მოიცავს სეტუს ისტორიულ ტერიტორიას ესტონეთში, პოპ მუსიკისა და კლასიკური საგუნდო სიმღერები შემსრულებელი უფრო მეტი კოლექტივია, (14), ვიდრე ლეელოს შემსრულებელი ჯგუფები (11). ჩემი მოხსენების მიზანია მე-20 და 21-ე საუკუნეების მანძილზე სეტუს ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის მნიშვნელობისა და ფუნქციის ცვლილებების რუკის შედგენა, ბიოგრაფიული მიდგომის გამოყენებით და ისტორიული და შედარებითი კულტურული პერსპექტივების თვალსაზრისით. ანალიზი ეფუძნება სხვადასხვა სასიმღერო სტილის აქტიური პრაქტიკოსი 10 ხანდაზმული ქალბატონის მუსიკალურ ცხოვრებას. თვისობრივად სიღრმისეული ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების დროს ვცდილობდი გამეგო სეტუ ლეელოსა და სხვა მუსიკალურ სტილებს შორის არსებული ურთიერთობა, მათი აღქმისა და დამოკიდებულების, ასევე, აქტიური და პასიური მუსიკალური პრაქტიკის გათვალისწინებით. გამოკითხულები მოხუცები არიან, რაც იძლევა გერონტოლოგიური პერსპექტივის გამოყენების შესაძლებლობას ანალიზში: რამ უბიძგა გამოკითხულებს ემდერათ და როგორ გრძნობენ და ხსნიან სიმღერის გავლენას მათ თვითრეალიზაციაზე და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე მთელი ცხოვრების მანძილზე.



ჟანა პარტლასი
ესტონეთი

ŽANNA PÄRTLAS
ESTONIA

Senior Researcher at the Estonian Academy of Music and Theatre, Tallinn. She studied musicology at the Rimski-Korsakov State Conservatory, St. Petersburg, where she received her PhD in 1992. Her research interests include Estonian and Mordovian folk songs and analytical approaches to traditional multipart singing. Since 1981 she has carried out field work in the Russia, Belorussia, Estonia, and Mordovia.

RISING AND FALLING TONALITY IN SETO MULTIPART SONGS (SOUTH-EAST ESTONIA). THE *KERGÜTÄMINE* TECHNIQUE AND ITS FUNCTIONS

Changing pitch level (tonality) in traditional unaccompanied vocal music is a widespread but little studied phenomenon (Alekseyev, 1986; Ambrazevičius, 2014, 2015; Scherbaum & Mzhavanadze, 2020). There is a well-known tendency towards gradual upward transposition, but the focus of this paper is the much rarer phenomenon of abrupt downward modulation following a gradual rise in pitch regularly practiced in the multipart songs of the Seto (South-East Estonia) and known as *kergütämine* (“relief”). This study is the first attempt to describe this unusual technique by means of an acoustic analysis of samples belonging to the “primary” tradition. The main research material is composed of nine songs performed by the choirs of three prominent Seto lead singers, Anne Vabarna (b. 1877), Kreepa Pihlaste (b. 1892), and Veera Pähnpuu (b. 1916). The results of the analysis not only allow a thorough description of this technique, but also enable us to test three main hypotheses regarding the functions of *kergütämine*: (1) as a practical necessity to facilitate singing; (2) as a semantic and compositional device associated with the verbal text; (3) as an ancient custom that should be maintained. As a result of the study, one further explanation is proposed, namely that a rapid pitch rise originally had an independent aesthetic value and emotional and ritual functions in the Seto tradition, and the role of *kergütämine* was not to restrain the rise but to promote it, giving the choir “space” for more rapid ascent.


ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიის (ტალინი) უფროსი მეცნიერ-მუშაკი. დაამთავრა სანკტ პეტერბურგის რიმსკი — კორსაკოვის სახ. კონსერვატორიის მუსიკოლოგიის ფაკულტეტი; 1992 მიენიჭა დოქტორის ხარისხი. იკვლევს ესტონურ და მორდოვის ხალხური სიმღერებს, ტრადიციული მრავალხმიანობისადმი იყენებს ანალიტიკურ მიდგომებს. 1981 წლიდან ატარებს სავლელ ექსპედიციებს რუსეთში, ბელორუსიაში, ესტონეთსა და მორდოვიაში.

აღმავალი და დაღმავალი ტონალობა სეტუს მრავალხმიან სიმღერებში (სამხრეთ – აღმოსავლეთი ესტონეთი). *KERGÜTÄMINE* ტექნიკა და მისი ფუნქციები.

ბგერის სიმალის (ტონალობის) ცვლილება უაკომპანემენტო ტრადიციულ სიმღერაში ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა (Alekseyev, 1986; Ambrazevičius, 2014, 2015; Scherbaum & Mzhavanadze, 2020). კარგადაა ცნობილი თანდათან აღმავალი ტრანსპოზიციისკენ მიდრეკილების ტენდენცია, მაგრამ მოხსენებაში განხილულია იშვიათი ფენომენი – მოულოდნელი დაღმავალი მოდულაცია, ბგერის სიმალის თანდათან მატების შემდეგ – *kergütämine* („შეება“), რეგულარულად გამოიყენებული სეტუს მრავალხმიან სიმღერებში. ეს კვლევა წარმოადგენს მისი აღწერის პირველ მცდელობას, „პირველად“ ტრადიციის ნიმუშების აკუსტიკური ანალიზის საშუალებით. გამოკვლეულია ცხრა სიმღერა, რომელთაც ასრულებს სეტუს სამი წამყვანი სოლისტი: ანე ვაბარნას (დაბ. 1877წ.), კრეეპა პიჰლასტესა (დაბ. 1892წ.) და ვეერა პაჰნაპუუს (დაბ. 1916წ.) გუნდები. შედეგად საფუძვლიანადაა აღწერილია ეს ტექნიკა და გადაამოწმებულია *კერგუტამინეს* ფუნქციებთან დაკავშირებული სამი ძირითადი ჰუპოთეზა: (1) პრაქტიკული აუცილებლობა სიმღერის გასაადვილებლად; (2) სიტყვიერ ტექსტთან დაკავშირებული სემანტიკური და კომპოზიციციური საშუალება; (3) უძველესი ტრადიცია, რომელიც უნდა შენარჩუნდეს. გთავაზობთ კიდევ ერთ ახსნას: სეტუს ტრადიციაში ბგერის სიმალის სწრაფ მატებას, თავდაპირველად, ესთეტიკური, ემოციური და რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა და *კერგუტამინეს* ფუნქცია იყო არა აღმასვლის შეკავება, არამედ მისი ხელშეწყობა, რაც ქმნიდა „სივრცეს“ უფრო სწრაფი აღმავლობისთვის.

იოსებ ჟორდანია

(ავსტრალია/საქართველო)



მუსიკისმცოდნეობის დოქტორი, მეღებურნის უნივერსიტეტის მეღებურნის მუსიკის კონსერვატორიის, საპატიო წევრი. ეთნომუსიკალური განათლება მიიღო საქართველოში. 1993 წლიდან. თბილისი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. არის ავსტრალიისა და საქართველოს მოქალაქე, 1995 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში. 1984 წელს დაიწყო ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ კონფერენციებისა და სიმპოზიუმების სერიების ორგანიზება. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი წევრი და საზღვარგარეთის ბიუროს ხელმძღვანელი. არის ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ფინურ, პორტუგალიურ, ჩინურ, იაპონურ, ბულგარულ, რუსულ და ქართულ ენებზე 160-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიული კვლევის ტრადიციულ მრავალხმიანობაზე და ადამიანის ევოლუციაზე ქართულ, რუსულ, ინგლისურ, იაპონურ და ჩინურ ენებზე. 2009 წელს მიენიჭა ფუმო კოიჯუმის პრემია ეთნომუსიკოლოგიაში. 2022 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ეთნომუსიკოლოგიის მრავალსახეობა

ეთნომუსიკოლოგია მუდმივად განიცდიდა და განიცდის ტრანსფორმაციას. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო პოლიტიკურ-ეთიკური შეხედულებების შეცვლა. თავიდან ეთნომუსიკოლოგიის მიზნად „არაევროპული“ კულტურების შესწავლა, ანდა მხოლოდ კულტურების შედარებაზე დამყარებული კვლევა ითვლებოდა სერიოზულად. ამასთან, ეთნომუსიკოლოგია ფუნდამენტურად იცვლებოდა ტექნიკური პროგრესის მიზეზითაც. ხმის ჩანერის გამოჩენა პირველი ტექნიკური რევოლუცია იყო. გრამფირფიტებმა შესაძლო გახადა მუსიკოს-შემსრულებლების მოსმენა დროით-სივრცული შეზღუდვების გარეშე, რამაც ტრადიციული და პროფესიული მომღერლები ლეგენდებად აქცია. საუკუნის პირველი დეკადები ბევრ კულტურაში ცნობილია, როგორც ხალხური შემსრულებლობის „ოქროს ხანა“. მოგვიანებით, ეთნომუსიკოლოგიური ფილმების გამოჩენამ გამოწვია ახალი რევოლუცია, დღეს კი საკმაოდ გაადვილებულია ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა კულტურის გაცნობა. ახალ პერსპექტივებს შორის არის თავის დროზე გაკრიტიკებული შედარებითი მუსიკოლოგიის დაბრუნებაც რასაც მოჰყვება დიდი თეორიულ-პრაქტიკული თემატიკის დაბრუნება ეთნომუსიკოლოგიაში, რის ნაკლებობასაც არაერთხელ აღნიშნავდნენ ჩვენი დასავლელი კოლეგები (მაგალითად, ბრუნო ნეტლი და ტიმ რაისი).

JOSEPH JORDANIA

AUSTRALIA/GEORGIA

Honorary Fellow of the Conservatory of Music at Melbourne University. Was educated as ethnomusicologist in Georgia. Since 1993 is the Professor of Tbilisi State Conservatory. Citizen of Georgia and Australia. Lives in Australia since 1995. Started organizing the series of conferences and symposia on traditional polyphony since 1984. Founding member of the International Research Centre for Traditional polyphony at Tbilisi State Conservatory, and the head of Foreign Bureau of the Polyphonic Centre. Author of over 160 publications in English, France, Spanish, Finnish, Portuguese, Italian, Arabian, Chinese, Japanese, Bulgarian, Russian and Georgian languages, including monographs on traditional polyphony and human evolution in Georgian, Russian, English, Chinese and Japanese languages. In 2009 received Fumio Koizumi Prize in ethnomusicology in Japan. In 2022 was elected a member of Georgian National Academy of Science.

MANY FACES OF ETHNOMUSICOLOGY

Ethnomusicology has been under a constant transformation throughout its history. One of the reasons was the changing political and ethical views. The initial goal of ethnomusicology as a discipline to research “non-European” cultures, by researching various cultures primarily based on comparative methodology became the thing of past. Apart from ideological changes, the technical progress profoundly affected shaping ethnomusicological goals and methodologies. The appearance of voice recording was the first major technical revolution. For the first time it became possible to hear the performers without spatial and temporary constraints. This factor turned many recorded artists into the legends of national art. Because of this the first decades of the 20th century are known in many cultures as the “golden age” of traditional performers. Later the appearance of ethnographic films brought another technical revolution. Today the use of social media (like YouTube videos) made the process of obtaining information about various cultures much easier. Among the new perspectives brought by the new technology is the possible comeback of the comparative methodology, that can help ethnomusicology to tackle bigger theoretical problems, the lack of which was mentioned a few times by leading Western ethnomusicologists (e.g., Bruno Nettl, Tim Rice).

ბაია ჟუჟუნაძე

საქართველო



BAIA ZHUZHUNADZE

GEORGIA

Ph.D candidate in cultural studies at Tbilisi State University. Holds Master's degree in musicology. Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire. PR manager at Georgian Chanting Foundation. She is a participant of 15 international research projects, author of 5 scientific articles, and compiler of Georgian folk music CDs. Her scholarly interest is focused on the interrelation and interaction of Georgian and adjacent musical cultures.

THE ROLE OF TRADITIONAL MUSIC IN THE PRESERVATION OF ETHNIC IDENTITY AMONG THE SECOND GENERATION OF GEORGIAN DIASPORAS (ON THE EXAMPLES OF GEORGIAN DIASPORAS IN EU, UK AND USA)

The mobility of Georgian population has expanded traditional frame of reference, which study indigenous music in a specific cultural and geographic location. In Georgian diasporas (mainly labour) established in the last two decades in EU, UK and USA music is one the main links which fills the spatial and cultural distance between the new place of settlement and homeland.

Traditional music plays important role in transferring particular identity from first-generation immigrants to those in the second generation who do not have their own experience of their parents' homeland (Klein). For most part of second generation bilingual immigrants Georgian is a secondary language. Teaching of Georgian traditional music to them has both musical and linguistic functions.

Focusing on the role of traditional music in identity preservation among Georgian diasporas poses the following questions: In the processes of globalization, deterritorialization and transnational migration what value does ethnic music have for second generation immigrants? What role does it play in transmission of ethnic identity?

The answers to these questions are sought for in the paper. The research will be based on the survey data collected by the author from traditional music teachers of Georgian Orthodox parishes abroad.

თსუ-ს კულტურის კვლევების პროგრამის დოქტორანტი; მუსიკოლოგიის მაგისტრი. თსუ-ს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი; ფონდ „ქართული გალობა“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. არის 15 საერთაშორისო კვლევითი პროექტის მონაწილე, 5 სამეცნიერო სტატიის ავტორი და ქართული ხალხური მუსიკის აუდიოალბომების შემდგენელი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ქართულ და მეზობელ მუსიკალურ კულტურებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედების საკითხები.

ტრადიციული მუსიკის როლი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების პროცესში ქართული დიასპორების მეორე თაობაში (ქართული დიასპორების მაგალითზე ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში)

საქართველოს მოსახლეობის მობილობამ გააფართოვა ტრადიციული თვალთახედვის ჩარჩო, რომელიც თვითმყოფად მუსიკას იკვლევს კონკრეტულ კულტურულ და გეოგრაფიულ სივრცეში. ევროკავშირში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ დიასპორებში (ძირითადად, შრომით) მუსიკა არის ერთ-ერთი მთავარი რგოლი, რომელიც ავსებს სივრცით და კულტურულ დისტანციას ახალ საცხოვრისსა და სამშობლოს შორის.

ტრადიციული მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკრეტული იდენტობის გადაცემაში პირველი თაობის ემიგრანტებიდან მეორე თაობაში, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი მშობლების სამშობლოს გამოცდილება (Klein). მეორე თაობის ორენოვანი ემიგრანტების უმეტესობისთვის ქართული არის მეორადი ენა. მათთვის ქართული ტრადიციული მუსიკის სწავლებას აქვს როგორც მუსიკალური, ასევე, ლინგვისტური ფუნქცია.

ქართულ დიასპორებში იდენტობის შენარჩუნების პროცესში ტრადიციული მუსიკის როლზე ფოკუსირება აჩენს შემდეგ კითხვებს: რა მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ მუსიკას მეორე თაობის ემიგრანტებისთვის გლობალიზაციის, დეტერიტორიალიზაციისა და ტრანსნაციონალური მიგრაციის პროცესებში? რა როლს ასრულებს ის ეთნიკური იდენტობის გადაცემაში?

მოცემულ ნაშრომში ავტორი ცდილობს უპასუხოს ამ კითხვებს. კვლევა ეფუძნება მის მიერ საზღვარგარეთ არსებული ქართული მართლმადიდებლური სამრევლოების ტრადიციული მუსიკის მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად მოპოვებულ მონაცემებს.



დაივა რაჩიუნაიტა-ვიჩინიენა

ლიეტუვა

დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე (1962) მუსიკისმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების გამგე. სუტარტინეს მომღერალთა ჯგუფის „ტრის კეტურიოზე“ წევრი, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის „სკამბა სკამბა კანკლიაი“ ორგანიზატორი. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია: ლიეტუვური მრავალხმიანი სიმღერები სუტარტინეს; ევროპული მრავალხმიანი სიმღერა; ეთნიკური მუსიკის შედარებითი და ინტერდისციპლინური კვლევა; მელოარეალოგია; ფოლკლორი და ფოლკლორიზმი; ტრადიციული სიმღერა თანამედროვე კულტურაში; ეთნოლინგვისტიკა და სხვ. მისი საქმიანობის სფეროებია: საველე კვლევა (ფოლკლორული ექსპედიციები — 1981 წლიდან); პუბლიკაციები — სამეცნიერო მონოგრაფიები (3); სამეცნიერო და გამოყენებითი სტატიები (90-ზე მეტი); დისერტაციებისა და სამეცნიერო მონოგრაფიების მიმოხილვები; ადგილობრივი მონოგრაფიული კომპაქტური და დივიდი დისკების მომზადება.

აუდიოვიზუალური დოკუმენტაციისა და კომუნიკაციის პრობლემები ეთნომუსიკოლოგიის პარსკაპტივიდან: ლიეტუვური მრავალხმიანი სიმღერის ზოგიერთი შემთხვევა

„აუდიოვიზუალური ეთნომუსიკოლოგიის“ მართებული გაგება ბევრ რამესთან არის დაკავშირებული: საველე კვლევა, არქივაცია, ციფრულ მატარებლებზე გადატანა, მასალის აუდიოვიზუალური გავრცელება და სხვ. მე შევჩერდები ლიტვის ზოგიერთ რეგიონში მრავალხმიანი სიმღერის აუდიოვიზუალური ჩანერის რამდენიმე შემთხვევაზე. ყურადღებას გავამახვილებ გადაღების სხვადასხვა მეთოდსა და მიზნებზე: მუზიკორების ვიზუალურ დაფიქსირებაზე, ეთნოგრაფიული მხატვრული დოკუმენტური ფილმების შექმნაზე, სხვადასხვა სასიმღერო სიტუაციის აღბეჭდვაზე (დადგმული და ბუნებრივი) და ა.შ. ეთნომუსიკოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი საგანი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ აუდიოვიზუალური დოკუმენტაციის პროცესი და მისი შედეგები, არამედ აუდიოვიზუალური ჩანერის სხვადასხვა მეთოდის შედარება. მოხსენება ეფუძნება სხვადასხვა გადაღების დროს პროფესიონალი რეჟისორების ეთნომუსიკოლოგებთან თანამშრომლობით დაფიქსირებულ პრობლემებზე. ეს არის არა მხოლოდ მიდგომების განსხვავებულობის პრობლემა (ავთენტური სიტუაციის დაფიქსირება და მხატვრული ფორმის შექმნა სივრცისა და გამოსახულების მიზანმიმართული გამოყენებით), არამედ მათთან დაკავშირებული კომუნიკაციური სირთულეები გადაღების დროს.

DAIVA RAČIŪNAITĖ – VYČINIENĖ

LITHUANIAN

Daiva Račiūnaitė-Vyčiniene (1962), PhD of Musicology, Professor, the head of the department of Ethnomusicology at Lithuanian Academy of Music and Theatre. The singer of sutartinės singers' group “Trys keturiose”, organizer of International Folklore Festival “Skamba skamba kankliai”. Scientific interests: Lithuanian polyphonic songs sutartinės; European multipart singing; comparative and interdisciplinary research on ethnic music; meloarealogy; folklore and folklorism; traditional singing in contemporary culture; ethno linguistics, etc. Areas of activity: field research (folklore expeditions) – since 1981); publications - scientific monographs (3); scientific and applied articles (over 90); reviews of dissertations and scientific monographs; preparation of CDs, DVDs, the local monographs, etc.

PROBLEMS OF AUDIOVISUAL DOCUMENTATION AND COMMUNICATION FROM THE PERSPECTIVE OF AN ETHNOMUSICOLOGIST: SOME CASES OF LITHUANIAN MULTIPART SINGING

The relevant concept of “audiovisual ethnomusicology” is associated with many things: field research, archiving, digitization, audiovisual dissemination of material, etc. I will focus on several cases of audiovisual recording of multipart singing in some regions of Lithuania. I will pay attention to different filming methods and goals: visual documentation of music-making, creation of ethnographic artistic documentaries, capturing of different singing situations (staged and natural), etc. Not only the process of audiovisual documentation itself and its results, but also the comparison of different methods of audiovisual recording could become an important object of ethnomusicological research. The report will be based on problems observed during various filmings by ethnomusicologists in collaboration with professional filmmakers. These are not only problems of difference of approach (documenting an authentic situation vs. creating an artistic form by deliberately using certain elements of space and image) but also the communication challenges associated with them during filming.



თეონა რუხაძე
საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგორნებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი კოორდინატორი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებელი და ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის სპეციალისტი. წაკითხული აქვს მოხსენებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. არის მუსიკალურ-ფოლკლორისტული ექსპედიციების, ეთნომუსიკოლოგიური პროექტებისა და პრეზენტაციების მონაწილე.

ტრადიცია თანამედროვეობაში — სვანეთის 2021 წლის სავლე კვლევის შედეგები

(სანდრო ნათაძესთან თანაავტორობით)

2021 წელს, ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ექსპედიციები ჩატარდა ზემო და ქვემო სვანეთში. საექსპედიციო ჯგუფის მხრიდან დასახულ საკვლევ თემათა შორის, პრიორიტეტული იყო - სვანურ თანამედროვე სოციალურ ტრადიციული მუსიკის მნიშვნელობისა და ფუნქციონირების საკითხი. სვანეთში სავლევ კვლევებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ კუთხის სასიმღერო და საკრავიერი ნიმუშების ჩანერის პირველი მცდელობებიდან, საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ დროის განმავლობაში სვანური ტრადიციული მუსიკა არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერის ინტერესს სფეროდ იქცა. ძველი საექსპედიციო გამოცდილების გაცნობა და ახალ მასალებთან შეჯერება საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ სვანურ მუსიკაში მიმდინარე პროცესებზე: თვალი მივადევნოთ შემსრულებელთა სხვადასხვა თაობაში ამ მუსიკისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას, ავხსნათ თანამედროვე ყოფის კონკრეტულ მომენტებში მუზიკირების ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციის მიზეზები, დავაფიქსიროთ მრავალხმიანი სვანური სიმღერის სტრუქტურასა და შემსრულებლობაში მომხდარი ცვლილებები, ვიმსჯელოთ ამ ტრადიციის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

TEONA RUKHADZE
GEORGIA

Teona Rukhadze – Ethnomusicologist, PhD in Arts. She is an associate professor at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant, chief coordinator of regional Service of the A. Erkomaishvili Folklore State Centre of Georgia, a lecturer at the V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and a specialist at Georgian Folk Music Laboratory. She has participated in national and international scientific conferences, participated in various field expeditions, research and educational projects.

TRADITION IN MODERNITY – THE RESULTS OF THE 2021 FIELD RESEARCH IN SVANETI

(Co-authored with SANDRO NATADZE)

In 2021 A. Erkomaishvili Folklore State Centre of Georgia conducted expeditions in Upper and Lower Svaneti. Among the research topics set by the expedition group, the priority was the issue of the meaning and function of traditional music in contemporary Svan society.

Field research in Svaneti has a long history. More than a century has passed since the first attempts to record songs and instruments in this region. During this time, Svan traditional music became the field of interest for many Georgian and foreign scholars.

Familiarization with old expedition experiences and revision with new materials allows talking about current processes in Svan music: to observe different attitudes of different generations of performers to this music, to explain the reasons for the surviving tradition of musicking in specific moments contemporary life mode, to document the changes in the structure and performance of Svan polyphonic song, to discuss the challenges and future prospects of this tradition.

ეკატერინა ყაზარაშვილი

საქართველო



საეკლესიო მუსიკოლოგიის დოქტორანტი კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე. 2012 წლიდან დღემდე საეკლესიო მუსიკის მიმართულების სპეციალისტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 2018 წლიდან დღემდე საეკლესიო გალობის პედაგოგი გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში. არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის/სიმპოზიუმის მონაწილე. სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ქრისტეშობის დღესასწაულთან, აგრეთვე დაინტერესებულია წმინდა ძმების კარბელაშვილების შემოქმედებით. არაერთი კონცერტის/ფესტივალის ორგანიზატორი თბილისსა და შიდა ქართლის რეგიონში.

წმინდა სტეფანე აღმსარებელი (ვასილ კარბელაშვილი) ქართული გალობის შესახებ (პირად წერილებზე დაყრდნობით)

წმინდა ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი) XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ნახევრის გამორჩეული ფიგურაა. მისი მოღვაწეობის სფეროები საერო და სასულიერო ცხოვრების არა ერთ დარგს მოიცავს. პირად მიმოწერებში თუ საგაზეთო პუბლიკაციებში, ინტენსიურად და თამამად აფიქსირებდა საკუთარ აზრს ქართული გალობის პოლიფონიური ბუნების, გალობის შესრულების, სწავლება-გავრცელების, გალობის ნოტებზე გადატანისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში მის პირად არქივზე დაყრდნობით ვიმსჯელობთ ქართული გალობის პრობლემებზე XIX-XX საუკუნეებში.

ვ. კარბელაშვილის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. პირადი არქივის გარკვეული ნაწილი (საგალობელთა სანოტო ხელნაწერები და ზოგიერთი წერილი) ცნობილია საეკლესიო მუსიკოლოგთა ფართო წრისათვის. ჩვენ მიერ შესწავლილია ვ. კარბელაშვილის პირადი არქივი სრულად. არსებული მასალები ნათელ სურათს გვიქმნის საქართველოში ეგზარხოზობისა და შემდგომი პერიოდის ქართული გალობის ურთულესი მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე, ახალი მასალები ამდიდრებს ჩვენს ცოდნას აღნიშნული საკითხების გარშემო და ხაზს უსვამს ვასილ კარბელაშვილის, როგორც აქტიური მებრძოლისა და შემოქმედებითი ფიგურის როლს მისი პერიოდის საქართველოში.


EKATERINE YAZARASHVILI GEORGIA

Doctoral student in ecclesiastical musicology at the Department of Composition and Musicology of the Tbilisi State Conservatoire. Since 2012 she has been a specialist in ecclesiastical music at Tbilisi State Conservatoire. Has been a teacher of ecclesiastical chanting at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chanting since 2018. Has participated in a number of national and international conferences/symposia. Her scholarly interests are related to Christmas holiday, is also interested in the works of St. Karbelashvili brothers. She is an organizer of a number of concerts/festivals in Tbilisi and Shida Kartli region.

ST. STEPHANE THE CONFESSOR (VASIL KARBELASHVILI) ABOUT GEORGIAN CHANTING (BASED ON PERSONAL LETTERS)

Bishop Stephane (Karbelashvili) is a prominent figure of the second half of the 19th century and the first half of the 20th century. The spheres of his activity include several fields of secular and religious life. In personal correspondence and newspaper publications, he intensively and boldly expressed his opinion on the polyphonic nature of Georgian chants, performance, teaching and dissemination of hymns, their transfer to musical notation system and contemporary state. Basing on his personal archive, the paper discusses the problems of Georgian chanting in the 19th-20th centuries.

Vasil Karbelashvili's personal archive is preserved at the Georgian National Center of Manuscripts. Part of the personal archive (handwritten notations of hymns and some letters) is known to a wide circle of church music researchers. V. Karbelashvili's archive has been fully explored by us. The archival materials create a clear picture of the grave state of Georgian chanting during Exarchate and later period in Georgia. In addition, the new materials enrich our knowledge on these issues and emphasize the role of Vasil Karbelashvili as an active fighter and creative figure in Georgia of his time.



ფრანკ შერბაუმი
გერმანია

ფრანკ შერბაუმი არის გეოფიზიკის პროფესორი პოტსდამის (გერმანია) უნივერსიტეტში, სადაც მან შექმნა სეისმოსკოპიანი ლაბორატორია (<https://www.uni-potsdam.de/en/soundscapelab/about-seismosoundscape-lab/concept.html>), ვირტუალური ლაბორატორიული სივრცე ტრანსდისციპლინური მუშაობისთვის სეისმოლოგიის, აკუსტიკის, მუსიკისა და კომპიუტერული მეცნიერების სფეროებში. 2018 წლიდან ხელმძღვანელობს GVM პროექტის (ქართული ტრადიციული ვოკალური მუსიკის გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგია) პოტსდამის ნაწილს. 2015 წლიდან მისი აკადემიური კვლევა კონცენტრირებულია გამოთვლით ეთნომუსიკოლოგიაზე. ამ კონტექსტში ის მუშაობს საექსპედიციო ჩანერის ახალი ტექნიკის შემუშავებაზე, მათ შორის სენსორების წარმოებაზე, ქართული ტრადიციული ვოკალური მუსიკის ახალ მულტიმედია მონაცემთა ნაკრების გამოთვლითი ანალიზისთვის, არადასავლური მუსიკის ვიზუალიზაციის ახალი ტექნიკის შექმნასა და აუდიომონაცემების აკუსტიკურ ანალიზზე. ჩატარებული აქვს მოცულობითი საექსპედიციო სამუშაოები საქართველოში, ძირითადად, სვანეთსა და აჭარაში.

**ქართული ტრადიციული ვოკალური მუსიკის
გამოთვლითი ანალიზის ხუთი წელი: პროექტი GVM**

მოსხენება წარმოადგენს ანგარიშს კვლევითი პროექტისა – „ქართული ტრადიციული ვოკალური მუსიკის გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგია“, – რომელიც ამჟამად ხორციელდება ერლინგერისა და პოსტდამის უნივერსიტეტების მკვლევართა საერთაშორისო ინტერდისციპლინური ჯგუფის მიერ. პროექტის მიზანია განავითაროს ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე ფოკუსირებული ეთნომუსიკოლოგიური კვლევა დამყარებული აუდიოიგნალის კომპიუტერული დამუშავებისა და მუსიკალური ინირმაციის მიღების (MIR) მეთოდებზე.

მოსხენებაში წარმოდგენილია ავტორის თვალთ დანახული ქართული ტრადიციული მუსიკის გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგიის სფეროში მუშაობის განვლილი ხუთწლიანი გზის მიზნები, გამოწვევები და შერჩეული შედეგები.

FRANK SCHERBAUM
GERMANY

Frank Scherbaum is Professor of Geophysics at the University of Potsdam/Germany where he created the SeismoSoundScape-Lab (<https://www.uni-potsdam.de/en/soundscapelab/about-seimosoundscape-lab/concept.html>), a virtual lab space for transdisciplinary work in the fields of seismology, acoustics, musicology, and computer science. Since 2018 he leads the Potsdam part of the GVM-project (Computational ethnomusicology of traditional Georgian vocal music). Since 2015, his academic research focuses on the field of computational ethnomusicology. In this context he is working on the development of new field recording techniques including the manufacturing of sensors, the generation of new multi-media datasets of traditional Georgian vocal music for computational analysis, the development of new visualisation techniques for non-western music, and the acoustical analysis of audio data. He has also done extensive field work in Georgia, primarily in Svaneti and Adjara.

FIVE YEARS OF COMPUTATIONAL ANALYSIS OF TRADITIONAL GEORGIAN VOCAL MUSIC: THE GVM PROJECT

In recent years, we have been seeing a revolution in how computer technology changes the way we live and interact with the world around us. These changes have also started to influence ethnomusicology and have led to the emergence of a new field of science called „Computational Ethnomusicology“. Here we report on the research project “Computational Ethnomusicology of Traditional Georgian Vocal Music”, which is currently being carried by an interdisciplinary and international team of scholars at the German universities of Erlangen and Potsdam, under funding of the German Research Foundation. The general goals of the project are to advance ethnomusicological research with a focus on traditional Georgian vocal music by employing computational methods from audio signal processing and music information retrieval (MIR). Drawing upon five years of collaborative work in the field of traditional Georgian music, we discuss the goals, status and selected results of this novel undertaking.



მადონა ჩამგელიანი

საქართველო

ეთნოლოგიის მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). წარმოშობით სვანეთიდანაა და ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას *ლიდბაშის კავშირი*, რომელიც მუშაობს სვანეთისა და რაჭის მთიან რეგიონებში ადგილობრივი კულტურული პრაქტიკის შენარჩუნებაზე, ხელახალ აღმოჩენასა და განვითარებაზე. არის ავტორი რამდენიმე სტატიისა სვანური სიმღერების, რიტუალებისა და ენის შესახებ. მუშაობს კონსულტანტად და სვანური ენის ექსპერტად რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო. პროექტში, მათ შორის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და პოსტდამის (გერმანია) უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში. კვლევისა და ორგანიზაციული საქმიანობის გარდა, მადონა, ასევე, მღერის, როგორც წესი, თავის დებთან ერთად; არის საკონცერტო ტურნეების მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში როგორც ქართულ, ისე უცხოურ ჯგუფებთან ერთად.

„დაე შენს სამარშრუტო ტაქსს კარგი მგზავრები ჰყავდეს“: გულა გაბრიელის სვანური დღესასწაულის ლოცვა, სიმღერები და რიტუალები

(მარინა დეკრისტოფოროსთან თანაავტორობით)

წინამდებარე ნაშრომი (და თანდართული ვიდეო) ეძღვნება გულა გაბრიელის დღესასწაულის აღნიშვნას სვანეთში, საქართველო, რომელიც აღინიშნება წელიწადში სამჯერ — აღდგომის მომდევნო სამ სამშაბათს; გულა (აღდგომის სახელი — გულ) გაბრიელი არის უშბასთან ახლოს, ბეჩოს თემში მდებარე XI საუკუნის გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძრის დღესასწაული, რომელზეც მხოლოდ მამაკაცები დაიშვებიან.

ნაშრომი ემყარება 2021 წელს ჩატარებული ეთნოგრაფიული სავსე სამუშაოების მასალებს. რიტუალის აღწერა-განალიზებასთან ერთად მისი მიზანია პრაქტიკის დღევანდელი მდგომარეობისა და რიტუალში მომხდარი ცვლილებების შესწავლა. ჩნდება კითხვები: როგორ და რატომ გადავიდა მუსიკალური ელემენტები უკანა პლანზე? შეიძლება თუ არა ადგილობრივების ინტერესის გაღვივება რიტუალების მუსიკალური ელემენტების მიმართ პრაქტიკის სპექტაკლად გადაქცევის გარეშე? შეიძლება თუ არა ალტერნატივა ჰქონდეს ტრადიციის ერთგვარი „ხელოვნური“ აღდგენის მიდგომას?

MADONA CHAMGELIANI GEORGIA

MA of Ethnology (Tbilisi State University). Originally from Svaneti, she heads the Lidbash Union, a non-governmental organization that works to preserve, rediscover and develop local cultural practices in the mountainous regions of Svaneti and Racha. Is the author of several articles on Svan songs, rituals and language. Works as a consultant and Svan language expert for several local and international projects, including research projects of the Shota Rustaveli National Science Foundation and the University of Potsdam (Germany). In addition to research and organizational work, Madonna also sings, as a rule, with her sisters; Is a participant of concert tours in different countries of the world with both Georgian and foreign groups.

“AND MAY YOUR MARSHRUTKA HAVE GOOD PASSENGERS”: PRAYERS, SONGS, AND RITUALS OF THE SVAN FEAST-DAY OF GULA GABRIEL

(Co-authored with MARINA DECRISTOFORO)

This paper (and attached video) is dedicated to the celebration of Gula Gabriel’s holiday in Svaneti, Georgia, which is celebrated three times a year - on the next three Tuesdays of Easter; Gula (place name - Gul) Gabriel is a holiday of the 11th century temple of the Archangel Gabriel in the Becho community, near Ushba, to which only men are allowed. The paper is based on the materials of ethnographic field work conducted in 2021. Along with the description-analysis of the ritual, its purpose is to study the current state of the practice and the changes that have taken place in the ritual. Questions arise: how and why did the musical elements move to the background? Is it possible to arouse the interest of the locals towards the musical elements of the rituals without turning it into a practice performance? Could there be an alternative to a kind of ‘artificial’ approach to the restoration of tradition?



თამარ ჩხეიძე

საპარტოველო

თამარ ჩხეიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საეკლესიო მუსიკის მკვლევარი, მუსიკის თეორეტიკოსი. არის გიორგი მთანინდელის სახ. გალობის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახ. კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი. იკვლევს ქართული გალობის ლიტურგიკულ, ისტორიულ — თეორიულ ასპექტებს, სამუსიკო დამწერლობის სისტემებს და მუსიკალურ კანონზომიერებებს. უძღვება მუსიკალურ — თეორიულ და მუსიკალურ — ლიტურგიკულ დისციპლინებს კონსერვატორიასა და გალობის უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს კვლევებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. იყო მინვეული პროფესორი ლუბეკის Musikhochschule-ში (2018 წ) და ლისტის მუსიკის აკადემიებში (2019) ლექციათა ციკლით ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის შესახებ. სისტემატიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „ქართული გალობის ჭრელები“, 2022); „ქართული საეკლესიო მუსიკის თეორიული საფუძვლები“, 2018); არის მრავალი სამეცნიერო პროექტის მონაწილე, კრებულის რედაქტორი და შემდგენელი. მათ შორისაა სამგალობლო ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (თანაავტორი დ. შულღიაშვილი); ჰარმონიის ისტორიისა და თეორიის ქრესტომათია (თანაავტორები ი. ჟღენტი, მ. ნადარეიშვილი, 2022).

„ფორმულაბრივი“ კილოს არსი ქართულ საეკლესიო გალობაში და მისი ფუნქციონირება მრავალხმიან კონტაქსტში

მოხსენებაში განხილულია ქართული საეკლესიო საგალობლის მთავარი ჰანგის კილოური ორგანიზების ფორმა და მელოდიკის ტიპი. განმარტებულია „ფორმულაბრივი“ კილოს არსი სხვადასხვა, მათ შორის ქართულ სამუსიკო ტრადიციაში. ქართული საგალობლის მთავარი ჰანგისა და მისი მრავალხმიანი რეალიზების ნაირგვარი ფორმების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საგალობლის ჰარმონიული სისტემის თავისებურებები და შემოთავაზებულია მუსიკალური კანონზომიერებების ანალიზის რელევანტური მეთოდოლოგია.

TAMAR CHKHEIDZE

GEORGIA

Tamar Chkheidze – musicologist, Ph.D. in Art Studies, researcher of Church music and music theory, Professor at Giorgi Mtatsmindeli Chanting University and Dean of the Faculty, Head of the church music department of TSC. She has researched the liturgical, historical, and theoretical aspects of Georgian chanting, unpitched notation, and musical-theoretical problems for many years. Her scientific research was supported by DAAD (2014). She leads musical-theoretical and music-liturgical disciplines and is the supervisor of BA, MA, and Doctoral thesis. She was an invited lecturer at The Lübeck Musikhochschule (2018) and The Liszt Academy of Music (2019)-lectures about the theory of Georgian traditional music; regularly participates at international scientific forums and spreads actively Georgian scientific results among international society; has published up to 40 scientific works, among them, in international editions; is the author of the books: The ornamented “Chreli” Chants of Georgian Chanting” (SRNSFG grant #SP-21-447-2022); “Theoretical Basis of Georgian Church Music” (Lectures, 2018); E-Dictionary of Chanting Terms (co-author D. Shugliashvili, 2015); “Reader of Harmony” (co-authors I. Zghenti; M. Nadareishvili, 2022); is the participant of many scientific projects, editor and compiler of the collection. Among them are: bilingual (Georgian – English) book: “Studies of Georgian Church Music” 2018. PWN. Warsaw, “Georgian Medieval Chanting. Selected Chants”. 2018 PWN. Warsaw.

THE ESSENCE OF THE “FORMULAE” MODE IN GEORGIAN CHANTING AND ITS REALIZATION IN MULTIPART CONTEXT

The paper discusses the form of modal organization and the type of melody of the main tune of the Georgian chant. The essence of the “formulae” mode is explained in various, including Georgian musical traditions. Based on the analysis of the main tune of the Georgian hymn and multiple forms of its polyphonic realization, the peculiarities of the harmonic system of the chants are revealed, and the relevant methodology of the analysis of the musical regularities is proposed.



ნინო ციციშვილი
 ავსტრალია/საქართველო

NINO TSITSISHVILI
 AUSTRALIA/GEORGIA

An evolutionary musicologist, earned her Masters and Doctorate degrees (Monash University, Australia). The author of two books (a monograph and an edited collection), as well as numerous articles and chapters in refereed journals, Encyclopedia, and edited books. Tsitsishvili’s recent publications take an evolutionary perspective on human social, cultural, and sexual behaviour, including the commissioned chapter for “Music in Human Experience: Interdisciplinary Perspectives on a Musical Species,” and the authored book “Origins of the Love Song: Sexual Selection or Sexual Frustration?” (forthcoming).

ევოლუციური მუსიკოლოგი. მოიპოვა მაგისტრის და დოქტორის წოდება ავსტრალიის მონაშის უნივერსიტეტში. არის ავტორი მონოგრაფიისა და კრებულის, აგრეთვე, მრავალი სტატიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ნამყვან ეთნომუსიკოლოგიურ საერთაშორისო ჟურნალებში, ენციკლოპედიათა და რედაქტირებულ კრებულებში. ბოლო წლების ნაშრომები შეეხება ადამიანის სოციალური, კულტურული და სექსუალური ცხოვრების ევოლუციურ ასპექტებს. მისი შრომა გამოქვეყნდა წიგნში სათაურით „მუსიკა ადამიანის გამოცდილებაში: ინტერდისციპლინარული პერსპექტივები მუსიკალურ სახეობაზე.“ მისი ბოლო წიგნი სათაურით „სასიყვარულო სიმღერის წარმოშობა: სქესობრივი შერჩევა თუ სქესობრივი იმედგაცრუება?“ ამჟამად იბეჭდება.

COORDINATED CHORUSES AND SOCIAL-REPRODUCTIVE SYSTEMS: CROSS-SPECIES EXAMINATION

Many species in nature use vocal calls and singing for communication. Some vocalisations are solo or duets, involving one or two individuals and used as mating calls, advertising oneself to a potential mate, to show cohesion within a pair-bond, or claiming a territory. In socially living groups vocalisations often take a form of coordinated choruses, the purpose of which seems to be the achievement of group cohesion. The purpose of such coordinated choruses could be explained in association with territorial defence, territorial advertisement and ultimately, for the survival of a group. As such, they could be part of natural selection, but more specifically of multi-level natural selection, which combines both individual and group selection. According to the multi-level selection model, group selection can occur when competition between groups is more important for survival than competition between individuals within each group. In this paper I examine a hypothesis according to which coordinated choruses usually occur in those species which practice multiple-partner sexual relations rather than monogamy or polygyny. Correlation between multiple-partner sexual systems and coordinated choruses is observed in humans as well as in many birds that are known as cooperatively or plurally breeding bird species. Promiscuity, the term that possesses negative undertones in human perception and is often seen as extra-pair copulations, characterizes these species. I examine the two features—coordinated chorus singing and plural breeding—as part of the same system of behaviours utilised for group cohesion and survival.

კოორდინირებული გუნდები და სოციალურ-რეპროდუქციული სისტემები: სახეობათა შორის შედარება

ბუნებაში მრავალი სახეობა იყენებს ვოკალიზაციას კომუნიკაციისათვის. ზოგიერთ სახეობაში ვოკალიზაცია სოლო ან დუეტური სიმღერის სახით ვლინდება და გამოიყენება, (1) როგორც რეპროდუქციული სტრატეგია, (2) როგორც ტერიტორიის დაცვის სტრატეგია და (3) როგორც ურთიერთობების გამყარების საშუალება წყვილში. სოციალურად მცხოვრებ ჯგუფურ სახეობებში ვოკალიზაცია და სიმღერა ხშირად იღებს კოორდინირებული გუნდის ფორმას, რომლის მიზანი, როგორც ჩანს, ჯგუფის ერთიანობის მიღწევაა. ეს შეიძლება განვიხილოთ ბუნებრივი გადარჩევის და, უფრო კონკრეტულად, „მრავალ-ღონიანი ბუნებრივი გადარჩევის“ ნაწილად და აერთიანებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე შერჩევას. ჯგუფური შერჩევა ჩაერთვება მაშინ, როდესაც ჯგუფებს შორის კონკურენცია უფრო მნიშვნელოვანია გადარჩენისათვის ვიდრე ცალკეულ ინდივიდუალებს შორის კონკურენცია ჯგუფის შიგნით. ნაშრომში განხილულია ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც კოორდინირებული გუნდები ჩვეულებრივ გვხვდება იმ სახეობებში, რომლებშიც მრავალპარტნიორიანი სექსუალური ურთიერთობა რეპროდუქციის და სოციალურობის ნამყვანი ფორმაა. ასეთ სისტემებსა და კოორდინირებულ გუნდებს შორის კორელაცია შეიმჩნევა როგორც ადამიანებში, ასევე ბევრ იმ ფრინველთა ჯიშებში, შესაძლოა, კოორდინირებული გუნდები და მრავალპარტნიორიანი სექსუალური ურთიერთობა ერთსა და იმავე მიზანს - ჯგუფის ერთიანობასა და გადარჩენას ემსახურებოდა.



მაკა ხარძიანი

საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტმკსც-ის სპეციალისტი, გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანიას“ დირექტორი და შემოქმედებითი პროექტების ხელმძღვანელი.

მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა სვანური მუსიკალური ფოლკლორი. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში; არის სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი, სასწავლო და სამეცნიერო კრებულების შემდგენელი.

მიგრაციული პროცესების გავლენა სვანი ეკო-მიგრანტების ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე

მოსახლეობის მიგრაცია საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტერიტორიულ გადაადგილებას მოიაზრებს. ხალხი უმთავრესად პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო მიზნებით მიგრირებს, თუმცა, ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებსაც თითქმის ყოველდღე აქვს ადგილი მთელ მსოფლიოში, ხშირი მიზეზი ხდება ე.წ. „ეკო — მიგრაციებისა“. ეს მიგრაციის იძულებითი ფორმაა და ძირითადად, საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ დატოვებას მოითხოვს. შესაბამისად, ხდება ეკომიგრანტების მონყვეტა საკუთარი ფესვებიდან და ადაპტირება ახალ გარემოში, რაც ბუნებრივია, აისახება მათ სოციალურ ყოფაზე, ფსიქიკაზე, ტრადიციებზე და ა.შ.

სტატიაში განხილულია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სვანეთის რამდენიმე სოფელში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო, ბარში ჩამოსახლებული სვანი ეკო-მიგრანტების მიერ სვანური ყოფითი ტრადიციებისა და მუსიკალური ფოლკლორის შენარჩუნების პრობლემები. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სწორედ სვანეთთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ტრადიციების შენარჩუნებისაკენ მიმართული გამოკვეთილი ორიენტაციით ხასიათდება.

MAKA KHARDZIANI

GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Musicology, a specialist at the IRCTP of Tbilisi State Conservatoire, associate professor at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant, Director and manager of creative projects of the Ethnomusicologists' Creative Group Nanina.

The focus of her scientific interests is Svan folk music. Has participated in various local and international scientific forums; She is an author of several scientific works and monographs. She is also a compiler of scientific and self-study collections.

THE IMPACT OF MIGRATION PROCESSES ON ETHNIC, RELIGIOUS, CULTURAL IDENTITY AND TRADITIONS OF SVAN ECO-MIGRANTS

Population migration implies any territorial movement associated with a change of residence. People migrate mainly for political, socio-economic, and educational purposes, but natural disasters that occur almost every day around the world are becoming a frequent cause of so-called “Eco-migration”. This is a forced form of migration, which requires leaving the place of residence forever. Accordingly, ecomigrants are isolated from their roots and adapt to a new environment, which naturally affects their social life, psyche, traditions, etc.

The article discusses the problems of preserving Svan traditions and musical folklore by Svan eco-migrants who settled in lowland regions of Georgia due to the natural disasters that occurred in several villages of Svaneti in the late 80s of the last century. This issue is particularly relevant in relation to Svaneti, which is characterized by a clear orientation towards the preservation of traditions compared to other parts of Georgia.

კაე ჰისაკა იაპონია



კაე ჰისაკა 2010-2011 წლებში თბილისის სახ. კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრში სწავლისას, ნ. ზუმბაძის, რ. წურწუმისა და თ. გაბისონიას დახმარებით, გაეცნო ქართული ტრადიციული მუსიკის ფანრებს, საკრავებსა და მრავალხმიანობას. 2017 წელს მიენიჭა ლიტერატურის დოქტორის ხარისხი ოსაკას უნივერსიტეტში. მისი სადოქტორო დისერტაციის სათაურია „მრავალხმიანობა, როგორც საქართველოს კულტურული მემკიდრეობა, აქცენტით მე-20 საუკუნის ხალხური მუსიკის კვლევისა და კულტურულ პოლიტიკაზე“. 2017 წელს ტოკიოში საერთაშორისო მუსიკალური საზოგადოების მე-20 კონგრესზე (ტარდება 5 წელიწადში ერთხელ) წარადგინა მოხსენება ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს ქალთა მუსიკალური კულტურის შესახებ. 2020 წელს გამოაქვეყნა მრავალი ქართული ხალხური სიმღერის ტექსტის იაპონური თარგმანის მიმოხილვა. 2021 წელს მიიღო ხმოვანი ტექნოლოგიებისა და მუსიკის კავის ფონდის გრანტი სამეცნიერო კვლევისთვის ადიღეს რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია).

შავი ზღვის სანაპიროს ტრადიციული მუსიკის წინასწარი შესწავლა: ფოკუსირება ქართულ და ჩერქეზულ სარიტუალო სიმღერებზე, საკრავებსა და მრავალხმიანობაზე

მოხსენება ეფუძნება კვლევის შედეგებს, რომელიც კაე ჰისაკამ (ოსაკას უნივერსიტეტის ლიტერატურის დოქტორი) ხმოვანი ტექნოლოგიებისა და მუსიკის კავის ფონდის გრანტით ჩაატარა რუსეთის ფედერაციის ადიღეს რესპუბლიკაში 2021 წელს. მოხსენება არის ქართული და ჩერქეზული ტრადიციული მუსიკის სარიტუალო სიმღერის, საკრავებისა და მრავალხმიანობის შედარების მცდელობა. ქართულ და ჩერქეზულ ტრადიციულ მუსიკას შორის, ორივე ხალხი საუბრობს კავკასიურ ენებზე, არსებობს გარკვეული მსგავსება, მაგალითად, წვიმის სავედრებელი სიმღერები წმ. ელიას მიმართ, სიმღერები ისეთი დაავადების სამკურნალოდ, როგორცაა ჩუტყვაილა და წმ. გიორგის სადიდებელი სიმღერები. შეიძლება ითქვას, რომ ასევე, აქვთ მრავალხმიანი სიმღერის საერთო ფორმები, მაგალითად ბურდონული და კონტრასტული. მოხსენებაში მინდა ყურადღება გავამახვილო კონტრასტული მრავალხმიანობის ელემენტებზე დასავლეთ ჩერქეზების ტრადიციულ მუსიკაში, რასაც ხშირად ჰეტეროფონიად მიიჩნევენ.

KAE HISAOKA JAPAN

Kae Hisaoka studied in the International Research Center for Traditional Polyphony of the Tbilisi State Conservatory in 2010-2011, where she learned about the musical genres, instruments and polyphony of Georgian traditional music from N. Zumbadze, R. Tsurtsunia, and T. Gabisonia. After that the Kae Hisaoka received her Ph.D in Letters from Osaka University in 2017. The title of her doctoral dissertation is “Polyphony as Cultural Heritage in Georgia: focus on 20th century’s folk music studies and cultural policy”. In 2017, she gave a presentation about the musical culture of women in northeastern Georgia at the 20th Quinquennial Congress of the International Musicological Society in Tokyo. In 2020, she also published an overview of the lyrics of numerous Georgian folk songs, translated into Japanese. In 2021, she received a research grant from the Kawai Foundation, Sound Technology and Music, for a scholarly stay in the Republic of Adygea in the Russian Federation.

PRELIMINARY STUDY ON THE TRADITIONAL MUSIC AROUND THE BLACK SEA COAST: FOCUSING ON GEORGIAN AND CIRCASSIAN RITUAL SONGS, INSTRUMENTS, AND POLYPHONY

The presentation is based on the results of oversea research, conducted by Kae Hisaoka (Doctor of Letters, Osaka University) in 2021 in the Republic of Adygea in the Russian Federation, funded by a research grant from the Kawai Foundation for Sound Technology and Music. My presentation attempts to compare ritual song, instruments, and polyphony of Georgian and Circassian traditional music. There are similarities between the traditional music of Georgians and Circassians, both are speakers of Caucasian languages, such as songs for praying for rain to worship St. Elia, songs for curing diseases such as smallpox, and songs in honor of St. George. It can be said that there are also common form of polyphonic singing, such as drones and contrasts. In my presentation, I would like to point out elements of contrast polyphony in the traditional music of the west Circassians, which has often been considered heterophony.

მრგვალი მაგიდა: მუსიკალური ფოლკ-ტურიზმი

წამყვანი: ქაროლაინ ზითელი

მუსიკალური ფოკლორი, განსაკუთრებით, პოლიფონია, როგორც კულტურული ტურიზმის პროდუქტი დღეს საკმაოდ მოთხოვნადია მსოფლიო ბაზარზე – სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება სხვა კულტურის ფოლკლორული მუსიკით, მსოფლიო მუსიკა პროფესიულ თუ სამოყვარულო გუნდების რეპერტუარში აქტიურად იმკვირდება თავს. ასევე, ბოლო დროს გაზრდილ მიგრაციის მაჩვენებელს ახალი დიასპორული საზოგადოებების ჩამოყალიბება მოჰყვა, რის გამოც ტრადიციულმა მუსიკამ მნიშვნელოვანი როლი შეიძინა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების საქმეში.

ბოლო წლებში მომრავლდა სოფლის საზაფხულო ბანაკებიც, სადაც სტუმარს ფოლკლორულ ყოფასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოს თავაზობენ. მართალია, ფოლკლორის კულტურული ტურიზმის პროდუქტად გადაქცევა ცვლის მას, მაგრამ, ამასთანავე, სიცოცხლეს უზანგრძლივებს.

კულტურული ტურიზმის ეს შედარებით ახალი სფერო სწავლებისა და მენეჯმენტის კუთხით სისტემატიზაციასა და დახვეწას საჭიროებს. მრგვალი მაგიდის განხილვის საგანი იქნება ტრადიციის მატარებლების, მუსიკოსების, ეთნომუსიკოლოგების პერსპექტივიდან დანახული თანამედროვე გამოწვევები თუ სარგებლობა, რაც მუსიკალურ ფოლკ-ტურიზმს მოაქვს.

ROUND TABLE: *FOLK MUSICAL TOURISM*

Speaker: CAROLINE BITHELL

Folk music, especially polyphony, as a product of cultural tourism is in great demand on the world market today – more and more people are interested in folk music of other cultures, world music is actively included in the repertoire of professional and amateur groups. In addition, recent increase in migration has led to the formation of new diaspora communities, thanks to which traditional music has played an important role in the preservation of ethnic identity.

In recent years, the number of summer camps in the villages has also increased; here the guests are offered an environment as close to folklore as possible. Indeed, transformation of folklore into a product of cultural tourism changes it, but at the same time prolongs its life. This relatively new field of cultural tourism needs to be systematized and refined in terms of teaching and management.

The subject of the Round Table discussion will be modern challenges and benefits brought by folk musical tourism, seen from the perspective of tradition bearers, musicians, ethnomusicologists.



ფოტო: მ. კილაძე / Photo: M. Kiladze

კონსერვატორიის დიდი დარბაზი

აგებულია 1938-1941 წლებში. იგი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, შესულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიაში. დარბაზი აღდგენილი და რესტავრირებულია 1997 წელს. დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე. გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკური თვისებებით. გათვალისწინებულია კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტებისათვის. დარბაზს ამჟღავნებს *Alexsander Schuke Potsdam*-ის ფირმის 3-მანუალური 40-რეგისტრიანი ორგანი, *Steinway & sons*-ის ფირმის ორი საკონცერტო როიალი, გააჩნია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, მოძრავი სცენა, საორკესტრო ორმო და ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც პასუხობს თანამედროვე საკონცერტო დარბაზების საერთაშორისო სტანდარტებს. სხვადასხვა წლებში დარბაზში კონცერტებს მართავდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები, მათ შორის: ა. გოროვიცი, ე. პეტრი, დ. შტიდრი, ო. რიდი, ს. რიხტერი, ე. გილესი, მ. როსტროპოვიჩი. კონსერვატორიის დიდი დარბაზი დღესაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და დედაქალაქის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. ბოლო წლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ტრადიციულად ტარდება საახალწლო კონცერტების სერია, რომელშიც მონაწილეობენ თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსები.

THE GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE

The Grand Hall of the Conservatoire was built in 1938-1941. The Hall has been an object of national cultural heritage. The Hall was renovated in 1997. The Grand Hall seats an audience of 500 and is distinguished for its perfect acoustic qualities. It provides all the necessary facilities for chamber and symphony music concerts while its revolving stage and orchestra pit allow for opera performances. The Hall prides itself on a three manual forty register *Alexander Schuke Potsdam* organ and two *Steinway & Sons* concert grand pianos both in excellent condition. The Grand Hall has digital audio-recording facilities. In different years outstanding musicians of the world such as: A. Horovitz, E.Petri, D. Shtidri, O Reed, S. Richter, D Oistrach, E Gilels, M Rostropovich, etc performed on the stage of the Grand Hall. Nowadays the Grand Hall is one of the major cultural centres of the capital. It has become good tradition to hold series of the New Year's concerts with the participation of prominent Georgian and visiting musicians.



კონსერვატორიის მცირე დარბაზი

მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 7 ნოემბერს. დარბაზის დამთავრებისათვის თანხა გაიღეს მეცენატებმა კონსტანტინე ალიხანოვმა და ძმებმა იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილებმა. დარბაზის ინტერიერი გვარწმუნებს იმაში, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისში არტმოდერნმა შემოაღწია. არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნის ცნობილ მხატვარ-დეკორატორ ნოვაკს, რომელმაც დარბაზის შიდა კედლები და ქერი მოდერნის სტილის ძერწილი ჩუქურთმებით მორთო და მოავარაყა; კედლების გასწვრივ ბახის, ბეთჰოვენის, გლინკას, რუბინშტეინის ბიუსტებია განლაგებული; დარბაზის ელექტროგანათებისა და მოპირკეთების სამუშაოები მთლიანად შუკერტის ფირმამ შეასრულა.

მცირე დარბაზის 100 წლის თავზე მოხდა მისი პირვანდელი სახით აღდგენა, სრული რესტავრაცია. ორასადგლიანი მცირე დარბაზი გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკით, აღჭურვილია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდიით, ორი Steinway & Sons-ის და Yamaha-ს ფირმის საკონცერტო როიალებით.

RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE

The Conservatoire Recital Hall was opened in a festive ceremony on November 7, 1904.

The funding necessary to finish construction was provided by philanthropists Konstantin Alikhanov and Zubalashvili (Iakob and Stepane) brothers. The interior shows very convincingly that art-modern was already familiar in Tbilisi at the beginning of the 20th century. The architectural ornamentation is the work of well-known painter and decorator Novack, who decorated the walls and ceiling of the hall with carved and gilded ornaments.

Busts of Bach, Beethoven, Glinka, and Rubinstein located along the walls of the hall. The lighting and wall tiling were provided entirely by the Schuckert Company. For the centennial anniversary the Recital Hall was renovated and restored to its previous design. Today, this small, 200-seat hall is distinguished by its superb acoustics. It is equipped with a digital recording studio and houses grand pianos by Steinway & Sons and Yamaha.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

თბილისის კონსერვატორია უმაღლესი მუსიკალური განათლების, შემსრულებლობისა და სამუსიკისმცოდნეო კვლევის ცენტრია საქართველოში. იგი დაარსდა 1917 წლის 1 მაისს. თავისი არსებობის მანძილზე თბილისის კონსერვატორიამ აღზარდა მრავალი გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელი, ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა მთელი თაობა. ძალზედ დიდია პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებულ სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა სია.

კონსერვატორიაში ეწყობა სხვადასხვა სახის მუსიკალური ფორუმები, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონკურსები, სამეცნიერო სიმპოზიუმები და კონფერენციები.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი – დაარსდა იუნესკო-ს მხარდაჭერით 2003 წლის 1 თებერვალს კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის, მასთან არსებული კაბინეტისა და საერო და სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორიის ბაზაზე. ცენტრს აქვს ფართო კონტაქტები, ჰყავს საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო. ცენტრმა განახორციელა არაერთი პროექტი, მათ შორის, იუნესკოს *ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების* სამწლიანი პროგრამა (2003-2006), რომლის ფარგლებში დაარსდა ცენტრის პერიოდული ორენოვანი ბიულეტენი, გამოიცა ქართველ მეცნიერთა ეთნომუსიკოლოგიური ნარკვევები ინგლისურ ენაზე და ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სახელმძღვანელო ორი CD-ით ქართულ ენაზე. ცენტრი ახორციელებს მრავალ საერთაშორისო პროექტსა და გამოცემას როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა ინსტიტუციასთან თანამშრომლობით. დეტალური ინფორმაციისათვის იხ.: www.polyphony.ge.

THE V. SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

Tbilisi State Conservatoire is the center of musical education, performance and musicological studies in Georgia. It was founded on 1 May, 1917. Since the day of its foundation the Conservatoire has brought up a great number of outstanding musicians, performers and generations of Georgian composers and musicologists. The list of the Conservatoire's students and graduates – prize-winners and laureates of the world's most prestigious international competitions, is quite long. Many remarkable musical forums, national and international competitions, scientific symposia and conferences are organized at the Conservatoire.

RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY was founded on 1 February, 2003 by the support of UNESCO on the premises of Tbilisi State Conservatoire Department of Georgian Folk Music, the Department's and Secular and Sacred Music Research Laboratory. The Center was involved in the realization of UNESCO's three-year (2003-2006) program for the "Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony". The Center has elected the International Steering Committee. As part of this program the Center established bilingual bulletin; published the book of essays by Georgian ethnomusicologists in English, the textbook on Georgian folk music (in Georgian). The Center implements many international projects and publications both independently and in cooperation with various institutions. For detailed information see: www.polyphony.ge

ა. ერკომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

ა. ერკომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (ყოფილი ხალხური შემოქმედების სახლი და ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი) შეიქმნა 1936 წელს, ივანე ჯავახიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვარლამ თოფურისა, გრიგოლ ჩხიკვაძის, თამარ მამალაძის ინიციატივით. სხვადასხვა დროს ცენტრს ხელმძღვანელობდნენ მიხეილ მგალობლიშვილი, გრიგოლ კოკელაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, მიხეილ ჩირინაშვილი, რევაზ კერესელიძე, ცისანა ქოჩეჩაშვილი, გიორგი უშიკიშვილი; ამჟამად, მისი აღმასრულებელი დირექტორია გიორგი დონაძე.

დაარსებიდან დღემდე ცენტრის პრიორიტეტები უცვლელია: ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის ნიმუშთა მოძიება, კვლევა და პოპულარიზაცია; ქართული ყოფის ცოცხალ ფოლკლორულ პროცესებზე დაკვირვება და ყოფიდან გამქრალი ფოლკლორული ჟანრებისა და ნიმუშების აღდგენა-გაცოცხლება; ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია და მსოფლიო კულტურულ პროცესებში ჩართვა. წლების განმავლობაში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში შეიქმნა უნიკალური არქივი, რომელშიც დაცულია: ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობელთა სანოტო ხელნაწერები; მდიდარი ხელნაწერი, ფოტო და დოკუმენტური მასალა; საინტერესო ნაშრომები ქორეოლოგიასა და ეთნომუსიკოლოგიაში... ამჟამად ძველი საარქივო ექსპონატები განთავსებულია ფოლკლორის ცენტრის ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. ბოლო ათწლეულში ამას დამატა მდიდარი საექსპედიციო აუდიო-ფოტო-ვიდეო და დოკუმენტური მასალა, შეიქმნა ცენტრის საქმიანობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მატერიალი...


ფოლკლორის ცენტრმა ბოლო წლებში გამოსცა: 20-მდე აუდიო და ერთი ვიდეოალბომი, ოთხი მონოგრაფია, ხალხური სიმღერებისა და საგალობელთა 5 სანოტო კრებული, ქორეოლოგიურ ნაშრომთა ანთოლოგიები, მოხუცი ზეპირსიტყვიერების კრებული, მცირე ფოლკლორული ლექსიკონი; გადაიღო სამი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. მიმდინარე წლიდან ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით, ქართული ფოლკლორის უკეთ მოვლა-დაცვის მიზნით, დაიწყო ცენტრის რეგიონული წარმომადგენლობების ქსელის შექმნა.

LEPL A. ERKOMAISHVILI FOLKLORE STATE CENTRE

State Folklore Centre of Georgia (former House of Folk Art and Scientific – Methodological Centre of Folk Art) was founded in 1936 on the initiative of Ivane Javakhishvili, Vakhtang Kotetishvili, Dimitri Arakishvili, Varlam Topuria, Grigol Chkhikvadze, Tamar Mamaladze and others. At various times the Centre was headed by Mikheil Mgaloblishvili, Grigol Kokeladze, Valerain Tsagareishvili, Mikheil Chirinashvili, Revaz Kereselidze, Tsisana Kochechashvili, Giorgi Ushikishvili. Current executive Director is Giorgi Donadze.

Since the day of its inception the Centre has immutable priorities: seek for, study and popularize the examples of various branches of folk art; observe live folk processes in Georgia's mode of life; revive and publish vanished folk genres and examples; worldwide popularization of Georgian folklore and its inclusion in world cultural processes. Unique archive has been created at the Centre during years, where preserved are: notation manuscripts of Georgian folk songs and church hymns; rich oral, photo and documentary material; interesting works on choreology and ethnomusicology, currently old archival materials are included in the digital information base of the Folk Centre; in the past years it was supplemented with rich expedition, audio, photo, video and documentary material, created was the chronicle of the Centre's activity...

State Folk Centre carries out fruitful publishing activity – during the last years about 20 audio and video albums, four monographs, 5 scores of Georgian chants, anthologies of choreology, collection of Khevi folk poetry, folk dictionary and three short documentary films were issued. For the better preservation of Georgian folklore the Centre has started creation of its regional network.



გაერთიანებული
ერების
განათლების,
მეცნიერებისა
და კულტურის
ორგანიზაცია
აცხადებს

ქართულ მრავალხმიან
სიმღერას
- საქართველო -

კაცობრიობის ზეპირი და
ხელთუქმნელი
მემკვიდრეობის შედეგად



კოიშირო მაცუურა
გენერალური დირექტორი

(პარიზი, 18 მაისი, 2001)

„ბოლო დროის ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი მუსიკალური შთაბეჭდილება შონბერგის „იაკობის კიბე“ და ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის ჩანანერებია... მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა, რომელიც შესრულებისათვის გაცილებით უფრო მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია“.

იგორ სტრავინსკი

“One derives a highly significant musical impression from Arnold Schonberg’s “Jacobleiter” and the recordings of Georgian polyphonic folk singing. This is a tradition of active execution of music which has roots in the remote past; it is also a splendid discovery that is capable of enriching the performing art more than all the acquisitions of modern music... The yodle, known as “krimanchuli” in Georgia, was the best I ever heard”.

Igor Stravinsky

ფილმი

რენატო მორელი (იტალია)

ნაღობის ხმები:
საერთაშორისო სუფრა სვანეთში (საქართველო)

FILM

RENATO MORELLI (ITALY)

*VOICES OF CONVIVIALITY:
AN INTER-NATIONAL SUPRA EVENING IN SVANETI (GEORGIA)*



რენატო მორელი
იტალია

დაიბადა ტრენტოში 1950 წელს. ტრენტოს უნივერსიტეტში სოციოლოგიისა და ბომპორტის კონსერვატორიაში მუსიკის სწავლის შემდეგ, იყო იტალიის სახელმწიფო ტელერადიოს (RAI) ეთნოგრაფიული ფილმების რეჟისორი. გადაღებული აქვს დაახლოებით 60 ფილმი ტრენტოს, ალპური რეგიონის, სარდინიისა და ლათინური ამერიკის შესახებ – ეს პროდუქცია 20 საერთაშორისო ჯილდოთა აღნიშნული. არის ეთნომუსიკოლოგი, მკვლევარი.

სხვადასხვა ფორმატის გამოცემების გარდა (წიგნები, კომპაქტური და DVD დისკები), მიჰყავდა რამდენიმე საასპირანტო კურსი მილანისა და ტრენტოს უნივერსიტეტებსა და ტრენტოსა და ბოზენის/ბოლზანოს კონსერვატორიებში. რობერტო ლეიდისთან ერთად გამოსცა ჩანანერების კომპლექტი ჩანტი ლიტურგიცი პოპოლარი იტალიანი (იტალიური პოპულარული ლიტურგიკული სიმღერები) (MI, Albatros, 1988), პეტრუ სასუსთან ერთად – Musica a memoria- Repertori di tradizione orale da sardegan – Confraternite delle voci (UD, Nota).

არის რამდენიმე თეატრალური დადგმის რეჟისორი. ხელმძღვანელობს და პირადად მონაწილეობს სამ მუსიკალურ პროექტში: Ziganoff (Klezmer-jazz), T.T.T. (musika Trentino, Tirol, Transylvania-dan) და Cantori di Vermèil (ტრადიციული ალპური ქორალური მუსიკა).

კონტაქტისა და დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ.: www.renatomorelli.it

RENATO MORELLI ITALY

Was born in Trento in 1950. After studying sociology (Trento University) and music (Bomporti Conservatory), he subsequently worked as a director of ethnographic films for the Italian State TV (RAI). He directed some seventy ethnographic films on the Alpine Region, Sardinia, Georgia, and Latin America – a production acknowledged by twentyfour international awards. As a scholar he is best known as an ethnomusicologist. Besides publishing a number of contributions in different formats (books, CDs and DVDs) he has taught in a number of post-graduate courses at the Universities of Milan, Trento, Como, and at the Conservatoires of Trento, Bolzano, Brescia. He has also produced a number of theatrical productions. Last but not least he works on-, has inspired, directs and personally plays in four musical projects: Ziganoff (klezmer-jazz), Cantori di Vermèil (alpine polyphonies), TTT project (musik from Trentino, Tirol, Transylvania), Mravalzhmier (international georgian choir). Filmography, discography and bibliography: www.renatomorelli.it

ნაწილის სმები:
საერთაშორისო სუფრა სვანეთში (საქართველო)

პროდიუსერი და დირექტორი: რენატო მორელი
ოპერატორები: სარა მაინო, სტეფანო მენინი, რენატო მორელი
რედაქტორი: რენატო მორელი
წელი: 2020
ხანგრძლივობა: 25'
ფოტოს ფორმატი: 16:9
ვიდეო ფორმატი: PAL
ეკრანის ფორმატი: HDV 1080/50
ენები: იტალიურ-ქართული, ინგლისური სუბტიტრებით

ოცდაათი ტრადიციული მომღერალი პრემანადან (იტალია) ჩამოვიდა საქართველოში ახალგაზრდული ანსამბლის „ადილეი“ მოწვევითა და კულტურული მოგზაურობისთვის ქართული მრავალხმიანი სიმღერის აღმოსაჩენად. ფილმი წარმოგვიდგენს საერთაშორისო უფრას მალაღმთიანი სვანეთის რეგიონის სოფელ ლახუშდში, ადილეის მეგობრებთან, იტალიელ მომღერლებთან და ორ ხანდაზმულ მიმღერალთან ერთად იმერეთის რეგიონიდან, რომლებსაც ადილეი შეხვდა თავისი ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის დროს. ქართულ ენაზე „სუფრა“ ნიშნავს სამხიარულო ნადიმს, გრძელ საღამოს დელიკატესებით სავსე მაგიდითა და უსასრულო სადღეგრძელოებით, რომელსაც წარმოთქვამს თამადა. პრემანა, მალაღმთიანი სოფელი ვალსასინაში (ლეკო, ჩრდილოეთ იტალია), რკინისა და დანების ხელობის გარდა, ასევე ცნობილია სპეციფიური მრავალხმიანი მუსიკით: ტიირ, მაღალი ტესტიურის მქონე ყვირილის მსგავსი ძლიერი, მაგრამ წელი სიმღერა. ლახუშდი იდუმალი და იზოლირებული სოფელი მალაღმთიან სვანეთში (ცნობილია თავისი ატქიტექტურული საგანძურითა და იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი მე-9-12 საუკუნეებში აღმართული კოშკებით). ლახუშდში დები ჩამგელიანები ხშირად ატარებენ ქართული სიმღერის საერთაშორისო მასტერკლასებს. სუფრა გაიმართა ჩამგელიანების ბაღში მე-12 საუკუნის კოშკის ქვეშ. სუფრა, სადაც ყოველ სადღეგრძელოს უწყვეტად მოყვება ქართული სიმღერა და პრემანული ტიირი. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარიშხალიც კი ვერ შეაჩერებს ამ ტრიუმფალურ სიმღერას; ელექტრონერგია გაითიშა, მაგრამ მომღერლები სიბნელეში აგრძელებენ სიმღერას. ლოდესაც შუქი ბრუნდება ყველა ერთად სპონტანურად იწყებს ცნობილ პრემანულ სატირულ სიმღერას La luce elettrica (ელექტრული სინათლე), რომელიც ადილეის წევრებმაც იცანა.

VOICES OF CONVIVIALITY:
AN INTERNATIONAL SUPRA EVENING IN SVANETI
(GEORGIA)

Producer director: Renato Morelli
Camera Sara Maino, Stefano Menin, Renato Morelli
Editor: Renato Morelli
Year: 2020
Length: 25'
Image format: 16:9
Video format PAL
Screen format HDV 1080/50
Languages: italian-georgian with english subtitles

Thirty traditional singers from Premana (Italy) are arrived in Georgia - invited by the young ensemble georgian Adilei – for a “singing” and cultural travel to discover the georgian multipart music. The film presents an inter-national evening Supra in Lakhushdi village, in the region of the high Svaneti, with Adilei friends, italian singers, and two elderly singers from the Imerti region, which the Adilei had met in the course of their ethnomusicological field research. Supra in the Georgian language means “convivial banquet”, a long evening with heaping tables of delicacies and infinite toasts in song (Mravalzhaimer) introduced by the toast-master (Tamada). Premana, the highest village of Valsassina (Lecco, Northern Italy), in addition of the craftsmanship of iron and knives is also known for its peculiar multipart music: the Tiir, a way of singing verging on shouting. As such it is powerful though slow with a high-pitched texture. Lakhushdi is a small mysterious and isolated village in the high Svaneti (known for their architectural treasures and the famous towers erected in the 9th-12th centuries, included in the list of UNESCO World Heritage Sites). In Lakhushdi the Chamgeliani sisters often organize international Georgian singing workshop. The evening of Supra taken place in the garden of the Chamgeliani sisters, under a medieval tower of the XII century. An evening where the georgian songs and the Tiir of Premana are sung continuously after each toasts. Not even a sudden strong storm can interrupt this “tour de force” singing; the electricity skip but the singers continue to sing in the dark. When the light comes back all singers spontaneously intone La luce elettrica (The electric light) a well-known satirical song from Premana, also known by the young members of the Adilei group.

კოლქასტი

სუზან თომსონი, კოლი ტეილორ-ჯანცი (დიდი ბრიტანეთი)

წინაპართა ხმები: ჩვენი გუბიების ხმები

PODCAST

SUSAN THOMSON, HOLLY TAYLOR-ZUNTZ (UK)

*VOICES OF THE ANCESTORS - PODCAST PRESENTATION
VOICES OF OUR GRANDMOTHERS*



ჰოლი ტეილორ-ზანცი

დიდი ბრიტანეთი

თეატრალური მოღვაწე და მომღერალი ოქსფორდიდან, რომელიც უკვე რამდენიმე წელია სერიოზულად არის ჩართული ქართულ სიმღერაში და უყვარს მათი სხეებისთვის გაზიარება. დაამთავრა ევროპული თეატრალური ხელოვნების პროგრამა (ბაკალავრი) ლონდონის როუზ ბრუფორდის კოლეჯში, ცხოვრობს და მუშაობს ოქსფორდსა და თბილისში, ხელმძღვანელობს ქართულ გუნდს ოქსფორდში და სიმღერის ღია სათემო სემინარებს თბილისში.

სუზანთან ერთად არის „წინაპართა ხმების“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ისინი ერთად ქმნიან პოდკასტების ცალკეულ ეპიზოდებს, ინტერვიუს იღებენ ქართული სიმღერების შემსრულებელი ქალებისგან. ისინი, ასევე, ქმნიან თეატრალურ სპექტაკლებს, მოგვითხრობენ, თუ როგორ გაჩნდა ქართული სიმღერები დიდ ბრიტანეთში. ჰოლი არის ანსამბლ „სტუმრების“ წევრი და მათთან ერთად გამოდიოდა თეატრებში *უილოუ გლოუბი* და *ქლეფემ ომნიბუსი*. ის, ასევე, არის ლონდონში არსებული ანსამბლ „მასპინძელის“ მომღერალი და კომიტეტის წევრი.

<https://hollytaylor-zuntz.com>

HOLLY TAYLOR-ZUNTZ

UK

Is a theatre maker and singing leader from Oxford, who has been deeply immersed in Georgian songs for several years and loves to share them with others. She is a graduate of the European Theatre Arts (BA) Programme at Rose Bruford College, London. Living and working between Oxford and Tbilisi, she leads a Georgian choir in Oxford and open-access community singing workshops in Tbilisi.

Along with Susan, Holly is a founder, host and artistic director of *Voices of the Ancestors*. Together they craft bespoke podcast episodes, interviewing women who sing Georgian songs. They also create theatrical performances, telling the story of how Georgian songs came to be sung in the UK. Holly is a member of Ensemble Stumrebi and has performed with them at the Willow Globe and Clapham Omnibus theatres. She is also a singer and committee member of Maspindzeli choir, London.

<https://hollytaylor-zuntz.com>

სუზან თომსონი დიდი ბრიტანეთი

მეცნიერებათა ბაკალავრი, არის ფონდების მოზიდვის ინსტიტუტის წევრი. აქვს გარემოსდაცვითი და ბავშვთა საქველმოქმედო ორგანიზაციების კონსულტირების გამოცდილება. ცხოვრობდა საქართველოში კოვიდის კარანტინის დროს, არის ქართული ხალხური სიმღერის მოყვარული და ანსამბლ „მასპინძელის“ ყოფილი თავჯდომარე. მან ახლახანს დაასრულა ბრიტანული ბიზნეს ცენტრის ალიას კურსი, რათა შეექმნა პოდკასტი „წინაპართა ხმები“, როგორც წარმატებული სახელოვნებო პროექტი.

სუზანის წერილი „წინაპართა ხმები – ინგლისელ ქალთა მოგზაურობა ქართული ხალხური სიმღერებისა და მომღერლების მეშვეობით“ დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო, კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენში (№27). ანსამბლ „სტუმრებთან“ ერთად მან დაასრულა რეზიდენტურა უელსის თეატრში უილოუ გლოუბ და შექმნა „ქართული სიმღერების მოგზაურობა“:

“ეს იყო ლამაზი, ნამდვილად კარგად მოფიქრებული პერფორმანსი. შესანიშნავი მომღერლები მშვენიერად გამოხატავენ საკუთარ კმაყოფილებასა და გამოცდილებას.”

SUSAN THOMSON UK

Has Bachelor of Science degree. Is a member of the Chartered Institute of Fundraising. Has a professional background in consultancy for environmental and children’s charities. She lived in Georgia during Covid lockdown, is a Georgian folk song enthusiast and former Chair of Maspindzeli choir. She recently completed a course at ALIA Future Business centre UK, in order to establish the ‘Voices of the Ancestors’ podcast as a thriving artistic endeavour.

Susan features in Bulletin 27 of the International Research Centre for Traditional Polyphony of the V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire: Voices of the Ancestors – An English Woman’s Journey through Georgian Folk Songs and Singers.

With ensemble Stumrebi, she completed a residency at the Willow Globe Theatre, Wales, creating ‘Journey of Georgian Songs’.

“It was a beautiful, really well designed and tight performance. The singers were lovely, expressing their own enjoyment and experience really well.”

პოდკასტის შესახებ

პოდკასტში „წინაპართა ხმები“ სუზანი და ჰოლი აცოცხლებენ ისტორიებსა და ხალხურ სიმღერებს საქართველოდან (პოდკასტი ჰგავს ონლაინ რადიო შოუს). ჩვენ ვიცავთ ქალთა ხმებს, რადგან უცხოელები თვლიან, რომ მხოლოდ ქართველი კაცები მღერიან, ქალები კი – არა. ჩვენ არ გვინდა, რომ ქართველ მომღერალ ქალთა უზარმაზარი ნიჭი შეუმჩნეველი დარჩეს.

პროექტი „წინაპართა ხმები“ სუზანმა და ჰოლიმ თითონ დააფინანსეს, ჩვენი ერთგული მხარდამჭერების მცირე დახმარებით. გთხოვთ გადახედოთ ჩვენი მფარველების დახმარების შესაძლებლობას და დახმარება გაგვიწიოთ შემდგომი ეპიზოდების შექმნის დაფინანსებაში. ჩვენ ვცდილობთ მოვიზიდოთ სახსრები ეპიზოდის „წინო მახარაძე-კალანდაძის გახსენება“ დასრულებისა და თბილისში მოღვაწე უკრაინელ ფოტოგრაფთან ტატამელთან მუშაობისთვის.

მხარი დაუჭირეთ პროექტს „წინაპართა ხმები“:

<https://patreon.com/voicesoftheancestors>

გამოიწერეთ ბიულეტენი: <http://ceepurl.com/hhgoOf>

„ჩვენი პიპების ხმები“ არის ინტერვიუ ჩვენს სტუმართან, თამარ ბუაძესთან, თარგმნის ზოე პერე. თამარი ხელმძღვანელობს ანსამბლ „თუთარჩელას“ და წარადგინს საერთაშორისო სასიმღერო პროექტს „ChorOnline“.

საუბარი გვსურდა მისი ლაზური სიმღერებზე მუშაობის შესახებ. ამ სიმღერებიდან ბევრი ფავორიტი გახდა ისეთი ჯგუფების რეპერტუარში, როგორცაა „კიტკა“ (აშშ). ელე მელეს ბერლინურ ჩანანერს YouTube-ზე 14000-ზე მეტი ნახვა და ამ სიმღერისადმი სიყვარულის გამომხატველი მრავალი კომენტარი აქვს.

“გმადლობთ ელე მელე კისმეთის ამ ლამაზი ვერსიის ავტორთვის! წლებია მომწონს ეს სიმღერა და მაინტერესებს, რომელ ენაზეა და სიმღერის შინაარსი“.

ვიცით შესანიშნავი ამბავი თუ როგორ დაიწყო თამარმა მუშაობა ლაზურ სიმღერებზე რუსთავში (საქართველოსა და თურქეთის ლაზური რეგიონებიდან ძალიან შორს). ჩვენ ვხედებთ „თუთარჩელას“ წევრებს და ვესწრებით მათ რეპეტიციებს. მაგრამ ყველაზე კარგად თამარი თავისი მეგრული ბებიის ხმას გვიზიარებს.

About the Podcast

In ‘Voices of the Ancestors’ Susan and Holly bring stories and folksongs from Georgia to life (a podcast is like an on-line radio show). We champion women’s voices because foreigners assume that only Georgian men sing, and women do not. We do not want the huge talent of Georgian women singers to be overlooked.

The project ‘Voices of the Ancestors’ has been self-funded by Holly and Susan with a little help from our dedicated supporters. Please consider joining our patrons and help fund the creation of future episodes. We are looking to raise funds to complete an episode ‘Nino Makharadze-Kalandadze Remembered’ and to work with Ukrainian photographer TataMel, based in Tbilisi.

Support Voices of the Ancestors: <https://patreon.com/voicesoftheancestors>

Join the newsletter: <http://ceepurl.com/hhgoOf>

Voices of Our Grandmothers with guest Tamar Buadze and interpreter Zoé Perret.

Tamar leads Tutarchela choir, and presents for the International Singing Project ‘ChorOnline’. We wanted to chat with Tamar because of her work with Laz songs. Many of these songs have become favourites in the repertoire of groups outside of Georgia like Kitka (USA). On YouTube a recording of Ele Mele from Berlin has received over 14,000 views and many comments expressing love for the song eg

“Thank you for uploading this beautiful version of Ele Mele Kismet! I’ve been interested in this song for years and I’m wondering what the language is, but also what meaning hides behind the song.”

We hear the surprising tale of how Tamar came to work with Laz songs, while living in Rustavi (far, far away from Laz regions in Georgia and Turkey). We meet with members of Tutarchela and hear them in rehearsal. But best of all Tamar shares with us the voice of her Mingrelian grandmother.

ფოლკლორული ანსამბლები

FOLK ENSEMBLES

ესტონეთი გაღარა
კანადა ანდრეა კუზმიჩი
საფრანგეთი ლამაზიკა
საქართველო/თბილისი ადილეი
 ამერ-იმერი
 ბასიანი
 ბოლნელა
 დიდგორი
 თეატრალური უნივერსიტეტი
 იალონი
 ლალხორი
 ლელა თათარაძე
 თინათინ (ნარგილე) მეტეივა
 მარგალიტი
 მთიები
 მზეთაგზე
 ნინო ნაჟური
 ნანინა
 რანინა
 რეხელი
 რიხი
 სახიობა
 სათანაო
 ფერხისა
 ქუთაისის ანსამბლი
 შავნაბადა
 დევი ჩამგელიანი
 ძირიანი
ჰოლანდია ქართული ანსამბლი

CANADA ANDREA KUZMICH
ESTONIA MADARA
FRANCE LAMAZIKA
GEORGIA/TBILISI ADILEI
 AMER-IMERI
 BASIANI
 BOLNELA
 DIDGORI
 THEATER UNIVERSITY
 IALONI
 LALKHORI
 LELA TATARADZE
 TINATIN (NARGILE) MEHTIEVA
 MARGALITI
 MTIEBI
 MZETAMZE
 NINO NAKEURI
 NANINA
 RANINA
 REKHEULI
 RIKHI
 SAKHIOBA
 SATHANAO
 PERKHISA
 KUTAI SI ENSEMBLE
 SHAVNABADA
 CHAMGELIANI SISTERS
 DZIRIANI
NETHERLANDS KARTULI ANSAMBLI

ადილეი
თბილისი,
საქართველო



ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ადილეი 2012 წელს შეიქმნა. გურული სიმღერების მოყვარული მეგობრები დემეტრე ქირიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ; სახელიც ერთი გურული მგზავრული სიმღერისა დაირქვეს, რომელიც, ბიჭების აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს მათს ხასიათსა და მისწრაფებებს.

ანსამბლის მთავარი შემოქმედებითი პრინციპი ხალხურ მომღერლებზე, ფოლკლორის შემოქმედ ადამიანებზე სწორებაა. მათი ამოცანაა ხელი შეუწყონ ტრადიციული სიმღერა-გალობის ყოველდღიურობაში შემოტანასა და გაცოცხლებას: ლხინის სუფრებზე, სახალხო დღესასწაულებზე და სხვა.

ადილეის რეპერტუარში, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებია. ისინი ცდილობენ ამა თუ იმ სიმღერის იმპროვიზაციული, „ადილეისეული“ ვარიანტი შესთავაზონ მსმენელს, შექმნან საკუთარი ხელწერა და სტილი. შესრულების პროცესში ყურადღებას იქცევს მღერის სილაღე და თავისუფლება.

ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს კულტურულ ღონისძიებებსა და საქველმოქმედო კონცერტებში, ფესტივალებში, სიმპოზიუმებში, ტელე და რადიოპროექტებში. ადილეი 2015-16 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და II ადგილის პრიზორია ნომინაციაში – ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი. საახალწლო მუსიკალური შეხვედრების ფარგლებში ადილეიმ სოლო კონცერტი გამართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ანსამბლს ჩატარებული აქვს კონცერტები, უორკშოპები და სემინარები იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-სა და ბელგიაში. გამოცემული აქვს ერთი გრამფირფიჭა (გამოცა აშშ-ში), ორი აუდიოალბომი – ერთი სოლო და ერთი იტალიის პრემიანას მხარის მომღერლებთან ერთობლივად, აგრეთვე ორი ელექტრონული ალბომი – ხალხური სიმღერის თვითმასწავლებელი (საქართველოს სხვადასხვა კუთხის 10-10 სიმღერა).

ADILEI
TBILISI, GEORGIA

Male folk ensemble Adilei was created in 2012. Friends who love Gurin songs gathered under the initiative and guidance of Demetre Kiria; as the name they took the title of a Gurian travelers' song, which, according to the boys, best expresses their character and preferences.

Creative principle of the ensemble is focus on folk singers, creators of folklore. They aim at promoting the introduction and revival of traditional singing and chanting in everyday life: at festive tables, public celebrations, etc.

Adilei's repertoire mainly includes the songs from different parts of West Georgia, They offer listeners their own improvisational variant of songs, try to create their own manner and style. The attention is attracted by their delightful and free performance of songs.

2021 წლიდან ანსამბლის წევრებმა აქცენტი შემსრულებლობიდან ეთნომუსიკოლოგიურ საქმიანობაზე გადაიტანეს, რადგან დაგროვილმა გამოცდილებამ მოიტანა მოთხოვნილება ეთნომუსიკოლოგიური დამოკიდებულებების გამოხატვისა და ინტერდისციპლინური მიდგომისა ზოგადად ქართული ფოლკლორისადმი, რომელიც, მუსიკასთან ერთად, ქორეოგრაფიას, ზეპირსიტყვიერებას, ხალხურ რენვას, სამზარეულოს, ხალხურ იუმორს, მედიცინასა და ხალხური ტრადიციების ამსახველ სხვა დარგებს მოიცავს.

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი ნანინა გააგრძელებს ფოლკლორის გადაცემის უწყვეტ ჯაჭვს.

NANINA
TBILISI, GEORGIA

Creative group of female ethnomusicologists Nanina was created on the basis of folk ensemble Nanina and consists of professional ethnomusicologists. During 18 years of activity, Nanina's main priority was to find, restore, learn, research, perform and popularize folk examples which accompany the traditional life of women. Nanina attracted the attention of the audience with its distinctive repertoire, original style and manner of performance. Creative direction of the ensemble is to maintain traditional manner and sub-dialect characteristic of Georgian folk song, preservation of performance forms and use of traditional folk instruments.

Nanina is a participant of a number of international festivals and charity events in both Georgia and elsewhere. It has released two audio albums.

Since 2021 the ensemble members have shifted the focus from performance to ethnomusicological activities, as the accumulated experience has led to the need to express ethnomusicological attitude and interdisciplinary approach to Georgian folklore in general, which, along with music, includes choreography, oral folklore, folk crafts, cuisine, folk humor, medicine and other fields reflecting folk traditions.

Creative group of ethnomusicologists Nanina will continue the uninterrupted chain of folklore transmission.

ნინო ნაყეური

თბილისი,
საქართველო



ნინო ნაყეური ფშვიდანაა, სოფელ ქალილოში დაიბადა და ბავშვობიდან ფოლკლორულ გარემოში აღიზრდებოდა: მათს ოჯახში სიმღერა და ფანდურზე დაკვრა ყოველდღიური ყოფის ორგანული ნაწილი იყო. მოგვიანებით ნინომ დებთან ერთად საოჯახო ანსამბლი დები ნაყეურები ჩამოაყალიბა, თუმცა თავდაპირველად მათი რეპერტუარი თანამედროვე საავტორო, ფსევდოფოლკლორული ნიმუშებისაგან შედგებოდა.

სიმღერა, გალობა, საკრავი ნინოსთვის იმდენად ახლობელი და განუყრელი აღმოჩნდა, რომ პროფესიადაც ლოტბარ-რეგენტობა აირჩია და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ჩააბარა. პროფესიული კარიერის ამ ეტაპზე მიზნად აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფოლკლორისა და ტრადიციების შესწავლა, აღდგენა და პოპულარიზაცია. სასცენო შემსრულებლობის გარდა, ნინო ნაყეური დაინტერესებულია ფოლკლორული ექსპედიციებით ბევრს მოგზაურობს მშობლიურ ფშავში - მის მიერ ჩატარებული 15 ექსპედიციის შედეგი სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა ფილმისა და აუდიოჩანაწერების სახით. ნინომ სპეციალური ექსპედიციები მიუძღვნა მასალების მოძიებასა და კვლევას ფშური გუდასტვირის შესახებ. მისი სტუდენტური ნაშრომი მანანა ანდრიაძის სახელობის სტუდენტური კონფერენციის გამარჯვებული გახდა, ავტორი კი - ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის სტიპენდიატი. ფშავსა და არხოტის ხეობაში ჩატარებული ექსპედიციები აისახა მის მიერ გადაღებულ ვიდეოფილმში ფოლკლორული მოგზაურობა ფშავში. ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალა ლოტბარმა და მომღერალმა ნინო ნაყეურმა გალობის უნივერსიტეტის სტუდენტურ გუნდში აღადგინა და ათი ფოლკლორული ნიმუში სტუდიურადაც ჩანერა.

NAKEURI

TBILISI, GEORGIA

Nino Nakeuri comes from Pshavi, she was born in the village of Kalilo and grew up in a folk environment from early age: singing and playing the *panduri* was an organic part of everyday life in their family. Later, Nino together with her sisters formed the family ensemble the Nakeuri sisters, although initially their repertoire consisted of modern original, pseudo-folkloric samples.

Singing, chanting, instruments proved to be so close and inseparable for Nino that she chose to be a choir master as a profession and entered the Giorgi Mtatsmindeli University of Chanting. At this stage of her professional career, the goal is to study, restore and popularize the folklore and traditions of East Georgian mountains: *“Sadly, today performers of traditional music are lesser interested in the musical folklore of East Georgian mountains –the songs or instrumental pieces are rarely heard from the stage. On the one hand, this fact breaks my heart, on the other hand, it strengthens my desire to explore and represent this tradition,”* Nino says.

In addition to stage performances, Nino Nakeuri is interested in organizing folklore expeditions: she travels much to her native Pshavi - the results of her 15 expeditions have recently been released in the form of a film and audio recordings. Nino dedicated special expeditions to finding and researching materials about Pshavian *gudastviri*. Her student paper was the winner of the Manana Andriadze Student Conference, and the author became holder Edisher and Gigi Garakanidze scholarship. The expeditions in Pshavi and Arkhoti Gorge were reflected in the video film *Folklore Trip to Pshavi*, shot and edited by Nino herself. It should be noted, that choirmaster and singer Nino Nakeuri revived the material obtained by the expeditions in the student choir of the University of Chanting and recorded ten folk samples in the studio.

რანინა თბილისი, საქართველო



კვარტეტი რანინა 2018 წლის დასაწყისში შეიქმნა. ანსამბლის ჩამოყალიბების მიზეზი ქართული ტრადიციული მუსიკის და, ზოგადად, საესტრადო მუსიკის სიყვარული და პოპულარიზაციის სურვილი იყო.

სახელწოდებად შეარჩიეს მარტივად გამოსათქმელი ქართული სამღერისი რანინა, რომელიც ანსამბლის ხასიათსა და რეპერტუარს მიესადაგებოდა.

კვარტეტის წევრებს ქართული ტრადიციული მუსიკის სიყვარული ბავშვობიდან მოჰყვებათ, მღეროდნენ სხვადასხვა ანსამბლში. პირველი ხმა – თორნიკე კანდელაკი საეკლესიო მუსიკის ბაკალავრია; მეორე ხმა – სოსო კოპაღეიშვილი – კვარტეტის სამხატვრო ხელმძღვანელი – თეოლოგი, საეკლესიო მუსიკის ბაკალავრი, ხალხური გუნდის ლოტბარი და საეკლესიო გუნდის რეგენტია; არაჩვეულებრივი ბარიტონი – საბა ფეიქრიშვილი – ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გუნდის ლოტბარი და დირიჟორია, კარგად უკრავს სხვადასხვა საკრავზე; ანსამბლის ხვეწვადოვანი ბანი – ბექა კემულარია – კულტურის მენეჯერი და კვარტეტის დირექტორია. ბიჭები ამავდროულად სხვადასხვა ტაძრის მგალობლები არიან და საჭიროების შემთხვევაში ერთადაც გალობენ.

რანინას რეპერტუარი და სამემსრულებლო სტილი მრავალფეროვანია: ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობა, ძველებური ქალაქური მუსიკა, 50-60-იანი წლების ქართული კვარტეტების შედეგები და ამერიკული ბარბერსჰოპ ქუარტეტ-ის სტილის სიმღერები.

რანინა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა, მათ შორის, საქველმოქმედო კონცერტში, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში, რამაც ახალგაზრდა კვარტეტს უკვე მოუტანა აღიარება. ანსამბლი მოგზაურობს გასტროლებით, მართავს ონლაინ კონცერტებსა და მას-ტერკლასებს ევროპელი და ამერიკელი მსმენელისათვის, შეასწავლის უცხოელებს ქართული სამუსიკო ფოლკლორის ნიმუშებს...

გამოცემული აქვს ერთი აუდიოალბომი, გადაღებული აქვს რამდენიმე კლიპი; მათგან ბოლო ელენება უკრაინისადმი სოლიდარობას.

RANINA

TBILISI, GEORGIA

Quartet Ranina was created in the beginning of 2018. The reason for the formation of the ensemble was the love to Georgian traditional music and pop music in general and the desire for its popularization.

An easy-to-pronounce Georgian glossolalia *ranina*, which suited the character and repertoire of the ensemble, was chosen as the name.

The quartet members have been in love with Georgian traditional music since childhood, they sang in different ensembles. First Voice – **Tornike Kandelaki** is Bachelor of Church Music; second voice – **Soso Kopaleishvili** – artistic director of the quartet, – a theologian, Bachelor of church music, choirmaster of the folk choir and director of church choir; an extraordinary baritone – Saba Peikrishvili – choirmaster and conductor of the Georgian folk song and church choir, plays various instruments well; the velvety bass of the quartet – Saba Kemularia – culture manager and director of the quartet. At the same time, the guys are chanters at different churches and also chant together when necessary.

Ranina's repertoire and performance style are varied: Georgian folk songs and church hymns, old urban music, masterpieces of Georgian quartets of the 1950s and 1960s and songs in the style of American barbershop quartets.

Ranina actively participates in various concerts, including charity ones, television and radio programs, which have already brought fame to the young quartet. The ensemble goes on concert tours, holds online concerts and master classes for European and American listeners, teaches examples of Georgian folk music to foreigners...

Ranina has released one audio album, shot several video clips; the last one is dedicated to solidarity with Ukraine.

რეხეული თბილისი, საქართველო



მგალობელ-მომღერალ გოგონათა ანსამბლი რეხეული შეიქმნა 2008 წელს, სოფელ ლიხაურში. მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელია ფოტინე გორდელაძე.

ანსამბლის სახელი მომდინარეობს სოფელ ლიხაურის ძველი სახელწოდებიდან -რეხეული, რაც დასტურდება ლიხაურის ეკლესიის შუა საუკუნეების სამრეკლოს ხუცური წარწერით. თავდაპირველად რეხეული მხოლოდ მგალობელთა ანსამბლი იყო და ლიხაურის ღვთისმშობლის შობისა და აჭის წმინდა გიორგის ტაძრებში ღვთისმსახურებებში მონაწილეობდა. ამავდროულად, ანსამბლი მუნიციპალურ თუ საქვეყნო ღონისძიებებშიც აქტიურად იყო ჩართული. 2014 წელს ანსამბლს შეემატა გამოჩენილი მუსიკალური ნიჭის მქონე გოგონები და დაიწყო აქტიური მუშაობა გურული ტრადიციული სიმღერების შესასწავლად.

დღესდღეობით ანსამბლში 14 წევრია. რეპერტუარში აქვთ ქართული საეკლესიო საგალობლები, ხალხური და ქალაქური სიმღერები.

რეხეული 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მესამე ადგილის პრიზიორია ნომინაციაში «ქალთა ანსამბლები» და მეორე ადგილის პრიზიორი ფონდ ქართული გალობის მიერ ორგანიზებულ არტემ ერკომაიშვილის სახელობის გალობის ფესტივალზე.

REKHEULI TBILISI, GEORGIA

Ensemble of female singer-chanters Rekheuli was Created in the village of Likhauri in 2008. It was created and is headed by Potine Gordeladze.

The name Rekheuli comes from the old name of the village of Likhauri, which is confirmed by the inscription on the bell tower of the medieval church in Likhauri.

Initially, Rekheuli was only a choir of chanters and participated in the divine services at the church of the Virgin Mary's Nativity in Likhauri and St. George Church in the village of Achi. At the same time, the ensemble was actively involved in municipal and public events. In 2014, the ensemble was joined by the girls with extraordinary musical abilities, who began active work on learning Gurian traditional songs.

Currently there are 14 members in the ensemble. Their repertoire comprises Georgian church hymns, folk and urban songs.

Rekheuli is a laureate of the 2015-16 Georgian National Folklore Festival, the third place winner in the nomination "Women's Ensembles" and the second prize winner at the Artem Erkomaishvili Festival of Chanting, organized by the Georgian Chanting Foundation.

რიხი
თბილისი,
საქართველო



მგალობელ-მომღერალ ვაჟთა ანსამბლი *რიხი* 2019 წელს შეიქმნა, გორში. ანსამბლის ხელმძღვანელია გიორგი მთანინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ზურაბ წკრიალაშვილი.

ანსამბლის მიზანია მივიწყებული ქართული სიმღერების მოძიება, აღდგენა, გაცოცხლება და ყოფასა თუ საშემსრულებლო პრაქტიკაში დამკვიდრება.

ანსამბლის შექმნიდან მალევე პანდემია გამოცხადდა, თუმცა შედარებით მსუბუქ პერიოდებში ისინი მაინც ახერხებდნენ შეკრებას, საგალობლებთან ერთად სწავლობდნენ ქართულ სიმღერებს და, ამგვარად, თანდათან უახლოვდებოდნენ სანუკვარ მიზანს. ბიჭების მონდომებამ, საქმის სიყვარულმა და ხელმძღვანელის პროფესიონალიზმმა შედეგი მალე გამოიღო და *რიხი* ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდულ ფოლკლორულ ანსამბლად ჩამოყალიბდა. მიუხედავად მცირე დროისა და ხელშემშლელი პირობებისა, მათ მრავალ ფოლკლორულ ღონისძიებასა თუ ტელე-რადიო გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა. *რიხი* ერთ-ერთია იმ ანსამბლებიდან, რომლებიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პროექტში – ერთი საუკუნის წინ გიორგი სვანიძის მიერ შეკრებილი ქართული სიმღერებისა და მათთან დაკავშირებული თქმულებების ანთოლოგიური გამოცემის აუდიოდანართის შექმნაში – მონაწილეობენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანსამბლის საშემსრულებლო სტილი და ბუნებრივი, ტრადიციული მანერა – ხაზგასმულად ქართლური.

ანსამბლ *რიხის* წევრები გორის ეპარქიის მგალობლები არიან და ღვთისმსახურებაშიც ქართლის ტრადიციულ, ე. წ. კარბელაანთ კილოს საგალობლებს ამკვიდრებენ.

RIKHI

TBILISI, GEORGIA

Male singer-chanters ensemble Rikhi was created in Gori in 2019. The ensemble is directed by Zurab Tskrialashvili – a graduate of Giorgi Mtatsmindeli High School for Chanting.

The ensemble aims at seeking for, restoration, revival of forgotten Kartlian songs and their introduction in the performance practice.

Soon after the ensemble’s creation, the pandemic was declared; however, in relatively mild periods, the group still managed to gather, learning Kartlian songs along with hymns and, in this way, gradually approaching the cherished goal.

The determination of the guys, their love for work and the director’s professionalism soon bore fruit and Rikhi became one of the best youth folk ensembles. Despite the short time and hindering conditions, they took part in many folklore events, television and radio programs. Rikhi is among the collectives participating in the project of the Folklore State Center – creation of the audio supplement for the anthology edition of Kartlian songs and related stories collected by Giorgi Svanidze a century ago. The ensemble’s style and natural, traditional manner of performance – emphatically Kartlian, deserve special attention.

The members of Rikhi are chanters of the Gori Diocese and they introduce traditional Kartlian hymns of the so-called Karbelashvili mode into divine service.

სათანაო
თბილისი,
საქართველო



მგალობელ-მომღერალ ქალთა ანსამბლი სათანაო 2005 წელს შეიქმნა, თბილისის ჯვარის მამის ტაძრის მგალობელ გოგონათა გუნდის ბაზაზე. სათანაო მგალობელ ქალთა პირველი პროფესიული გუნდია, რომლის პირველი თაობის წარმომადგენლებმა ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა ლიტურგიკულ პრაქტიკაში 1980-იანი წლების ბოლოს ანჩისხატის გუნდთან ერთად და მათ მხარდამხარ დაამკვიდრეს. მგალობელ ქალთა გუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტი იმთავითვე სწორი სამგალობლო მანერის მიგნება და დამკვიდრება გახლდათ. ანსამბლის ფოლკლორულ-სამემსრულებლო პრიორიტეტი კი ქალთა ტრადიციული სიმღერებია – აკვნის ნანები, ბატონების იავნანები, შრომის და ლირიკული სიმღერები... სათანაოს რეპერტუარი საარქივო ფონოჩანაწერებითა და ანსამბლის წევრთა მიერ მოპოვებული საექსპედიციო აუდიომასალით საზრდოობს; მათ შორის უზვადაა ფოლკლორული ნიმუშების საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი თუ სათანაოელთა მიერ შექმნილ-გადააზრებული ვარიანტები. გოგონები იყენებენ ტრადიციულ ხალხურ საკრავებს - ჩონგური, ფანდური, ჭუნირი, ჩანგი...

სათანაო აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ფოლკლორულ ცხოვრებაში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის სიმპოზიუმებსა და ფესტივალებში, ბევრს მოგზაურობს საზღვარგარეთ კონცერტებითა და უორკშოპებით (გერმანია, ავსტრია, ინგლისი, შოტლანდია, ისრაელი, ჰოლანდია), მონაწილეობს ტელე და რადიო გადაცემებში საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ (BBC, კიოლნისადა თელ-ავივის რადიო,...). 2017-18 წლებში განხორციელდა ანსამბლის პროექტი – „სანიმუშო მსახურებისა და ლექციების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა ეპარქიაში“.

სათანაო გადაღებულია თურქულ სატელევიზიო ფილმში „კავკასიის ქარი“. ანსამბლს გამოცემული აქვს სამი აუდიოალბომი: ქართული საეკლესიო და საერო მუსიკა (2008), მგალობელ-მომღერალთა გუნდი სათანაო (2011) და პარაკლისი – გალობა სავედრებელი უფლისა ჩვენისა იესუ ტკბილისა (2015).

SATHANAO
TBILISI, GEORGIA

Ensemble Satanao of female singer-chanters was created in 2005, on the basis of the female chanters' choirs at Tbilisi Jvaris mama church. Sathanao is the first professional choir of female chanters, whose first generation representatives, together with Anchiskhati choir and with their support, introduced Georgian traditional church chanting in liturgical practice in the late 1980s. One of the priorities of the female chanters choir was to find and introduce correct manner of chanting.

In folklore performance the ensemble gives priority to traditional women's songs – lullabies, *batonebi* lavnana songs, labor and lyrical examples. Sathanao's repertoire is nourished by archival audio recordings and expedition material obtained by the ensemble members; they include many variants of folk examples unknown to the public or created by Sathanao members. They use traditional folk instruments - *chonguri, panduri, chuniri, changi...* Sathanao actively participates in the folklore life of the country, in symposia and festivals of local and international importance; travels a lot with concerts and workshops to other countries abroad (Germany, Austria, England, Scotland, Israel, Holland), features in television and radio programs in Georgia and elsewhere (BBC, Radio of Cologne and Tel-Aviv....). In 2017-18, the ensemble implemented the project – “Conducting exemplary services and lectures in different dioceses of Georgia”. Sathanao was filmed in the Turkish TV movie “Wind of the Caucasus”. The ensemble has released three audio albums: Georgian Sacred and Secular Music (2008), Sathanao Choir of Chanter-singers (2011) and Paraklesis – Prayer of Our Lord Jesus the Sweet (2015).

სახიობა თბილისი, საქართველო



ფოლკლორული ანსამბლი სახიობა ჩამოყალიბდა 2006 წლის 17 იანვარს. მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი 15 წლის მანძილზე იყო ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ ერქვანიძე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ანსამბლის შექმნისა და შემოქმედებითი მიმართულების ჩამოყალიბების საქმეში. ამჟამად სახიობას ხელმძღვანელობს ლოტბარი დავით აბრამიშვილი.

მიზანი: სახიობა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მივინეცებული ხალხური სიმღერებისა და შუა საუკუნეების ქართული საგალობლების პოპულარიზაციაში, ხალხური საშემსრულებლო ფორმების, სტილისა და მანერის დამკვიდრებაში, ძველი ქართული ბგერათაწყობის აღდგენაში. რეპერტუარის ძირითადი წყაროა ძველი საარქივო და საკუთარი საექსპედიციო ჩანაწერები. სახიობა რეგულარულად მონაწილეობს ფოლკლორისა და ტრადიციული გალობის საერთაშორისო ფესტივალებში, ჩატარებული აქვს მრავალი სოლო კონცერტი საზღვარგარეთ (ხორვატია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, პოლონეთი, ლიეტუვა, იტალია). ანსამბლი რეგულარულად, თითქმის ყოველ წელიწადს, განახლებული რეპერტუარით საანგარიშო კონცერტებს მართავს თბილისელი მსმენელისთვის. სახიობამ დაამკვიდრა კარგი ტრადიცია - ანსამბლის სოლო კონცერტებზე დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ დადოსტატ მომღერალ-ლოტბართა მოწვევა, მათი შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება და ფართო მსმენელისათვის გაცნობა.

2016 წელს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სახიობას 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი და გამოიცა საიუბილეო აუდიოვიდეოალბომი. გამორჩეული ფორმატით გაიმართა ანსამბლის სოლო კონცერტი 2018 წელს, რომელმაც ანსამბლის წევრთა საშემსრულებლო შესაძლებლობები სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩინა: ქართულის გარდა, შესრულდა მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული სასიმღერო ნიმუშები (სამხრეთ აფრიკა, ირლანდია, სარდინია, ინგლისი, ამერიკული ქანთრი...). მოგვიანებით ამ კონცერტის აუდიოდისკიც გამოიცა. სულ სახიობას გამოცემული აქვს ხალხური სიმღერისა და გალობის რვა აუდიოდისკი.

საშემსრულებლო მოღვაწეობის პარალელურად, ანსამბლის წევრები მუშაობენ ქართული საგალობლების ხელნაწერების რედაქტირებასა და, აუდიოდისკების თანხლებით, სანოტო კრებულების გამოცემაზე.

SAKHIOBA

TBILISI, GEORGIA

Folk ensemble Sakhiooba was created on 17 January, 2006. It was created by ethnomusicologist, Doctor of Social Sciences, Malkhaz Erkvaniidze, who directed the group during 15 years, and played a major role in shaping of the ensemble's creative direction. Currently Sakhiooba is directed by choirmaster Davit Abramishvili.

Sakhiooba aims at popularization of forgotten folk songs and Medieval Georgian hymns, introduction of forms, style and manner of folk performance, restoration of ancient Georgian sound scale.

Main source of the repertoire is old archival and own expedition recordings. Sakhiooba regularly participates in international festivals of folk music and traditional chanting, has held a large number of solo concerts in different countries (Croatia, Ukraine, UK, USA, Poland, Lithuania, Italy).

Regularly, almost every year, the ensemble holds concerts with updated repertoire for Tbilisi listeners. Sakhiooba has established a good tradition – inviting today's Georgian choirmasters and grandmaster of singing to the ensemble's solo concerts, sharing their creative experience and introducing them to a wide audience.

In 2016 Sakhiooba held the concert dedicated to its 10th anniversary and released an anniversary audio-video album. The ensemble's solo concert held in a unique format in 2018, showed the performance capabilities of its members in a completely new light: along with Georgian, they performed traditional song examples of the World peoples (South Africa, Ireland, Sardinia, England, American country music...). Later, the audio disc of this concert was also released. Sakhiooba has published eight audio CDs of folk songs and hymns.

In parallel with performing activities, the ensemble members work on editing the manuscripts of Georgian hymns and the publication of sheet music collections accompanied by audio CDs.

ფერხისა
თბილისი,
საქართველო



ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი ფერხისა შეიქმნა 2008 წელს, ახალგაზრდა ლოტბარის ნათია დათუაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლში უკვე რამდენიმე თაობა აღიზარდა. ანსამბლის შემოქმედებითი მიმართულება ტრადიციული შემსრულებლობის, მისი სტილისა და ფორმების ერთგულებაა. ახალგაზრდები ტრადიციულ ხალხურ საკრავებზე უკრავენ. დღესდღეობით ფერხისელთა უფროსმა თაობამ ახალგაზრდულ ანსამბლთა რიგში გადაინაცვლა და დამოუკიდებლად არსებობს როგორც მგალობელ-მომღერალთა ანსამბლი.

ფერხისას რეპერტუარში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშები და ტრადიციული საგალობლებია. სიმღერებს ძირითადად საარქივო ჩანაწერებიდან შეისწავლიან, საგალობლებს - სამგალობლო კრებულებიდან. რეპერტუარს საკუთარი საექსპედიციო მასალებითაც ამდიდრებენ: სიმღერების შესასწავლად ფერხისელები სხვადასხვა დროს ქვემო ალვანს, ზემო სვანეთსა და მთის რაჭას ესტუმრნენ.

ფერხისა დაარსების დღიდან აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულში, საქველმოქმედო კონცერტში. აღსანიშნავია, რომ ბევრი საქველმოქმედო ღონისძიება მათივე ინიციატივით გაიმართა.

ფერხისა არაერთი კონკურსისა თუ ფესტივალის წარმატებული მონაწილე და პრიზიორია. აღსანიშნავია ანსამბლის მონაწილეობა 2010 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნის კონცერტში და საჩხერის სრულიად საქართველოს ფესტივალში ქართული საგალობლები. ანსამბლი 2015-2017 წლების საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსების პირველი ადგილის მფლობელი და ოქროს მედალოსანია.

2008-2022 წლებში ფერხისას გამართული აქვს 13 საანგარიშო კონცერტი სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში. 2014 წლიდან გუნდი რეგულარულად მსახურობს თბილისის თემქის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში (წინამძღვარი - დეკანოზი შოთა ნიქაბაძე).

ფერხისამ წარმატებული ტურნეები გამართა პოლონეთსა (2016, 2019) და გერმანიაში (2019), მონაწილეობდა პოლონურ პროექტში *BraveKids* (2019, 2021).

PERKHISA
TBILISI, GEORGIA

Children’s folk ensemble of *Perkhisa* was created in 2008 under the direction of choirmaster Natia Datuashvili. Several generations have already been raised in the ensemble. Creative direction of the ensemble is adherence to traditional performance, its style and forms. The young people play traditional folk instruments. Older generation of *Perkhisa* has moved into the rank of youth ensembles and currently exists independently as an ensemble of chanters-singers.

Perkhisa’s repertoire includes the examples of folk songs and traditional hymns from different parts of Georgia. They learn songs mainly from archival recordings, and hymns – from hymn collections. They also enrich the repertoire with their own expedition materials: to learn songs, *Perkhisa* visited Kvemo Alvani, Upper Svaneti and mountainous Racha at different times.

Since the day of its inception the ensemble has actively participated in the cultural life of the country, in local and international festivals, conferences and symposia, various religious holidays, and charity concerts. It is noteworthy that many charity events were held on their own initiative.

Perkhisa is a successful participant and prize winner of many competitions and festivals. Participation of the ensemble in the opening concert of the 5th International Symposium of Traditional Polyphony in 2010 and in All-Georgian Festival *Georgian Hymns* in Sachkhere is worth mentioning. The ensemble is the winner and gold medalist of the 2015-2017 national competitions of children’s and youth choirs of Georgia.

In 2008-2022 the ensemble held 13 concerts in various concert halls. Since 2014, the choir has regularly served at the St. George church in Temka, Tbilisi (rector of the church - archpriest Shota Nikabadze).

Perkhisa held successful tours in Poland (2016, 2019) and Germany (2019); participated in the Polish project *BraveKids* (2019, 2021).

ქუთაისის
სიმღერისა და
ცეკვის
ანსამბლი
თბილისი,
საქართველო



დირექტორი: ზეინაბ ბურჯანაძე
ლოტბარი: ქეთევან ბანცაძე.
მთავარი ქორეოგრაფი: შოთა ჯიშკარიანი; ქორეოგრაფი: ია ესვანჯია.

ანსამბლი შეიქმნა 2010 წელს და თავიდანვე შეძლო საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის შემსრულებლობაში. რეპერტუარშია საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა და ცეკვა. აქცენტი გამორჩევით კეთდება იმერულ სასიმღერო დიალექტსა და ქორეოგრაფიაზე, თუმცა არც ქუთაისურ ქალაქურ შტოს ივიწყებენ.

ანსამბლმა დაარსებიდან დღემდე გამართა ათობით სოლო კონცერტი ქუთაისში (ყოველწლიურად), საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში, როგორც ერთიანი შემადგენლობით, ასევე ცალ-ცალკე – სიმღერისა და ცეკვის ჯგუფებად.

ვაჟთა გუნდი მუდმივ შემოქმედებით ძიებაშია. სიმღერებს ეთნოფორთა ჩანაწერებიდან ან უშუალოდ პირველწყაროდან შეისწავლიან, ერთგულებენ ხალხური შემსრულებლობის ტრადიციულ პრინციპებს, იმპროვიზირებენ და ამა თუ იმ სიმღერის საკუთარ ვერსიებს სთავაზობენ მსმენელს. აღსანიშნავია მათი გამორჩეული დამოკიდებულება და ვირტუოზული შესრულება ხალხურ ინსტრუმენტებზე. ანსამბლთან სხვადასხვა დროს მასტერკლასები ჩაატარეს ცნობილმა მომღერლებმა და ლოტბარებმა.

ანსამბლი ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთ – შვეიცარიაში, იტალიაში, თურქეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, უკრაინაში, ლიეტუვაში... მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, დიპლომატიურ და საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურულ ღონისძიებებში, 2015-2016 წლების ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში ანსამბლს ლაურეატის წოდება ცალ-ცალკე – ხალხურ სიმღერასა და ცეკვაში მიენიჭა.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანადგომით 2013 წელს ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლის ვაჟთა გუნდმა პირველი აუდიოალბომი გამოსცა.

STATE SONG AND DANCE
ENSEMBLE OF THE
KUTAISI MUNICIPALITY
CENTER OF FOLKLORE

KUTAISI, GEORGIA

Director: Zeinab Burjanadze;
Choirmaster: Ketevan Bantsadze
Chief choreographer Shota Jishkariani, choreographer Ia Esvanjia

The ensemble was created in 2010 and from the very beginning succeeded to hold suitable place in the performance of Georgian folk songs and dances. The repertoire of the ensemble includes songs and dances from all parts of Georgia. The emphasis is placed on Imeretian song dialect and choreography, although the Kutaisi urban branch is not forgotten either.

Since the day of its inception, the ensemble has held dozens of solo concerts in Kutaisi (annually), in the regions and capital city of Georgia, in both single membership and as separate song and dance groups.

The male choir is in constant creative search. They learn songs from the recordings of tradition bearers or directly from the first source, follow traditional principles of folk performance, improvise and offer their own variants of songs to the listeners. Noteworthy is their distinguished attitude to and virtuoso performance on folk instruments. Renowned singers and choirmasters conducted master-classes with the ensemble at different times.

The ensemble often travels to – Switzerland, Italy, Turkey, Hungary, Bulgaria, Poland, Ukraine, Lithuania... Participates in local and international festivals, diplomatic and cultural events of international importance. At the 2015-2016 National Folklore Festival, the ensemble was awarded the title of laureate separately in folk song and dance. At the 2015-2016 National Folklore Festival, the ensemble was the laureate in two separate nominations: folk song and dance.

With the support of the Folklore State Center of Georgia, male choir of the Kutaisi State Ensemble released their first audio album in 2013.

შავნაბადა
თბილისი,
საქართველო



ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი შავნაბადა 2005 წელს ჩამოყალიბდა. ახალგაზრდა ლოტ-ბარმა დავით ცინცაძემ თავი მოუყარა ბიჭუნათა ანსამბლების – მართვესა და ბიჭების აღზრდილებს.

მიზანი: ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციული შემსრულებლო სტილისა და ფორმების დაცვა, საეკლესიო გალობის აღორძინება, ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაცია. შავნაბადას რეპერტუარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობელია. ანსამბლი ცდილობს, სიმღერები საარქივო ჩანაწერებიდან ან უშუალოდ ხალხური შემსრულებლებისგან შეისწავლის.

შავნაბადამ არაერთი სოლო კონცერტი გამართა საქართველოში. ანსამბლი ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთ (თურქეთი, საფრანგეთი – კორსიკა, შოტლანდია, შვეიცარია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.), მართავს კონცერტებსა და უორკშოპებს, მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში.

შავნაბადას გამოცემული აქვს ხალხური სიმღერების 4 აუდიოალბომი 300-მდე სიმღერით, აგრეთვე 1 DVD ალბომი. შექმნილი აქვს წირვის, ლოცვის, მღვდლად კურთხევის, ქორწინების, ნათლობისა და აღდგომის საგალობლების სასწავლო მრავალდისკიანი აუდიოალბომები, რომლებიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მომზადდა და უსასყიდლოდ ვრცელდება გალობის შესწავლის მსურველთათვის. 2016 წელს შავნაბადას აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა.

SHAVNABADA

TBILISI, GEORGIA

Male folk ensemble Shavnabada was formed in 2005. Young choirmaster Davit Tsintsadze collected the former members of boys' ensembles Martve and Bichibi.

Shavnabada aims at preserving style and forms of traditional performance, revival of church chanting, popularization of Georgian traditional music.

Shavnabada's repertoire comprises folk songs and traditional hymns from almost all parts of Georgia. The ensemble tries to learn songs from archival recordings or from folk performers directly.

Shavnabada has held a number of solo concerts in Georgia. The group often tours to various countries (Turkey, France- Corsica, Scotland, Switzerland, Holland, UK, etc) holds concerts and workshops, participates in international festivals.

Shavnabada has released 4 audio albums of about 300 folk songs and one DVD album. Has released instructional multi-disc audio albums of liturgy, prayer, consecration, baptism and Easter hymns, which have been prepared with the blessing of Ilia II

Catholicos-Patriarch of All Georgia and are distributed free of charge to those who want to learn chanting.

In 2016 Shavnabada was conferred the status State Song Ensemble of Abkhazia.

ძირიანი თბილისი, საქართველო



ფოლკლორული ანსამბლი *ძირიანი* 2011 წელს შეიქმნა, ახალგაზრდა ლოტბარის თორნიკე სხიერელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ანსამბლში გაერთიანდა თბილისში მცხოვრები, წარმოშობით რაჭველი 16 ქალ-ვაჟი. *ძირიანმა* იმთავითვე მიზნად დაისახა ტრადიციული რაჭული სიმღერების, სიმღერა-ფერხულებისა და საცეკვაო სიმღერა-დასაკრავების შესრულება ავთენტური პირველწყაროსთან მიახლოებული ფორმითა და მანერით.

ანსამბლის რეპერტუარის ძირითადი მასაზრდოებელი რაჭის საექსპედიციო ჩანაწერებია – როგორც ძველი, საარქივო, ასევე, თავად თორნიკე სხიერელის მიერ მოპოვებული. მათ უკვე ათობით მივიწყებული რაჭული სიმღერა და ფერხული აღადგინეს.

განსაკუთრებულია ტრადიციული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის ადგილი ანსამბლის რეპერტუარში: *ძირიანმა* გააცოცხლა რაჭული *ჭიანური*, *დაირა*, უკრავენ *გარმონსა* და *ბუზიკაზეც* (პატარა გარმონი). მომღერლები, განსაკუთრებით – ანსამბლის ხელმძღვანელი იმპროვიზაციის იშვიათი უნარით გამოირჩევიან, რაც მათს შესრულებას უშუალოდ აღბეჭდავს და განასხვავებს სხვა ქალაქური ანსამბლების უმრავლესობისაგან.

ძირიანი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ფოლკლორულ კონცერტსა და ფესტივალში, აგრეთვე – საქველმოქმედო ღონისძიებებში.

2016 წლის 23–26 ივნისს *ძირიანი* მონაწილეობდა ლიტუვაში (კლაიპედა) გამართულ საერთაშორისო ფესტივალში *Tek saulužė ant maračių* – კონცერტები და მასტერკლასები გამართა კლაიპედასა და ნიდაში. აღსანიშნავია, რომ ეს იყო საქართველოს წარმომადგენელთა პირველი მონაწილეობა ამ ფესტივალში.

2021 წელს გამოიცა *ძირიანის* აუდიოალბომი – *ალოობა*.

DZIRIANI TBILISI, GEORGIA

Folk ensemble Dziriani was created on the initiative and under direction of young choirmaster Tornike Skhiereli in 2011. The ensemble members were Tbilisi-based 16 young women and men, originally from Racha. From the day of its inception Dziriani aimed at performing Rachan songs, round dances and dances with the form and manner approximated at authentic source.

The ensemble's repertoire is mainly nourished by the expedition recordings in Racha – old, archival recordings, as well as the examples recorded by Tornike Skhiereli. They have already revived tens of forgotten Rachan songs and round Dances.

Traditional instruments and instrumental music hold particular place in Dziriani's repertoire: the ensemble has revived Rachan *chianuri*, *daira*, they also play *garmoni*, *buzika* (a small accordion). The singers – especially the director of the group are distinguished in rare talent of improvisation, which imprints their performance with frankness and distinguishes it from most city ensembles.

Dziriani actively participates in folk concerts and festivals, and charity events.

On 23-26 June, 2016, Dziriani participated in the International Festival *Tek saulužė ant maračių* (Klaipeda, Luetuva), held concerts and master classes in Klaipeda and Nida. It is noteworthy that this was the first participation of Georgian representatives at this festival. Dziriani's first audio album "Alooba" was released in 2021.

ქართული
ანსამბლი
ჰოლანდია



„ქართული ანსამბლი“ ჩამოყალიბდა 2021 წლის სექტემბერში ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ ამერსფორტში (Amersfoort) ქართველი დიჟორისა და ფოლკლორისტის ქეთევან ნიკლაური მიერ. კვარტეტის სამი წევრი ნინკე ფან კერკჰოფი, ჰანს ბაკენი და რუდ ჰარმსენი გამოირჩევიან მაღალი სასიძლეო საშემსრულებლო მანერით, თუმცა არ არიან პროფესიონალი მომღერლები. მათ აერთიანებთ სიყვარული ქართული ფოლკლორისადმი. კვარტეტის რეპერტუარი მრავალფეროვანია და მოიცავს საქართველოს კუთხეების თითქმის ყველა რეგიონს, მაგრამ გამომდინარე იქიდან რომ სულ რაღაც ერთი წელია რაც ერთობლივად არსებობენ, საპრეზენტაციო კონცერტი ივნისში ჩატარეს, დიდი წარმატებით. კვარტეტ „ქართული ანსამბლის“ ხელმძღვანელმა ქეთევან ნიკლაურმა (3 იანვარს 1983 თბილისი) დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი, მაცესტრო ა. რევიშვილის ხელმძღვანელობით. ქეთევანი აქტიურ სადირიჟორო მოღვაწეობას ეწეოდა მთელი ამ წლების განმავლობაში, მას ჰყავდა სტუდენტური ფოლკლორული ანსამბლები „სნო“ (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში) და „თვალთაი“ (აგრარულ/თავისუფალ უნივერსიტეტებში), პარალელურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჰოლანდიურ ფოლკლორულ ანსამბლებთან ნიდერლანდების სამეფოში და მათ უამრავი ქართული ხალხური სიმღერები შეასწავლა. 2017-2022 წ.წ. ამსტერდამში ქეთევანმა ჩამოაყალიბა მის ჰოლანდიელ კოლეგას ივო ბოსვიკთან ერთად ანსამბლი „მერანი“ (ჰოლანდიელებისგან შემდგარი). ამჟამად მან კიდევ ერთი ანსამბლი „საქართველო“ ჩამოაყალიბა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს (გერმანელი, ბელგიელი, ჰოლანდიელი, თურქი, ა.შ.) ქალაქ ამერსფორტში. სამომავლოდ სწორედ ეს ანსამბლი „საქართველო“ ესტუმრება საქართველოს და მიიღებს მონაწილეობას მრავალზღვიანობის სიმპოზიუმზე.

KARTULI ANSAMBLI
NETHERLANDS

“Kartuli ansambli” was formed by Ketevan Tsiklauri a Georgian conductor and folklorist in the city of Amersfoort (the Kingdom of the Netherlands) in September 2021. Three members of the quartet, Nienke Van Kerkhof, Hans Baken and Ruud Harmsen, are distinguished by their high performance manner, although they are not professional singers. They have been brought together by the love to Georgian folklore. The repertoire of the group is diverse and encompasses almost all regions of Georgia; however, since they have been together for only a year, in June they held the presentation concert with great success.

Ketevan Tsiklauri, director of the ensemble, graduated from Choir-Conducting Faculty of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, under the supervision of maestro A. Revishvili. Ketevan was active as a conductor during all these years, she directed student folk ensembles “Sno” (at Sokhumi State University) and “Tvaltai” (at Agrarian/Free Universities); at the same time, she collaborated with various Dutch folk ensembles in the Kingdom of the Netherlands and taught many Georgian folk songs to them. In Amsterdam together with her Dutch colleague Ivo Boswijk, Ketevan created ensemble “Merani” (with Dutch members) in 2017-2022. Currently, she directs another ensemble “Sakartvelo”, which unites representatives of different nationalities (German, Belgian, Dutch, Turkish, etc.) in the city of Amersfoort. In future, ensemble “Sakartvelo” plans to visit Georgia and take part in the symposium of polyphony.

ლამაზიკა საფრანგეთი



ტრიო „ლამაზიკა“ დაიბადა 2017 წელს ბრეტანში (საფრანგეთი) ქართული და კორსიკული მრავალხმიანი რეპერტუარის მიმართ სამი მოლერლის საერთო და ღრმა სიყვარულის შედეგად. წლების განმავლობაში უფრო დიდ კოლექტივებში სიმღერის შემდეგ, ტრიო შეუდგა უფრო პირადულ და საკმაოდ რთულ თავგადასავალს. ისინი ასრულებენ სხვადასხვა რეგიონის საერო და სასულიერო სიმღერებს. მათ ყურს განსაკუთრებით ხიბლავს, უმეტესად, არატემპერირებული სიმღერების ჰარმონიული სიმდიდრე, ეძიებენ ბგერის ხარისხს მისი ყველაზე უფრო შინაგანი ასპექტით. „ლამაზიკას“ ინტერპრეტაცია მიმართულია კონკრეტული ვოკალური რეგისტრების შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ავთენტიურობისკენ. ძლიერი ხასიათის მქონე ორ მუსიკალურ ტრადიციასთან შეხვედრა, ყველა ადამიანურ შეხვედრაზე მაღლა დგას. საქართველოში ტრიოს ჰქონდა პატივი ემუშავა ჩამგელიანების და თურმანიძეების ოჯახებთან, მალხაზ ერქვანიძესთან, პოლიკარპე ხუბულავასთან, სოსო კობალეიშვილთან, კარლ ლინიქთან, ნანა მუჟავანაძესთან, ზოე პერესთან, თორნიკე სხიერელთან; კორსიკაში ჯეკი მიკაელიმ და ჟან-ეტიენ ლანჯანიმ შეასწავლეს თავისი ტრადიცია. საფრანგეთში უმუშავია ტრიოსთან „მზე შინა“, უფრო კონკრეტულად, ლორან სტეფანთან.

ტრიო „ლამაზიკას“ შემადგენლობაში არიან მირეი დუკასი, რომენ სანიმორტი და კლერ ვილერმო, აგრეთვე, დროდადრო – ივ დუბუა.

LAMAZIKA

FRANCE

Trio *Lamazika* is born in 2017 in Brittany (France) from the common and deep passion of three singers for Georgian and Corsican polyphonic repertoires. After singing in larger groups for years, we embarked on the more intimate and very demanding adventure of the Trio. We perform secular or sacred songs from different regions. Our ears are particularly attracted by the harmonic richness of mostly untempered songs. It is the search for sound quality in its most visceral aspect that drives us. *Lamazika's* interpretation aims for the authenticity of specific vocal registers, as far as possible! The encounters with the two musical traditions with strong characters are above all human encounters. In Georgia, we had the honor of working with the Chamgeliani and Turmanidze families, Malhaz Erkvanidze, Polikarpe Khubulava, Soso Kopaleishvili, Carl Linich, Nana Mzhvanadze, Zoé Perret, Tornike Skhiereli. In Corsica, Jackie Micaelli and Jean-Etienne Langianni taught us their tradition. In France we worked with the Mze Shina Trio, and more specifically with Laurent Stephan.

We get together to share these songs and rehearse. The last few years have been complicated for us as for many people. Participating in the 2022 edition of the Symposium in Tbilisi would be like the realization of a dream, a life impulse despite the context. It will also give us the opportunity to review and share highlights with our dear Georgian friends and new discoveries, as well as meet other international fans of Georgian singing.

Lamazika is composed of Mireille Ducassé, Romain Sagnimorte and Claire Vuillermoz, and occasionally, Yves Dubois.

მადარა
ესტონეთი



ფოლკლორული ანსამბლი მადარა ესტონეთის ქალაქ პილვადან შეიქმნა 2014 წელს ერთი დაბადების დღის წვეულებაზე, როდესაც სტუმრებმა სპონტანურად დაიწყეს სეტუს ხალხური სიმღერების შესრულება. სახელი მადარა აღნიშნავს მცენარეს, რომლის ფესვებით წითლად ღებავდნენ სეტუს ტრადიციული სამოსის მოსაქსოვ ძაფს.

ჯგუფის რეპერტუარი მოიცავს როგორც საარქივო ჩანაწერებიდან და ლეელო დისკებიდან შესწავლილ სეტუს მრავალხმიანი სიმღერების ნიმუშებს, ისე ჯგუფის წევრების მიერ შექმნილ სიმღერებს. ანსამბლი მადარა საქმიანობს ასოციაციაციასთან “Põlva Seto” და აერთიანებს ხუთ ქალბატონს: ინგრიდ რისტიმაე, ანე პრანგელი, მერლე პილუვეერი, კატი ტალი და სვეტლანა როჰტი (ჯგუფის ხელმძღვანელი).

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრები ყოველდღიურად არ იმყოფებიან სეტუს თემის ტრადიციის გარემოცვაში, მათი ყველას მიზანია როგორც სეტუს კულტურის ტრადიციის, ისე ლეელოს უნიკალური ჰატმონიული ენის დაცვა და პოპულარიზაცია. ფოლკლორ ანსამბლს მადარა 2018 წელს მიენიჭა სეტუს მეფის ოფიციალური გუნდის სახელი.

ENSEMBLE MADARA
ESTONIA

Folk ensemble Madara from Estonia, Põlva, was founded in 2014 during one birthday party when guests spontaneously started to sing seto folk songs. The name Madara means a plant, which root was used to make red dye for coloring yarn, from which seto traditional clothes are weaved.

Madara’s repertoire consists of seto polyphonic songs learned from folk archive recordings and seto leelo CD-s, as well as new songs made by group members. Madara ensemble operates under Põlva Seto Association and connects five women – Ingrid Ristimäe, Anne Prangel, Merle Põlluveer, Kati Taal and Svetlana Roht (an artistic director of the group).

Despite the fact that the members are not every day surrounded by traditional seto community, they are all dedicated to safeguard and promote seto traditional culture and customs as well the unique and rare harmonical language of leelo. Madara folk ensemble was honored with the title of Seto King’s Official Choir in 2018.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდინან:

საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ფონდს „ქართული ბალოკა“

საზოგადოებრივ მაუწყებელს

ტელეკომპანია იმედი

საპატრიარქოს ტელევიზია *ერთსულმობეჭახ*

THE SYMPOSIUM ORGANIZERS ARE MOST GRATEFUL TO:

**PREZIDENT OF GEORGIA
THE MINISTRY OF CULTURE, SPORTS AND YOUTH OF GEORGIA
GGEGE GEORGIAN PUBLIC BROAD CASTER
TV IMEDI
PATRIARCHY TELEVISION *ERTSULOVNEBA***

სიმპოზიუმი ტარდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიაში

გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ტელ.: (+995 322) 299 89 53

ფაქსი: (+995 322) 298 71 87

ვებ-გვერდი: www.polyphony.ge; www.symposium.polyphony.ge

ელ-ფოსტა: polyphony@tsc.edu.ge

**THE SYMPOSIUM IS HELD AT THE V. SARAJISHVILI
TBILISI STATE CONSERVATOIRE**

8/10, GRIBOEDOV STR., TBILISI, 0108, GEORGIA

THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY

TELEPHONE (+995 322) 2 99 89 53

FAX: (+995 322) 2 98 71 87

WEB-SITE: www.polyphony.ge; www.symposium.polyphony.ge

E-MAIL: polyphony@tsc.edu.ge

რედაქტორი
შემდგენელი
მთარგმნელი
მხატვარი
კომპიუტერული უზრუნველყოფა

რუსუდან წურწუმია
რუსუდან წურწუმია, ზაია ჟუჟუნაძე
მაია კაჭკაჭიშვილი
ნიკა სებისკვერაძე
ნინო რაზმაძე, მარიამ პოლტახიენტი

Editor
Compiler
Translator
Design
Computer Service

RUSUDAN TSURTSUMIA
RUSUDAN TSURTSUMIA
MAIA KACHKACHISHVILI
NIKA SEBISKVERADZE
NINO RAZMADZE, MARIAM POLTAKHIENTI

